როლანდ თოფჩიშვილი

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიის დამახინჯება და არა მხოლოდ...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიის დამახინჯება და არა მხოლოდ...

თბილისი

2023

წიგნი გამოიცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში

წინამდებარე პუბლიკაციის შექმნა განაპირობა კავკასიის სახლის მიერ მიერ გამოცემულმა წიგნმა, რომლის სახელწოდებაა „აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები წარსულსა და თანამედროვეობაში". ერთ-ერთი ავტორის მიერ შესრულებული მონაკვეთი უამრავ უზუსტობას შეიცავს, დამახინჯებულადაა წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა, უგულებელყოფილია ობიექტურად დაწერილი გამოკვლევები. ერთი სიტყვით, შეგნებულადაა დამახინჯებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორია, როგორც მის გამომცემლებს ჰგონიათ, წიგნი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების მოწესრიგებას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ – პირიქით.

რედაქტორები:
მიხეილ ბახტაძე
ბეჟან ხორავა

რეცენზენტები:
ნათია ჯალაბაძე
ირმა კვაშილავა

© როლანდ თოფჩიშვილი, 2023

გამომცემლობა „საარი", 2023
ISBN 978-9941-509-00-1

ეძღვნება აფხაზეთსა და შიდა ქართლში სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებს და საკუთარი მიწა-წყლიდან დევნილ მოსახლეობას

2022 წლის ბოლოს გამოიცა (თუმცა თავფურცელზე 2021 წელია დაფიქსირებული) შვიდი ავტორის წიგნი „აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები წარსულსა და თანამედროვეობაში“, რომლის ავტორები არიან *გიორგი ანჩაბაძე, ივანე აბრამიშვილი, მალხაზ თორია, ნუკრი (ნოდარ) შოშიაშვილი, ოთარ ჯანელიძე, რევაზ ქოიავა და სალომე ბახია-ოქრუაშვილი.* წიგნი გამოსცა კავკასიურმა სახლმა. კრებულს წამძღვარებული აქვს *მარიამ გაჩეჩილაძის* წინათქმა „პროექტის კოორდინატორისაგან“. როგორც სათაურიდან ჩანს, გამოცემა განკუთვნილია საჯარო სკოლების ისტორიის მასწავლებლებისათვის, რადგან სხვადასხვა კლასების ისტორიის სახელმძღვანელოებში ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე არაფერი არისო ნათქვამი. რადგანაც „კავკასიური სახლი“ არის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მშვიდობიანი განვითარებისათვის იდეოლოგიური და ინტელექტუალური ბაზისის შექმნა“ (გვ. 3), ამიტომ გადაწყვიტეს დახმარება გაეწიათ საჯარო სკოლებისათვის და პრობლემის შესახებ ისტორიის მასწავლებლებისათვის მიეწოდებინათ ობიექტური ინფორმაცია. ასეთი ნაბიჯის გადადგმისაკენ კავკასიურ სახლს კი უბიძგა შემდეგმა გარემოებამ: *„სამწუხაროდ, 30 წლის მანძილზე ისტორიის მწყობრი შეფასება, გააზრება და გადააზრება არ მომხდარა, რაც შესაძლოა აიხსნას, როგორც პოლიტიკური ნების არქონით, ისე იმითაც, რომ 20 წელი ისტორიისათვის არცთუ ისე დიდი დროა და ობიექტური შეფასებისათვის მზაობა ჯერ არ დამდგარა“* (გვ.4). მონაკვეთს „პროექტის კოორდინატორისაგან“ ბოლოს კვლავ დავუბრუნდებით; ქართულ-აფხაზური და ქართული-ოსური ურთიერთობების ისტორიის შესწავლის შესახებ ახლავე უნდა აღინიშნოს, რომ ნათქვამი სიმართლეს არ წარმოადგენს – ამ თემაზე, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით, საკმაოდ მრავლრიცხოვანი სამეცნი-

ერო გამოკვლევებია შექმნილი. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურას კრებულის ერთ-ერთი მონაკვეთის ავტორი შეგნებულად უმალავს მკითხველს. არადა ქართველი ავტორების სამეცნიერო ნაშრომები გამოცემულია არა მხოლოდ ქართულ ენაზე, არამედ ინგლისურსა და რუსულ ენებზეც. გაუგებარია, აგრეთვე რას გულისხმობს პროექტის კოორდინატორი „პოლიტიკური ნების არქონაში“ – მეცნიერმა ისტორიკოსებმა რა თემები უნდა იკვლიონ, ამას ხელისუფლება უნდა უგეგმავდეს?

კავკასიურმა სახლმა, როგორც ითქვა, კრებულის გამოცემა იმიტომაც გადაწყვიტა, რომ პრობლემას სასკოლო სახელმძღვანელოებში ყურადღება არ ექცევა. ამიტომაც გადაწყვიტეს შეექმნათ „სასკოლო განათლების დამატებითი რესურსი“. ჩვენ თავს ვერ დავდებთ, მართლაც რა მდგომარეობაა სხვადასხვა კლასის ისტორიის სახელმძღვანელოებში, მაგრამ მეხუთე და მექვსე კლასის სახელმძღვანელოში „ჩვენი საქართველო“, რომლის თანაავტორი ამ სტრიქონების ავტორიცაა, ეს პრობლემა უყურადღებოდ არაა დატოვებული. მაგალითად, ქართლისადმი მიძღვნილი კარის მეხუთე მონაკვეთში („მრავალეროვანი ქართლი“) საუბარია ოსურ-ქართულ ურთიერთობებზე, საქართველოში ოსთა მიგრაციაზე. მეექვსე კლასის წიგნში მთელი მონაკვეთი აფხაზეთს და აფხაზებს ეძღვნება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ იმის შესახებაც, რომ სახელმძღვანელოები დაწერილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული სტანდარტებით. სტანდარტებს აცდენილ სახელმძღვანელოს კი კონკურსში გასვლის არავითარი შანსი არა აქვს. თუ აუცილებელია აღნიშნული პრობლემის სახელმძღვანელოებში შეტანა, მაშინ საჭიროა სტანდარტებში მისი ასახვა და არა მასწავლებლებისათვის ცალკე წიგნის შექმნა. პრაქტიკულად კი გამორიცხულია, მასწავლებელმა აღნიშნული „დამხმარე სახელმძღვანელო“ ჩართოს სწავლის პროცესში.

ზემოთ დასახელებულ ავტორთა უმრავლესობასთან ჩვენ საკამათო არა გვაქვს რა. მაგალითად, პროფესორ ოთარ ჯანელიძესთან, რომელსაც ეკუთვნის მეოთხე თავი „აფხაზები და ოსები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, რომელიც მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული.

აფხაზებსა და ოსებს კრებულში („დამხმარე სახელმძღვანელოში“) ორი მონაკვეთი ეძღვნება, მაგრამ არა ცალ-ცალკე, არამედ – ერთ თავში გაერთიანებული. პირველის ავტორია აფხაზეთის ეთნოლოგიის ცნობილი და ერთადერთი ქართველი სპეციალისტი ქალბატონი **სალომე ბახია-ოქრუაშვილი.** მის მიერ დაწერილი მონაკვეთი **„აფხაზური და ოსური ეთნიკური ჯგუფების ეთნოგრაფიული ექსკურსი“** მეორე თავის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო მესამე თავის ავტორია **გიორგი ანჩაბაძე – „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები უძველესი დროიდან 1918 წლამდე“.** სალომე ბახია-ოქრუაშვილის მიერ დაწერილი თავის პირველი მონაკვეთი „აფხაზები უცხოურ და ქართულ საისტორიო წყაროებში (უძველესი დროიდან XV საუკუნემდე)“, როგორც სათაურიდან კარგად ჩანს, ისტორიას ეხება. იგივე შეიძლება ითქვას ოსების შესახებ („ალან-ოსები უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებში“). „სახელმძღვანელოს“ ეს ნაწილები ობიექტურობით გამოირჩევა, სრულადაა წარმოდგენილი როგორც ქართულ-აფხაზური, ისე ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორია. მაგრამ, მესამე თავი, რომელიც თბილისში არსებული სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველს – გიორგი ანჩაბაძეს – ეკუთვნის, სავსეა შეცდომებით და პრობლემების ირგვლივ ქართველი ავტორების ობიექტური ნაშრომების უგულვებელყოფით, ამასთანავე გამოირჩევა სუბიექტურობით როგორც ქართულ-აფხაზური, ისე ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიის გადმოცემისას. წიგნის წაკითხვისას მაშინვე გაჩნდა

სამართლიანი კითხვა: სალომე ბახია-ოქრუაშვილისა და გიორგი ანჩაბაძის მონაკვეთები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, საჯარო სკოლების მასწავლებლებმა რომელს დაუჯერონ? ასევე, მეთოდური თვალსაზრისით, სრულიად გაუმართლებელია ერთ მონაკვეთში აფხაზებისა და ოსების გაერთიანება. პირდაპირ ვიტყვით, გიორგი ანჩაბაძეს ამან მისცა საშუალება გაუკლმართებულად წარმოედგინა არა მხოლოდ აფხაზეთის ისტორია, რასაც ის აქამდეც აკეთებდა, არამედ ოსთა საქართველოში მიგრაციისა და ქართულ-ოსური ურთიერთობის პრობლემაც.

აფხაზეთისა და აფხაზების ისტორიის შესახებ ალბათ სხვა მეცნიერები იტყვიან თავიანთ სიტყვას, რომლებიც ამ პრობლემაზე მუშაობენ, მაგრამ მაინც გვინდა ზოგიერთ საკითხს შევეხოთ. ციტატა: *„კავკასიის ისტორიის ამ პერიოდში* (იგულისხმება ძვ. წ. XIII-VII საუკუნეები – რ. თ.), *რომელიც გაშუქებული არ არის წერილობით ძეგლებში, შეუძლებელია გადაჭრით ითქვას რამე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, თუმცა* ***სხვადასხვა არაპირდაპირი წყარო საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ,*** *რომ დასავლეთ კავკასიის მოსახლეობა იმ დროს წარმოდგენილი იყო ძირითადად აფხაზურ-ადიღეურ და ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომებით. ამრიგად, ქართველი და აფხაზი ხალხების წინაპართა თანაცხოვრება და მჭიდრო ურთიერთობა სათავეს შორეულ წარსულში იღებს“* (გვ. 63). თუ აღნიშნული პერიოდის შესახებ წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია, რატომ ვუშვებთ ვარაუდს, რომ დასავლეთ კავკასიაში ქართველური და აფხაზურ-ადიღეური ტომები ერთად, ერთმანეთის გვერდზე ცხოვრობდნენ. ხომ შეიძლებოდა ამ პერიოდს საერთოდ არც შევხებოდით? ამასთანავე საუბარია ზოგადად დასავლეთ კავკასიაზე, ე. ი. როგორც ჩრდილო-დასავლეთ, ისე სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაზე. გამოდის რომ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით ერთნაირი ეთნიკური ვითარება გვქონია. კიდევ:

მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში ვარაუდებს არ უნდა ვწერდეთ. ასეთი სახის წიგნებში იწერება ის, რაც საერთოდ მიღებული და გაზიარებულია. საკითხავია, არსებობდა თუ არა დასახელებულ დროს აფხაზური და ადიღეური ეთნოსები? საერთოდ, ქრისტეს დაბადებამდე პირველი ათასწლეულის შუა ხანებში აფხაზთა და ადიღე-ჩერქეზთა წინაპრები (პროტოადიღეელები) ჩრდილოეთით, აზოვის ზღვის გარშემო და მდინარე დონის შესართვიდან 80-100 კილომეტრში ცხოვრობდნენ და ერთგავარი მემკვიდრეები არიან მეოტებისა და სინდებისა. **აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ფორმირება კი მოხდა მეოტებისა და სინდების მომთაბარე ირანულენოვან ტომებთან შერევით არა შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, არამედ ჩრდილოეთით – აზოვისპირეთში, დონის შესართავთან, ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში. მეოტები და სინდები სამხრეთით წამოსწიეს ჯერ სარმატებმა, შემდეგ – გუთებმა და ჰუნებმა. მათი ეთნოგენეზის მესამე კომპონენტი ქართველური ეთნიკური ერთობა იყო (ეგრები, სვანები, აგრეთვე თავდაპირველი აფხაზები და სანიგები).** პროტოაფხაზ-ადიღეელთა სამხრეთით ჩამოწევა ერთჯერადი აქტი არ ყოფილა; ისინი რამდენჯერმე მიგრირდნენ თავიანთი თავდაპირველი განსახლების **არეალიდან. მიგრაციის გამომწვევი მიზეზი კი გახლდათ ევრაზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ჯერ ირანულენოვანი და შემდეგ თურქულენოვანი მომთაბარე ეთნოსების ხშირი მოძრაობა, შემოსევები, აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაადგილება.** პროტოაფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობებიც (მეოტები) ამ არეალში აღმოსავლეთიდან იყვნენ მოსული და თავდაპირველად ისინიც ნომადები იყვნენ (დაწვრილებით იხ.: რ. თოფჩიშვილი. აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ, თბ., 2015). მზია ტყავაშვილის გამოკვ-

ლევით ისინი, როგორც ოსთა წინაპარი ალანები, შუა აზიიდან არიან მოსული.

უნდა აღინიშნოს, რომ ევრაზიის სივრცეში აღმოსავლეთიდან ნომადების შემოსვლა არ შეწყვეტილა XVIII საუკუნის დასასრულამდე, მანამ, სანამ რუსეთმა სამხრეთით ექსპანსიისას ეს უზარმაზარი არეალი იმპერიას არ დაუქვემდებარა. ქრისტესშობამდე ესენი იყვნენ კიმირიელები, სკვითები, სარმატები, ქრისტესშობის შემდეგ IV საუკუნიდან ალანები, ჰუნები, ბულგარელები, ხაზარები. X საუკუნიდან – პაჭანიკები, ყივჩაღები და XIII საუკუნეში – მონღოლები. ასე რომ, IV საუკუნიდან სამი ძლიერი ეთნიკური ბიძგის შესახებ მიუთითებენ: IV, X და XIII საუკუნეები. ეს კი არამდგრად ეთნიკურ ვითარებას, ხალხების მუდმივ გადაადგილებას იწვევდა არა მარტო ევრაზიის სტეპების დასავლეთ ნაწილში, არამედ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაშიც, რაც, თავის მხრივ, საქართველოზე, ამ შემთხვევაში კი – შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზეც ახდენდა გავლენას. IV საუკუნის დასასრული განსაკუთრებით მძიმე იყო ჩრდილ-დასავლეთი კავკასიისათვის, როდესაც მის ტერიტორიაზე აღმოსავლეთიდან შემოიჭრნენ ჰუნები, ხოლო დასავლეთიდან – გუთები. ამ უკანასკნელებმა შავიზღვისპირეთის ნაწილი, ტამანი და მისი მიმდებარე რაიონები დაიპყრეს, რამაც კერკეტების მიგრაცია გამოიწვია (В.В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX Века. – СПб., 2007, с. 61). ბუნებრივია, ეს მოვლენა ქართველური ეთნიკური ერთეულით დასახლებულ შავი ზღვის სანაპიროსაც შეეხო.

სრულიად ზედმეტია და არაფრის მომცემი კავკასიური ენების ოჯახის შესახებ მსჯელობა, როდესაც ამ პრობლემაზეც ბევრი საკამათოა მეცნიერებაში. თუმცა, იქვე ირკვევა, რაში სჭირდებოდა ავტორს ამ საკითხზე საუბარი და აი, რატომ: *„კავკასიური ენების მესამე ჯგუფი, აღმოსავლური ანუ ნახურ-*

-დაღესტნური ენები, ამჟამად გვხვდება მხოლოდ კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი და მათი მიმდებარე ტერიტორიები), თუმცა ***ეს ენები ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიონის სამხრეთით მდებარე ქვეყნებშიც“*** (64). სამხრეთით მდებარე ერთ-ერთი ქვეყანა კი საქართველოა. ნებისმიერი მკითხველი გამოიტანს დასკვნას, რომ საქართველოს ტერიტორია თავის დროზე ქართველთა განსახლების არეალი არ იყო. გიორგი ანჩაბაძემ შეიძლება მოიყვანოს ზოგიერთი ქართველი ავტორის ნაშრომი, რომლებიც XX საუკუნის 30-იან წლებში ამ თეორიას ავითარებდნენ და, რომელიც შექმნილია იმ პერიოდში, როდესაც მეცნიერებაში მიგრაციული თეორიები მოდაში იყო, მყარად იყო ფეხგადგმული. ასეთი შეხედულება კი დიდი ხანია უარყოფილია და მისი ამოტივტივება მეცნიერის მიერ გარკვეული ქვეტექსტის შემცველია: ქართველთა სამშობლო წინა აზია იყო და რომ სამხრეთიდან მოსულმა ქართველებმა საქართველოს ტერიტორიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასწიეს ნახურ-დაღესტნური და, რა თქმა უნდა, აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობები. ამის დამადასტურებლად გიორგი ანჩაბაძე ათამდე ტოპონიმს მოიხმობს, რომლებსაც XX საუკუნეში მოღვაწე ზოგიერთი მეცნიერი ჩამოთვლიდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მან არ იცის (ან იცის და შეგნებულად მისთვის სასურველ ვერსიას მოიხმობს) ცნობილი ქართველი ენათმეცნიერების (თეიმურაზ გვანცელაძე, მერაბ ჩუხუა) არგუმენტირებული დასკვნები აღნიშნულ ტოპონიმთა ქართველური ენებისადმი კუთვნილების შესახებ. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ განსახილველი წიგნის მიზნებიდან გამომდინარე, სრულიად ზედმეტი იყო საუბარი იმის შესახებ, რომ *„ზოგიერთი ისტორიკოსი (ნ. ბერძენიშვილი, ა. ბოლტუნოვა, გ, ყორანაშვილი და სხვ.) ეჭქვეშ აყენებს კოლხეთის სამეფოს რეალურ არსებობას (ყოველ შემთხვევაში, განვითარებული სახელმწიფო სტრუქტურის სახით)“* (გვ. 66).

საკითხავია, როგორ შეიძლება კოლხეთის სამეფოს არსებობა ეჭვქვეშ დააყენო, როდესაც აქ ფული (მონეტა) – კოლხური თეთრი იყო მომოქცევაში. სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი მონეტის არსებობაა. სახელმწიფოებრიობამდე იმდროინდელი ეთნიკური ერთეულები (ტომები) მხოლოდ ცვლიდნენ საქონელს ერთმანეთში. ნუთუ კოლხეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, მაგალითად, ვანში, საირხეში, არ ადასტურებს აქ დიფერენცირებული//კლასობრივი საზოგადოების არსებობას?

გიორგი ანჩაბაძის ნაწერის დიდ ნაწილს ვარაუდები გასდევს თან. მაგალითად, *„ლაზეთის ტერიტორია თავდაპირველად მოიცავდა აჭარა-გურიისა და ნაწილობრივ სამეგრელოს მიწებს და სამხრეთით ესაზღვრებოდა აფსილთა ქვეყანას. საზღვარი მათ შორის, ივ. ჯავახიშვილის თქმით, „რიონის კარგა ჩრდილოეთით“ იყო საგულისხმო. როგორც ჩანს, ლაზებისა და აფსილების გამყოფ ხაზს მეცნიერი ჰიპოთეზურად ავლებდა მდინარე ხობის ან ინგურის რაიონში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორიენტირად იგი სხვა გეოგრაფიულ ობიექტს დაასახელებდა“* (გვ. 67). ჩვეულებრივ, მკითხველი იფიქრებს, რა საჭირო იყო აფხაზეთის შესახებ დაწერილ ნარკვევში ლაზეთისა და ლაზების საკითხის შემოტანა? საკითხავია, როდის აღმოჩნდნენ დასახელებული ტერიტორიიდან სამხრეთ-დასავლეთით ლაზები? „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი, ხომ ტრაპიზონს ლაზთა სოფლად ასახელებს. ლაზების ხსენება კი იმიტომ იყო საჭირო, რათა ეთქვა: ლაზების მოსაზღვრედ ჩრდილოეთით აფსილები ცხოვრობდნენ და რომ ეს აფსილები სადღასაც ხობისა და ენგურის მიდამოებამდე აღწევდნენ. აფსილების განსახლების არეალი ავტორის მიერ შედგენილ რუკა-სქემაზედაცაა აღნიშნული, რომელშიც ისინი ენგურის მარჯვენა ნაპირზე არიან დატანილი. ვინც აფხაზეთის ისტორიის პრობლემები კარგად იცის, მათთვის ეს გარკვეული სიახლე იქნება. ეს ყველაფერი კი გიორგი ანჩაბაძეს იმისათვის სჭირდება, რათა გაამაგროს თავის აკვიატებული თეზისი, რომ სამურზაყანოში თავდაპირველად აფხაზები ცხოვრობდნენ და რომ აქ ქართველთა (მეგრელთა) ჯგუფი საკმაოდ გვიან პერიოდში დასახლდა. ცოტა ქვემოთ ის, მართლაც, ჩრდილოეთით ლაზების მიერ ტერიტორიის გაფართოვებაზე საუბრობს – *„ლაზებმა გააფართოვეს თავისი ტერიტორია, აფსილები შეავიწროვეს მდინარე ღალიძგამდე“* (გვ. 68). კიდევ ერთი ვარაუდი: ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული სანიგების შთამომავალნი **სავარაუდოდ** თურმე აფხაზები და უბიხები არიან. კი მაგრამ მთელი რიგი მკვლევრები რომ სანიგებს ქართველურ ერთობად (სვანებად, ზანებად) მიიჩნევენ? რა ვუყოთ ანტიკურ ავტორთა ცნობებს სანიგების შესახებ? მაგალითად, ანონიმი ავტორი წერს, რომ „სანიგების მიწაზეა დაფუძნებული სებასტოპოლისი“, იგივე ცხუმი, რომელიც სვანური ენით იხსენა? ევსებიოს კესარიელი კი სანიგებს სანებთან აიგივებდა. ჩვენი ვარაუდით **სანიგები კლავდიოს პტოლემეიოსთან მოხსენიებული იგივე სვანოკოლხები არიან.** თითქმის ანალოგიური მოსაზრება აქვთ გამოთქმული მერი ინაძესა და შალვა გლოველს, რომლებიც მიუთითებენ სანიგების კოლხური+სვანური შერეულტომიანობის შესახებ. სანიგების ნაშთი ქართულმა დღემდე შემოინახა; მხედველობაში გვაქვს გვარსახელები სანიკიძე და სანიკიანი.

III-V საუკუნეებზე მსჯელობისას გიორგი ანჩაბაძე ხაზს უსვამს, რომ ლაზიკე (ეგრისი) აღარ ფარავდა აფხაზეთის დიდ ნაწილს. აციტირებს სხვა ავტორს: *„ვიწრო ეთნიკური „ლაზიკე“ ზოგჯერ გვხვდება აფშილეთის, სვანეთისა და ლეჩხუმის გვერდით, მაგრამ პოლიტიკური „ლაზიკე“ ამ უკანასკნელთ გულისხმობს, ხოლო აფხაზეთს – არა“* (გვ. 68). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადრე შუა საუკენეებში ლეჩხუმის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს სხვა სახელწოდება – თაკვერი – ჰქონდა

და მხოლოდ XIII-XIV საუკუნეებში მოხდა თაკვერის ლეჩხუმით შეცვლა.

მივყვებით რა ტექსტს აფხაზეთის შესახებ, კიდევ ერთი გაუგებრობა და მეცნიერებაში გაუზიარებელი ტერმინი გვხვდება, კონკრეტულად ვკითხულობთ:

*„ითვლება, რომ ერთიანი აფხაზური **ფეოდალური ეროვნების** ჩამოყალიბება, ძირითადად, VIII საუკუნის ბოლოსათვის დასრულდა. ამ პროცესში მთავარი როლი შეასრულეს აბაზგებმა და აფსილებმა. ამ შედარებით მცირე ერთეულების შერწყმამ შექმნა ეთნიკური ბირთვი, რომელსაც შემდეგ შეუერთდნენ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნიკური კომპონენტები“* (გვ. 69). აქ ავტორს მითითებული აქვს ბატონ ზურაბ ანჩაბაძის წიგნი. „ფეოდალური ეროვნება“ შავი შრიფტით ჩვენი გამოყოფილია. სოციალურ-ეკონომიური ფორმაციების მიხედვით ერების (ეროვნებების) კლასიფიკაცია საბჭოთა პერიოდში ორმა-სამმა მეცნიერმა (ალ. რობაქიძე, ზ. ანჩაბაძე) მოახდინა, რაც არავის გაუზიარებია და ახლა მას გიორგი ანჩაბაძე იზიარებს. მასწავლებლები მოსწავლეებს ფეოდალური ეროვნებების შესახებ უნდა ესაუბრონ? ეს პასუხობს თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს? კიდევ ერთი გარემოების შესახებ; საბჭოთა კავშირში ეთნოსები კლასიფიცირებული იყვნენ შემდეგი პრინციპით: მოკავშირე რესპუბლიკების ტიტულოვანი ეთნოსები ერებად იწოდებოდნენ, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა – ეროვნებებად. სწორედ ამ ფაქტის გამოა, რომ ბატონი გიორგი ანჩაბაძე აფხაზებს „ფეოდალურ ეროვნებას“ და არა ერს უსადაგებს. ცოტა ქვემოთ ქართველებიც „ფეოდალურ ეროვნებად“ არიან მოხსენიებული და იცით რატომ? – საბჭოთა მეცნიერებაში მიღებული დებულებით ქართველებმა ეროვნებიდან ერისაკენ ძალიან გვიან XIX საუკუნის II ნახევარში გადავინაცვლეთ, მაშინ ჩამოვყალიბდით ერად (ნაციად), როდესაც აღარც სახელმწიფოებრიობა გვქონდა, როდესაც იმპერია ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს „ნაროდნოსტებად“ (ხალხებად) აცხადებდა და იმ დროს, როდესაც ქართული ენა ყველა სტრუქტურიდან იყო გაძევებული და ეკლესიასაც ავტოკეფალია ჰქონდა წართმეული. აფხაზური „ფეოდალური ეროვნების“ შესახებ კრიტიკას ნიკო ბერძენიშვილს დავესესხები: *„ფეოდალური ეროვნება, როგორც ამხ. ზ. ანჩაბაძე გულისხმობს, როგორ წარმოიდგინება ფეოდალური სახელმწიფოს ორგანიზაციის გარეშე? საერთო სახელმწიფო ენისა და დამწერლობის გარეშე“; „ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბებისათვის აფხაზეთს არც კოლხური სახელმწიფოებრივი ტრადიცია გააჩნდა და არც რეალური სხვა საშუალებები. სწორედ ამოტომაც მოხდა „უცნაური“ ამბავი: აფხაზთა დინასტია სათავეში ჩაუდგა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შენებას, ქართული კულტურის სამსახურს. ... აფხაზთა ისტორიული სამეფო ყოვლად უარყოფს აფხაზურ ფეოდალურ ეროვნების კონსოლიდაციას“* (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 591, 592). კითხვა ფეოდალიზმის შესახებაც უნდა დაისვას: გვიანი შუა საუკუნეების აფხაზური (აფსუური) საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ფეოდალიზმისაგან ერთგვარად შორს იყო. თუ აფხაზთა შორის ადრე შუა საუკუნეებში ფეოდალიზმი არსებობდა, მაშინ ის აფხაზები ქართველები იყვნენ და არა აფსუები//აბაზები. საერთოდ ადიღეურ-ჩერქეზული საზოგადოება ფეოდალიზმისაგან შორს იყო და საბჭოთა პერიოდში „მთური ფეოდალიზმის“ შესახებაც დაიწყეს საუბარი (თუმცა ეს ტერმინი პირველად XIX საუკუნეში მაქსიმ კოვალევსკიმ გამოიყენა).

იქნებ დაეკონკრეტებინა ავტორს ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე რომელი „სხვა ეთნიკური კომპონენტები“ ცხოვრობდნენ? იქვე ავტორი ახსენებს ქალაქ ცხუმს: *„730-იან წლებში, მურვან-ყრუს შემოსევის დროს, ქართლის ერისმთავრის, სტეფანოზის შვილებმა, **მირმა** და **არჩილ**მა, მხედრებისა და ვა-*

სალების ჯგუფით აფხაზეთს შეაფარეს თავი, რომლის მთავარი იმ დროს იყო ***ლეონ I****. ეგრისის აოხრების შემდეგ არაბები აფხაზეთში შეიჭრნენ და შემუსრეს ქალაქი* ***ცხუმი*** *(სოხუმი)"* (გვ. 69). მკითხველს შთაბეჭდილება შეექმნება, რომ ერისმთავრის სტეფანოზის შვილებიც – მირი და არჩილი – ერისმთავრები იყვნენ. ისინი ხომ მეფის ტიტულის მატარებელნი იყვნენ, ხოლო ლეონი – აფხაზეთის ერისთავი, რომელსაც „ქართლის ცხოვრება" კეისრის ერისთავს უწოდებს. გიორგი ანჩაბაძე კი მას მთავარს უწოდებს. არც ის აწყენდათ მასწავლებლებს, ავტორს მათთვის ეთქვა, რომ ტოპონიმი, ქალაქის სახელწოდება „ცხუმი" (და კიდევ ბევრი სხვა იოკონიმი) ქართულ-ქართველურია (სვანური). ეს ლინგვისტური ფაქტი კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სანიგები, რომელთა მიწაწყალზედ, II საუკუნის ავტორის ფლავიუს არიანეს სიტყვებით, მდებარეობდა სებასტოპოლისი (ცხუმი), იგივე სვანები იყვნენ (ფლავიუს არიანე. ქართული თარგმანი ნ. კეჭაღმაძისა, თბ., 1961, გვ. 43). IV საუკუნის ავტორი იპოლიტე რომაელიც „სავნებს" სანიგებად მიიჩნევდა.

მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს ქართველთა და მათი ტერიტორიული ერთეულებისათვის, მეგრელებისა და სვანებისათვის, ტერმინის „ეთნიკური ჯგუფის" მისადაგებას: *„სამეფოს (იგულისხმება აფხაზეთის სამეფო, რომლის ცენტრი ქუთაისი იყო და რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა – რ. თ.) მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფები – ქართები, მეგრელები და სვანები.* ***ეს სამი ეთნიკური ჯგუფი,*** *როგორც აღვნიშნეთ, ერთი ძირიდან მოდის"* (გვ. 70). მეგრელებიც და სვანებიც საერთო ქართული ეთნიკური ერთეულის ტერიტორიული ჯგუფები იყვნენ; მიუხედავად საოჯახო ენებზე მეტყველებისა, ისინი არასდროს გაიაზრებოდნენ სხვა ეთნოსებად, ეთნიკურ ერთეულებად, შეადგენდნენ მხოლოდ საერთო ქართული ეთნოსის შემადგენელ ნაწილებს.

სიმართლეს შეესაბამება გიორგი ანჩაბაძის სიტყვები, რომ *„აფხაზთა მეფეების (უნდა იყოს აფხაზეთის მეფეების – რ. თ.) პოლიტიკა ობიექტურად საქართველოს გაერთიანებისაკენ იყო მიმართული და ამ საქმეში დიდი პოზიტიური წვლილი შეიტანა"* (გვ. 71). მაგრამ რა წყაროს ეყრდნობა, როცა წერს, *რომ „საკუთრივ აფხაზები, რომლებიც, ძირითადად, სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებაში".*

წიგნში ვკითხულობთ: *„ზოგჯერ კითხულობენ: აფხაზთა სამეფო – ქართული სახელმწიფო იყო თუ აფხაზური? ეს უსაგნო კითხვაა, ვინაიდან ადრეულ შუა საუკუნეებში არ არსებობდა თანამედროვე გაგებით ეროვნული სახელმწიფოს ცნება".* ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ესაა უსაგნო მსჯელობა. მართალია, შუა საუკუნეებში ეთნიკურობას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ, მთავარი რელიგიურობა იყო. სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ქრისტიანი ქართველად მიიჩნეოდა. ამის მაგალითად შეიძლება აბო თბილელი გავიხსენოთ, რომელიც ისმაიტელყოფილი ქართველი იყო. მაგრამ აფხაზთა სამეფო ხომ მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა და ამ სამეფოს დედაქალაქი ქუთისი იყო? ეთნიკურად ვინ იყვნენ დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი? პასუხი ერთმნიშვნელოვანია – ქართველები. ამიტომ გიორგი ანჩაბაძე ტყუის, როდესაც კითხვას უსაგნოს უწოდებს. თუ მაშინდელი აფხაზები განცალკევებულ ეთნიკურ ერთობას წარმოადგენდნენ, ისინი ხომ ეთნიკური უმცირესობა იყვნენ, სახელმწიფოს ეთნიკურ უმრავლესობას კი ქართველები შეადგენდნენ. ამდენად აღარ არის საჭირო მსჯელობა იმის შესახებ, „აფხაზთა სამეფო/სახელმწიფო" ქართული იყო თუ არა. დიახ, ის ქართული იყო! აფხაზთა სამეფო რომ ქართული იყო, ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ის, ტაო-კლარჯეთის ქართულ სამეფოსთან ერთად, იბრძოდა დანარჩენი საქართველოს მხარეების გასაერთიანებლად, ერთი-

ანი ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელშიც ყველა ქართველი იცხოვრებდა.

რადგან გიორგი ანჩაბაძის დაწერილი მონაკვეთი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეხება, აღარ იყო საჭირო კვლავ „აფხაზთა სამეფოზე“ ლაპარაკი, რადგან ეს სამეფო რეალურად, ენით, კულტურით, ეკლესიით მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო, არადა ის წერს: *„აფხაზთა სამეფომ თავისი ძლიერების მწვერვალს X საუკუნეში, გიორგი I-ისა და მისი ვაჟის, ლეონ III-ის, მმართველობის დროს მიაღწია (შესაბამისად, 922-957 და 957-967 წწ.)“* (გვ. 72). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს „აფხაზთა სამეფო“ რეალურად ქართული სამეფო იყო და არა აფხაზური; მის სახელმწიფო და საეკლესიო ენას მხოლოდ ქართული ენა წარმოადგენდა.

გიორგი ანჩაბაძე წერს: *„ერთიანი სამეფოს შემადგენლობაში აფხაზეთი შედიოდა, ძირითადად, **აფხაზეთის (ცხუმის) საერისთავოს** სახით“* (გვ. 72). მკითხველი აუცილებლად შეცდომაში შევა თუ ნათქვამს დაიჯერებს, რადგან ადრე შუა საუკუნეებიდან მოყოლებული აფხაზეთის საერისთავო არ ფარავდა ცხუმის საერისთავოს. ისინი სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ცნობილია, რომ გაერთიანებული დასავლეთ საქართველო ლეონმა რვა საერისთავოდ დაყო, რომელთაგან ორს აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოები ერქვათ. აფხაზეთი ადრინდელ აბაზგიას მოიცავდა, ცხუმი კი – აფშილეთს. აქედან მოკიდებული აფშილეთის სახელწოდება საისტორიო წყაროებში ქრება. საქართველოს ერთიანი სამეფოს არსებობის მთელ მანძილზე (XI-XV საუკუნეები) აფხაზეთი ერთიანი სამეფოს ორგანული ნაწილი იყო. თუმცა აღნიშნული დროის აფხაზეთი დღევანდელ აფხაზეთს არ გულისხმობს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე XIV საუკუნის 20-იან წლებამდე ცალ-ცალკე არსებობდნენ აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოები. წყაროების ანალიზის

საფუძველზე ნიკო ბერძენიშვილი სამართლიანად ასკვნიდა: „საინტერესოა ეს ეგრის წყალსა და კლისურას შორის ქვეყანა. ის თუმცა „აფხაზეთია“ ჯუანშერის განმარტებით, მაგრამ მაინც ცალკე ქვეყანა. საყურადღებოა, რომ გვიან, XVI-XVII საუკუნეებში ეს ქვეყანა სავსებით მ ე გ რ უ ლ ი ა (ევლიას ჩაჩი? ოჩა-მ-ჩი-რე, ღაწირი, ქვაციხე, კვახჭირი...) და აფხაზური ენა მხოლოდ კოდორის დასავლეთით არის. საფიქრებელია, რომ XI საუკუნეშიც კარგად ჩანდა ამ ქვეყნის განსხვავებულობა სხვა აფხაზეთისაგან... და ეს განსხვავებულობა VI საუკუნეშიაც დადასტურებულია პროკოპის მიერ, რომელიც აფხაზეთს გარკვევით უჩვენებს ანაკოფიის დასავლეთით. აფხაზეთის, რა თქმა უნდა, არა ეთნიკურის, არამედ პოლიტიკურის, აგრე წამოწევა აღმოსავლეთისაკენ საკეისროს ხელის შეწყობით ხდება VII-VIII საუკუნეებში“ (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 573). სხვათა შორის, 1738 წლის ევროპულ რუკაზეც „CARTE DE LA GEORGIE“ იგივე ვითარებაა დადასტურებული: თანამედროვე აფხაზეთის დიდ ნაწილს ოდიში და სამეგრელო აწერია და აფხაზეთთან საზღვარი ანაკოფიის დასავლეთით გადიოდა (თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა. საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, თბ., 2013, გვ. 64). აქვე შეიძლება უფრო ადრინდელი არქანჯელო ლამბერტის, რომელიც 1633-1649 წლებში იმყოფებოდა სამეგრელო-აფხაზეთში, რუკაც გავიხსენოთ. ამ რუკის თანახმად სამეგრელო კელასურის კედელთან იწყება, რომელზედაც ასეთი წარწერაა: „კედელი სამოცი ნაბიჯის სიგრძისა, აბაზგთა თავდასხმების მოსაგერიელებლად“. ამ რუკის შესახებ სამართლიანად შენიშნავს ბატონი ჯემალ გამახარია, რომ „რუკაზე მითითებული ტოპონიმები მთლიანად ქართულია, მაგრამ აფსუა-აბაზების ჩამოსახლების შემდეგ შეიცვალა“ (ჯ. გამახარია, ლ. ახალაძე, დ. ჯოჯუა. აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები, თბ., 2018, გვ. 334). XIX საუკუნის ბოლოს

აფხაზეთში იმოგზაურა ფრანგმა მეცნიერმა ბარონი დე ბაიმ, რომელსაც იმდროინდელი აფხაზეთის შესახებ საყურადღებო ფაქტი აქვს დადასტურებული: **„აფხაზეთი გულიხმობს: საკუთრივ აფხაზეთს გაგრიდან მდინარე კოდორამდე; სამურზაყანოს მდინარე ენგურამდე. ამ მხარეში მეგრულად ლაპარაკობენ“** (ბარონი დე ბაი საქართველოში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მაღრაძემ, თბ., 2011, გვ. 115). ისტორიის გამყალბებლებისათათვის ასეთი ობიექტური მასალები წყაროს არ წარმოადგენს.

ნიკო ბერძენიშვილს ქართველთა ეთნიკური ისტორიის შესახებ იშვიათი მიგნებები ჰქონდა. მას ერთი წინადადებით შენიშნული აქვს, რომ (ვახუშტით) „...აფხაზები – ეგროსის ჩამომავალნი არიან“ (სის, 1990, გვ. 620). მართლაც, ვახუშტი ამას აღნიშნავს: „ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთას შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს ძე თარგამოსისა. და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი. არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია, რომელი დასვა მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა /ვინათგან ჰპოვა ბედი/. მერე აფხაზთა მეფის ლევანისაგან განიყო, და ცხომის ერისთავი სხვა, ბედიისა სხვა, აფხაზთა სხვა“. აშკარაა, რომ ვახუშტის რაღაც სხვა წყარო ჰქონდა, რომლის თანახმად თავდაპირველად თანამედროვე აფხაზეთი მთლიანად ეგრისის განუყოფელი ნაწილი იყო, ეგროსის შთამომავალთა განსახლების არეალი იყო და მხოლოდ გვიან გაიყო ბედიის, ცხომის და აფხაზთა „ქვეყნებად“. ეს უკანასკნელი კი თანამედროვე აფხაზეთის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს და მის იქით საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. საუკუნეების განმავლობაში მაინც როგორ შემოგვეფცქვნა ხელში ქართველთა განსახლების ვრცელი არეალი? ამის დამადასტურებელი ყველაზე დიდი წყარო კი ფონეტიკაა – არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ მის ჩრდილოეთითაც დიდ ტერიტორიაზე დაფიქსირებული თანხ-

მოვანკომპლექსიანი (ბღ-ფხ-პყ, დღ-თხ-ტყ, ძღ-ცხ-წყ, ჯყ-ჩხ-ჭყ) ტოპონიმები მხოლოდ ქართველური ენებისთვისაა დამახასიათებელი. ეს მიგნება კი გიორგი ახვლედიანს ეკუთვნის! აღნიშნული „შემოფცქვნა“ კი შედეგი იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ნახევრადმომთაბარე ტომების სამხრეთისაკენ თითქმის უწყვეტი მეკობრეობა-თარეშისა და მიგრაციისა.

გიორგი ანჩაბაძის ყურადღების მიღმა არც პიროვნული სახელი *ლაშა* დარჩა: *„ქართულ სახელმწიფოში აფხაზთა მნიშვნელოვანი როლის მაჩვენებელია (და, შესაძლოა, აფხაზთა დინასტიასთან ბაგრატიონების ნათესაური კავშირის გამოძახილი) ის ფაქტი, რომ თამარ მეფის ვაჟი და მემკვიდრე (შემდეგ მეფე გიორგი IV) ცნობილია მეორე ოფიციალური სახელით „ლაშა“, რომელიც მემატიანის განმარტებით: „განმანათლებლად სოფლისა ითარგმნება აფსართა ენითა“* (გვ. 73).

პიროვნული სახელის – ლაშა – გიორგი ბაგრატიონისათვის დარქმევა როგორ შეიძლება ქართულ სახელმწიფოში აფხაზთა მნიშვნელოვანი როლის მაჩვენებელი იყოს? მაშ რა ვუყოთ აუარებელ ებრაულ და ბერძნულ სახელებს, რომლებიც ქართველ ხალხში იყო გავრცელებული? სხვათა შორის, ცნობილია, რომ აღნიშნული ტექსტში გვიანდელი, XVIII საუკუნის, ჩანართია. მამაკაცის ეს სახელი (ლაშა) საქართველოში უფრო ადრეც იყო გავრცელებული. კერძოდ, ქვემო ქართლის სოფელ ტბისში VIII საუკუნით დათარიღებულ ქვაჯვარის კვარცხლბეკის წარწერით ჯვრის აღმმართველი ყოფილა ვინმე ლ ა შ ა (ვ. სილოგავა. ქვემო ქართლის წარწერები. – დმანისი, II, რედაქტორი ჯ. კოპალიანი, თბ., 2000, გვ. 218). ლაშა ქართლში ბოლო დრომდე გავრცელებული მეტსახელი იყო, დიდ ტუჩიან ადამიანს ლაშა, ლაშიანს ეტყოდნენ. კიდევ ერთი საკითხი: ლაშა მეორე ოფიციალური სახელი არ ყოფილა. პიროვნებებს შუა საუკუნეების საქართველოში მხოლოდ ერთი ოფიციალური სახელი ერქვათ, რომელიც ნათლობის დროს ერქმეოდათ. ლაშა იყო მეორე არა-

ოფიციალური სახელი, რომელსაც ნათლობამდე არქმევდნენ. არაოფიციალური სახელები, უბრალოდ, დოკუმენტებში არ ფიქსირდებოდა – ლაშა გამონაკლისი იყო. ამ პიროვნული სახელის შესახებ ენათმეცნიერი ქეთევან ლომთათიძე აღნიშნავდა: „ახალ დროში იწყო **ლაშას** სახელის ფართოდ გავრცელება. რაც შეეხება მის აფხაზურ წარმომავლობას, ამასთან დაკავშირებით შემდეგი შემიძლია აღვნიშნო: ოცდაათიან წლებში (აფხ. ენაზე მუშაობისას) საგანგებოდ ვსწავლობდი და ვაგროვებდი აფხაზური საკუთარ სახელებს ყოველი კუთხის (კილოკავის) მიხედვით (აფხაზურშიაც და აბაზურშიაც), მაგრამ სახელი **ლაშა** ვერსად დავადასტურეთ. აფხაზურში, მართალია, არსებობს სიტყვა ა-ლაშარა, რაც „სინათლეს“ გულისხმობს და რომელიც გამოიყენება მხოლოდ ამ რიგის მოსაფერებელ გამოთქმაში: „სგმგშ, სგწგხ, სგლაშარა“ – ჩემო დღევ, ჩემო ღამევ, ჩემო სინათლევ (უფრო ზუსტად: ჩემო თვალის ნათელო), მაგრამ **ლა**შა საკუთარ სახელად არ დასტურდება. ქართულში კი ეს სახელი, როგორც ახლა ირკვევა, ხანგრძლივი ისტორიის მქონეა. იგი გვხვდება თეთრიწყაროს რაიონის ტბისის კაჟრების ეკლესიის ჯვარის კვარცხლბეკის წარწერაში, სადაც ვკითხულობთ: „წმიდაო სამებაო, შეიწყალე ამისი ამშენებელი ლაშაჲცა“. როგორც ცნობილია, ეს წარწერა განეკუთვნება VIII საუკუნეს. მის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ივ. ქეშიკაშვილი. ასეთი სიძველის მქონე საკუთარი სახელი, დადასტურებული თეთრი წყაროს რაიონში მაშინ, როცა აფხაზურ სინამდვილეში არ ჩანს, ინტერპრეტაციისას სხვა საბუთიანობას მოითხოვს (არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XVII, 2006 წ. 2-5 მაისი: მასალები / საქ. მეცნ აკად. ენათმეცნიერების ინ-ტი (თბილისი). სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“ (17, 2006). – თბ., 2006. – გვ. 29-31)

მასწავლებელთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს 73-ე გვერდზე დაბეჭდილია ავტორის მიერ გამოხაზული რუკა

სახელწოდებით „საქართველო XI საუკუნის პირველ ნახევარში“. გაუთვითცნობიერებელი მკითხველი თუ ამ რუკას დახედავს, იტყვის, რომ კახეთ-ჰერეთი, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის ნაწილი საქართველო არ იყო. ის დანარჩენი ტერიტორიისაგან მუქი შავი სასაზღვრო ხაზითაა გამოყოფილი. მკითხველი (მითუმეტეს, უცხო) იფიქრებს, რომ ამ საზღვრის გარეთ დარჩენილი ტერიტორია საქართველო არ იყო. პოლიტიკურადაც XI საუკუნის პირველი ნახევრიდან კახეთ-ჰერეთი ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამას წარმოდგენილი რუკის ლეგენდაც ადასტურებს, რომელშიც კახეთ-ჰერეთის საზღვრის (რომელიც, სხვათა შორის, შეუმჩნეველია) შესახებ ვკითხულობთ: *„კახეთ-ჰერეთის სამეფოს საზღვრები, რომლის ტერიტორია შედიოდა ბაგრატ III-ის გაერთიანებულ სახელმწიფოში 1008-1014 წლებში“.* საკითხავია 1008-1014 წლები XI საუკუნე არაა?

გიორგი ანჩაბაძე ქვეყნის სახელწოდებას „საქართველო“ აახალგაზრდავებს: *„ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინი „საქართველო“ ქართულ წერილობით წყაროებში პირველად დასტურდება XI საუკუნის ბოლოს, როგორც ბაგრატიონთა მონარქიის ფარგლებში გაერთიანებული ქართული მიწებისა და ზოგი არაქართველური ოლქის ერთობლიობის ამსახველი სახელწოდება. ამ ახალმა ტერმინმა გადაფარა ძველი „ქართლი“, რომელიც, ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, „არ შერქმევია არცერთ არაეთნიკური ქართლის ქვეყანას“.* ნიკო ბერძენიშვილის წინადადება ავტორს გაწყვეტილი აქვს: „არამედ შეერქვა უფრო მოხერხებული ტერმინი „საქართველო“. აკადემიკოსის იმავე წიგნში ვკითხულობთ: **„დღეს არავინ დავობს, რომ ტერმინი („საქართველო“) შედარებით გვიან წარმოიშვა (X საუკუნეში, შეიძლება ცოტა უფრო ადრეც)“** (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 200). დავსძენთ, რომ „საქართველოს“ დიდი ხნით ადრე წინ უსწრებდა

სხვა გამაერთიანებელი ტერმინი **„ყოველი ქართლი“.** ძიებამ ქართველი ხალხი ახალ ტერმინთან – „საქართველო“ – მიიყვანა.

მთელი რიგი წიაღსვლები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე, განსაკუთრებით ეთნიკურ ისტორიაზე, ფაქტობრივად არაფრის მთქმელი არაა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებზე. თუნდაც ეს წინადადება შეიძლება მოვიყვანოთ: *„უფრო ფართო გაგებით „ქართველი“ აღნიშნავდა ქართს, ანუ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტერიტორიულ-ტომობრივი ჯგუფის (ქართლელები, კახები, მესხები, კლარჯები, მარგველები და სხვ.) წარმომადგენელს“* (გვ. 74). დიახ, თურმე, ქართველთა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადენლები ამა თუ იმ ტომის წარმომადგენლები ყოფილან! ისტორიკოსმა მეცნიერმა კარგად უნდა იცოდეს ეთნოსის თეორიის ელემენტარული საკითხები, რომ **ტომი ესაა პირველყოფილი საზოგადოების ეთნოსი, ეთნიკური ერთობა (ნიკო ბერძენიშვილიც წერდა: „ტომობრიობა, ფეოდალური ურთიერთობის მიერ გადალახული და მონელებული საფეხური იყო“).** თუმცა მისთვის ქართველს სხვა, ფართო გაგებაც ჰქონია: *„დაბოლოს, ცნება „ქართველის“ ყველაზე ფართო გაგებით, რომელიც ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნასთან იყო დაკავშირებული, ქართველებად იწოდებიან ეთნიკურად ქართველური ჯგუფები (ქართები, მეგრელები, სვანები),* ***ქართველებთან ასოცირებული აფხაზები, ჰერები, დვალები*** *და, გარკვეულწილად, აგრეთვე* ***საქართველოსთან კულტურულ-პოლიტიკურად და რელიგიური თვალსაზრისით დაკავშირებული ალანები (ოსები),*** *კავკასიის მთიელები და* ***მართლმადიდებელი სომხები.*** *კერძოდ, აფხაზების სპორადულად მოხსენიებას ქართველურ ჯგუფებს შორის ქართულ წერილობით ძეგლებში XVIII საუკუნემდე ვხვდებით“* (გვ. 74). ეთნიკური აფხაზების მოხსენიება ქართველურ ჯგუფებს შორის გასაკვირი არაა; ის საისტორიო

ტრადიციას ემყარება, მაგრამ, გიორგი ანჩაბაძის თანახმად, ეთნიკურად ქართველები არ ყოფილან (აფხაზებსავით) ჰერები და დვალები. ვეკითხები ავტორს – რა წყაროებით, რომელი გამოკვლევებით? ქართველი ერის ასოცირებული წევრები აფხაზებს პირველად ეთნოლოგმა სერგო არუთინოვმა უწოდა, გიორგი ანჩაბაძემ კი ამ ტერმინის ქვეშ ჰერები და დვალებიც მოათავსა. მაგრამ მეტისმეტია, როდესაც ამავე კატეგორიაში გაჰყავს ალანები (ოსები), რომლებიც საქართველოში მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში მიგრირდნენ და კავკასიელი მთიელები და მართლმადიდებელი სომხები. „მართლმადიდებელი სომხების“ ცნება ავტორს აღებული აქვს სომხური ისტორიოგრაფიიდან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ტაო-კლარჯეთის-შავშეთის მოსახლეობა ქართული კი არ იყო, არამედ წარმოადგენდნენ ქალკედონიტ სომხებს და რომლებსაც, თურმე ამის გამო მათ ქართველები ქართველებს უწოდებდნენ.

იგივე აზრებს ავითარებს გიორგი ანჩაბაძე მომდევნო აბზაცში: *„ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების შემდეგ მეზობელ ხალხებს უპირატესად სწორედ ფართო მნიშვნელობით ესმოდათ ქართველობა და თვლიდნენ, რომ ქართველები ცალკეული ტომობრივი ერთეულების კრებულს წარმოადგენდნენ. მაგალითად, ასეთ გაერთიანებად წარმოუდგენია ქართველები XII საუკუნის ბიზანტიელ ავტორს იოანე ცეცესს, რომელიც წერს: იბერები და აბაზგები ერთი ტომისა (არიან}, // იბერნი პირველობენ, აბაზგები მეორენი არიან, // ხოლო ალანებს უკანასკნელი, მესამე ადგილი უჭირავთ“* (გვ. 74). მკითხველს ვთხოვ, დაკვირვებით წაიკითხოს ბიზანტიელი ავტორის სტრიქონები. ის იმას წერს, რომ „ქართველები ცალკეული ტომობრივი ერთეულების კრებულს წარმოადგენენ“? რა თქმა უნდა, არა – ცეცესი იმას აღნიშნავს, რომ ქართველები (იბერები) და აფხაზები (აბაზგები) ეთნიკურად ერთნი არიანო.

გიორგი ანჩაბაძეს „ორიგინალური“ შეხედულება აქვს გვიან

შუა საუკუნეებში აფხზეთის სამთავროს წარმოქმის შესახებ; აი, ისიც: *„ერთიანი ქართული სამეფო XV საუკუნეში რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიშალა. აფხაზეთის საერისთავო ლიხთიმერეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა, რომლის მეფეები, ძველი ტრადიციით, აფხაზთა მეფეებად იწოდებოდნენ. მალე იმერეთის სამეფოში შემავალი საერისთავოებიც (ოდიში, გურია, აფხაზეთი, სვანეთი) სუვერენულ სამთავროებად გადაიქცნენ, რომლებიც, უკეთეს შემთხვევაში, ნომინალურად აღიარებდნენ იმერეთის მეფეთა უზენაესობას. **ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო, რომლის მთავრებმა, დადიანებმა, ხელთ იგდეს აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი ქალაქ ცხუმის (სოხუმის) ჩათვლით. ამიტომ სავაჭრო ნავსადგური სოხუმის ყურეში ზოგ ევროპულ რუკაზე აღნიშნულია, როგორც Porto Mengrelo (სამეგრელოს ნავსადგური). შარვაშიძეებს დარჩათ მხოლოდ ყოფილი საერისთავოს დასავლეთი ნაწილი და იძულებული იყვნენ, ოდიშის მთავართა ძალაუფლება ეცნოთ,** თუმცა ეს დამოკიდებულება ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „შარვაშიძე მორჩილებდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა“. XVI საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ოდიში შინაფეოდალურმა ბრძოლამ მოიცვა, **აფხაზეთის მთავრებმა მოახერხეს სოხუმის ოლქის დაბრუნება და ფაქტობრივად დამოუკიდებლობა მოიპოვეს. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდინარე კოდორთან გადიოდა“.** აი, თურმე რატომ გააიგივა აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოები გიორგი ანჩაბაძემ: „ერთიანი სამეფოს შემადგენლობაში აფხაზეთი შედიოდა, ძირითადად, **აფხაზეთის (ცხუმის) საერისთავოს** სახით“. ამის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქმე გვაქვს ისტორიის გაყალბებასთან. აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. ცხუმის საერისთავოს ტერი-

ტორიაზე ქართველები (მეგრელები) მკვიდრობდნენ. თურმე სამეგრელოს მთავრებმა აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი ძალის გამოყენებით იგდეს ხელთ. ღიმილის მომგვრელია წინადადება, რომ თურმე იმდროინდელ ევროპულ რუკებზე სოხუმს იმიტომ აწერია „სამეგრელოს ნავსადგური“. ქართული წერილობითი წყაროებით ცნობილია, რომ ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, კარგა ხნის განმავლობაში, აფხაზეთს (დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს) დამოუკიდებელი პოლიტიკური სტატუსი არ ჰქონია. ის ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, რომელიც, თავის მხრივ, იმერეთის სამეფოს ექვემდებარებოდა, ცხუმი შარვაშიძეების რეზიდენციად მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულს იქცა. იმდროინდელ მოგზაურთა ცნობებით, აფხაზები (აფსუები) მხოლოდ მთებში ცხოვრობდნენ. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი მდინარე კოდორზე გადიოდა. იგივეს აღნიშნავდა ჟან შარდენიც, რომელიც 1672 წელს იმყოფებოდა სამეგრელოში. აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვრის დამადასტურებელია კელასურის კედელიც, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, **„... ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღვდან მთამდე შეავლო ზღუდე ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“.** იმ დროისათვის ეს სასაზღვრო კედელი არა მხოლოდ პოლიტიკური საზღვარი იყო სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის, არამედ ეთნიკური საზღვარიც. „აფხაზთა გამოუსვლელობაში“ ვახუშტი არა მხოლოდ მათ საცხოვრებლად გადმოსვლას გულისხმობს, არამედ თარეშებს, მეკობრეობას. ფრანგი ბარონ დე ბაი აფხაზების შესახებ წერდა: **„აფხაზებს არც ასოები აქვთ, არც ანბანი. ჩერქეზების მსგავსად, ისინი თავს იყრიდნენ მეომართა კონფედერაციებში, რომლებსაც ჰყავდათ თავიანთი მთავრები, მეთაურები და თავისუფალი ადამიანები. მათ არა აქვთ, ისევე როგორც ჩერქეზებს, ვაჭრობისა**

და სოფლის მეურნეების წარმოების ალღო“. XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან მათ ძარცვასა და მოსახლეობის ტვედ წაყვანასთან ერთად, ტერიტორიების მიტაცებაც დაიწყეს. ამ დროს არიან თანამედროვე აფხაზები დასახლებული დღევანდელი ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში, რომლებსაც ისინი „აბჟუას“ უწოდებენ. აქ ისინი უპირატესად აფხაზეთის მთებიდან, ბზიფისა და კოდორის ზემო წელიდან არიან მოსული. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე აფხაზმა მთავრებმა – შარვაშიძეებმა ღალიძგიდან ენგურამდე ტერიტორიაც ჩაიგდეს ხელში. თავად გიორგი ანჩაბაძე ცოტა ქვემოთ წერს: *„ომების შედეგად XVII საუკუნის 60-80-იან წლებში აფხაზეთის საზღვრები კოდორიდან ენგურამდე გაფართოვდა“* (გვ. 77). მიგრირებულ აფხაზებს აქ ქართული მოსახლეობის ნაწილი დახვდა, მაგრამ ისინი დროთა განმავლობაში, როგორც ენობრივი, ისე ეთნიკური თვალსაზრისით გააფხაზდნენ, თუმცა ქართული გვარსახელები კი შეინარჩუნეს. აფხაზთა თარეშებისაგან ქართველები ენგურსგაღმიდან ენგურსგამოღმა რომ გამორბოდნენ, ეს ფაქტები საისტორიო საბუთებშიცაა დადასტურებული. მაგალითად, 1706 წლის „შეწირულობის სიგელში კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძისა ბიჭვინტისადმი“ ვკითხულობთ: „კიდევ **ნაჟანევს სოფელი საკათალიკოზო ნემსაძე კათალიკოზის ჴელშიდ აფხაზისაგან აყრილიყო,** ტყვაპ შარვაშიძეს სხვა დაეყიდა და ექვსი მოსახლე კაცი ყავდა. ის კათალიკოზიც ბევრს ედავა და ჩუენც; მაგრამ არც მას და არც ჩუენ პასუხი მოგუცა. რომ შარვაშიძე მოკუდა, მივედით ჩუენ და ნიშანიც მართებული ავიღეთ და ექვსი მოსახლე კაცის მეტი აღარ იყო და **ის წამოვიყვანეთ მისის ყოვლისფერითა:** ღრუბელაია ამ**ჴ**სნელი და მისი სახლისკაცი ელიშია ხუტალა და მისი ძმები; კიდევ ელიშია ხუხა და მისი ძმები ზუმალა, კოდია და მისი შვილები. კიდევ ჯგუბურია, სუბუქია და ბიგვაა; კიდევ ერთი მოსახლე კაცი ჯღერიას

ნაყმევი პაპა ხუცობავა და მისი ძმა **შარვაშიძისაგან სადეო კაცი იყო ჩუენი და იმაშიდ წამოვიყვანე და ხობს დავასახლეთ. არმანიაყვაპსეული კაცი მაგიერაშიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ.** კიდევ **ელიშა ხუნანაიასშკლი ეგურის გაღმიდამ წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ და ხიბულას დავასახლეთ“** (ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 647-648). 1712 წლის შეწირულობის წიგნშიც წერს კათალიკოსი, რომ „სხუა კიდევ ელიშახუ ნანაის შვილი ნარმანია და ხუცობავა პაპა ენგურიდაღმი ყველა ფასით აღმოვიყვანე, ზოგი ხიბულას დავასახლე და ზოგი ხობს“ (ქსძ, III, 1970, გვ. 647-648). ასე გაამეჩხერეს XVI-XVII-XVIII საუკუნეებში კელასურ-კოდორის აუზის იქით მცხოვრებმა აფხაზებმა, ადიღე-ჩერქეზებთან ერთად, კოდორსა და ენგურს შორის მდებარე სამეგრელოს „ქვეყანა“. საამისო გადმოცემები (ეთნოგრაფიული მონაცემები) არა ერთი და ორი აქვთ მეცნიერებს ჩაწერილი (იხ., მაგალითად, პ. ცხადაია. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004). აი, რას წერდა 1674 წელს კათოლიკე მისიონერი ძამპი: **„სამეგრელო აღარ არსებობს... დაქცეული და აოხრებულია... მუდამ აფხაზების თავდასხმის შიშშია... ალანები, ჩერქეზები, ჯიქები და აფხაზები იკლებენ ამ ქვეყანას და აწუხებენ ერსა და პატარებს“** (მ. თამარაშვილი. 1902, გვ. 204-207). ვიმეორებთ, სწორედ ამის გამო, ენგურს იქით მცხოვრები მეგრელები აქეთ გამორბოდნენ, რათა ტყვეობისათვის დაეღწიათ თავი. ჩრდილოეთ კავკასიელი ეთნიკური ერთობებისათვის ეს იყო საერთო მოვლენა, ცხოვრების წესი და სახსარი. საბოლოო შედეგი კი დემოგრაფიული აგრესია იყო. ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში დემოგრაფიული ანექსია არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ კავკასიონის ქედის მთელ პერიმეტრზე, ცენტრალურ საქართველოსა და აღმოსავლეთ კახეთშიც მიმდინარეობდა. საბოლო შედეგი სხვა რამეც იყო – ქართველი ერის დეეთნიზაცია.

ქართველი მკითხველისათვის სრულიად მოულოდნელი

იქნება მონაკვეთი, რომელსაც **„აფხაზთა ნაწილის გადასახლება ჩრდილოეთ კავკასიაში“** ჰქვია. მოგვყავს ვრცელი ციტატა: *„ერთიანი სამეფოს დაშლის პერიოდში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მძიმდება. **როგორც ჩანს,** გართულებულმა ვითარებამ, სათიბ-საძოვარი მიწების უკმარისობასთან ერთად, აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი აიძულა კავკასიონის გადაღმა გადასულიყო. ეს გადასახლება სპორადულად ხდებოდა და დაიწყო არაუგვიანეს XIV საუკუნისა, როდესაც წყაროებში პირველად ვხვდებით ცნობას აბასას ოლქის შესახებ მდინარე ყუბანის სათავეებთან. შემდეგ აფხაზთა მიგრაციის შესახებ ჩრდილოეთით მოგვითხრობენ XVII-XVIII საუკუნეებისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორები: ევლია ჩელები, ქსავერიო გლავანი, შარლ პეისონელი, იოჰან გიულდენშტედტი, იაკობ რაინეგსი, პეტრე პალასი, იან პოტოცკი, სიმონ ბრონევსკი, იოსებ დებუ და სხვ. აფხაზთა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლების პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. 1852 წელს რუსი სამხედრო მწერალი, ბარონი სტალი წერდა: „აბაზების გადმოსახლება აფხაზეთიდან დღემდე გრძელდება“.* სტალი მართლაც წერდა ამას, მაგრამ მთელი კატეგორიულობით გვინდა განვაცხადოთ, რომ გიორგი ანჩაბაძე ტყუილს წერს, როდესაც მის მიერ ჩამოთვლილ ათამდე ავტორს მიაწერს იმას, რომ ისინი მიუთითებენ აბაზების აფხაზეთიდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გადასახლების შესახებ. თანაც ეს პროცესი მისი თქმით საკმაოდ ხანგრძლივი ყოფილა და ის XIV საუკუნიდან თურმე XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მიმდინარეობდა. მის მიერ დასახელებული ყველა ავტორის თხზულება რუსულ ენაზე თარგმნილია და დაბეჭდილია წიგნში „Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик, 2010. Вып. III“. საერთოდ, ასეთი სიყალბის შემდეგ ძნელია ავტორის სამეცნიერო ნაშრომების ხარისხში დარწმუნება. სხვათა შორის წიგნში აღნიშნული

სიყალბე რუკის სახითაც არის წარმოდგენილი. მასზე აფხაზეთი წარმოდგენილია წარწერით: **„ძველი ანუ დიდი აფხაზეთი (დიდი აბაზა)“.** ხოლო აფხაზეთის მოსაზღვრე ჩრდილოეთ კავკასიის ერთ მონაკვეთს აწერია **„მცირე აფხაზეთი (მცირე აბაზა)“.** ისტორიას მტკიცე და უტყუარი წყაროები სჭირდება. ისტორია არც ამა თუ იმ ხალხისადმი სიმპატიებითა და ანტიპატიებით იწერება. რადგან აბაზებზე ჩამოვარდა საუბარი, გვინდა აღვნიშნოთ, რომ **აბაზებიცა და მათი მონათესავე ადიღე-ჩერქეზები განსაკუთრებული ცხოვრების წესით გამოირჩეოდნენ და ახასიათებდათ მოძრაობითობა; ისინი ნახევრად მომთაბარენი იყვნენ (რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა) და ხშირად იცვლიდნენ საცხოვრისს, განსახლების არეალს.** XIX საუკუნის 40-50-იან წლებშიც კი აბაზებს ეთნიკური ტერიტორია, განსახლების არეალი არ ჰქონდათ გამოკვეთილი. სინამდვილეში ისინი თავდაპირველად შავიზღვისპირეთში – ტუაფსედან აფხაზეთამდე – ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნეშიც აბაზელთა დასახლებები იმდენად მოძრავი იყო, რომ მათი ლოკალური ჯგუფების ტერიტორიების განსაზღვრა ძალიან ძნელია – ხშირად ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებულნიც იყვნენ. კლაპროთის ცნობით, აბაზი ბარაკაელები აფხაზეთშიც იყვნენ მიგრირებულნი და სოხუმის მახლობლადაც ცხოვრობდნენ. მათი მიგრაცია მდინარეების ბზიფისა და აფსტის სათავეშიც (ქვაბულში) ხდებოდა (ფსხუელები). XX საუკუნის 30-იან წლებში აშხარელი აბაზები ფსხუში დასახლდნენ და მოგვიანებით უკან გაბრუნდნენ. სინამდვილეში კი ასე იყო – **ხანდახან ნახევრადმომთაბარე აბაზები აფხაზეთის მთიან ნაწილშიც გადმოდიოდნენ და გარკვეული ხნის შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ.** ანალოგიური ცხოვრების წესი (დასახლების არასტაბილურობა) ჰქონდათ მათ მონათესავე ადიღე-ჩერქეზებს, რაც განპირობებული იყო ევრაზიის ნომადურ სამყაროსთან სიახლოვით. ევრაზიის სტეპებთან ერთად

გლობალური მიგრაციის გზაზე მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობიც, სადაც უძველესი დროიდან აღმოსავლეთიდან (ცენტრალური აზიის სიღრმიდან) დასავლეთის მიმართულებით ნომადები მოძრაობდნენ. ბევრი მათგანი კავკასიაშიც სახლდებოდა (უმთავარესად დაბლობსა და მთისწინეთში); შესაბამისად კი ხშირად ძირეულად იცვლებოდა რეგიონის ეთნიკური რუკაც (ასეთი მიგრაციული პროცესები კი არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაზე ახდენდა გავლენას, არამედ სამხრეთ კავკასიაზე. მაგალითად, შეიძლება მონღოლები გავიხსენოთ, რომელთა ქმედებებმა ჩრდილოეთ კავკასიელთა საქართველოში გადმოსახლება გამოიწვია და გააქტიურა თარეშები). ასეთი ცხოვრების წესის მატარებელნი (ნახევრადმომთაბარეები) კი გიორგი ანჩაბაძემ აფხაზეთიდან მიგრირებულებად გამოაცხადა. შეუძლებელია აქ არ დავიმოწმოთ აბაზების ისტორიისა და ეთნოლოგიის ცნობილი სპეციალისტი ლეონიდ ლავროვი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აბაზები არა აფხაზეთიდან არიან გადასახლებული, არამედ აფხაზეთიდან ჩრდილო-დასავლეთი შავი ზღვის სანაპიროდან: **„Абазины переселились не из Абхазии и не конце XVII века, . . . а с Черноморского побережья на северо-запад от Абхазии (то есть район Адлера, Сочи, Вордане, Головинки), и это впервые произошло гораздо раньше XVII века, примерно XIV-XV веках"; „В литературе нельзия найти ни одного народного предания, которое подтверджало бы факт переселения абазинского народа из Абхазии"** (Л. И. Лавров. Избранные труды по культуре абазин, адыгов, карачаевцев, балкарцев. Нальчик, 2009б стр. 22, 34). იმავე მიგრაციულ მიმართულებაზე მიუთითებენ იური ანჩაბაძე და ნატალია ვოლკოვა: «...исходной областью миграции абазин на Северный Кавказ было Восточной Причерноморье – горные и прибрежные районы, откуда они начали переходить за Кавказский хребет еще до XVI" (Ю. Д. Анчабадзе, Н. Г. Волкова. Этническая история Северного Кавказа XVI-XIX века, М.,

1993, с. 36). ეს ის ტერიტორიაა, რომელსაც 1825 წელს გამოცემულ ფრანგულენოვან რუკაზე „დიდი აფხაზეთი" აწერია და, რომელიც თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთითაა ფსოუდან ტუაფსებდე. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე კი აბაზების//აფსუების შემოჟონვა-შემოსახლება ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მცხოვრები იმ ტერიტორიებიდან, რომელზედაც აბაზები მოძრაობდნენ (ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს). ამ შემოსახლებებს კი წინ მუდმივი თარეშები უძღოდა. აბაზების თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიიდან გადასახლების შესახებ მიუთითებდა ვლადიმირ გუდაკოვიც: **«Этносом, заявившим о себе в XIII в. на С.-З. Кавказе, были абазинцы, пришедшие в верховья Кубани с территории, находившейся к северо-западу от Абхазии"** (В.В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX Века. – СПб., 2007, с. 152). დასახელებული ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ აბაზების მიგრაციას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რამაც ცოტა ადრე განაპირობა ყაბარდოელების დასახლება; ეს იყო მონღოლთა შემოსევებით განპირობებული დასავლეთ ალანიის გაუკაცრიელება (გვ. 153). აბაზების შესახებ იგივეა აღნიშნული მათზე დაწერილ განმაზოგადებელ წიგნში, რომ ისინი ცხოვრობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდინარეებს ტუაფსესა და ბზიფს შორის და რომ XIV-XVII გადასახლდნენ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე. იმაზედაც მიუთითებენ, რომ ჩრდილოეთკავკასიელი აბაზები შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ თანამემამულეებზე თარეშობდნენ (Абазины (историко-этнографический очерк). Черкесск, 1989, с. 3, 18).

ლეონიდ ლავროვს გარკვეული აქვს, რომ აფსუების (დღევანდელი აფხაზების) მონათესავე აბაზები თავდაპირველად ფართოდ იყვნენ განსახლებული ჩრდილო-დასავლეთ

კავკასიაში და რომ ჩერქეზების მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩერქეზებული აბაზები არიან: «Значительная часть черкесских племен является очеркшенными абазинами” (стр. 40). არა მარტო აბაძეხები, არამედ სხვა ადიღეურ-ჩერქეზული ტერიტორიული ჯგუფებიც ძირად აბაზები არიან. **სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ ჩერქეზებსა და აბაზებს შორის ლინგვისტური საზღვარი XVI საუკუნის პირველ ნახევარში გადიოდა ყუბანის შესართავთან, XVII საუკუნის პირველ ნახევარში კი ამ საზღვარმა ტუაფსესთან ჩამოიწია, ხოლო XIX საუკუნეში უკვე გადიოდა თანამედროვე სოჭის სიახლოვეს** (გვ. 126). დიახ, **ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ტომების მოძრაობითმა ხასიათმა გამოიწვია ქართული აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აბაზური// აფსუური ეთნიკური ერთობის დასახლება და ეთნონიმის „აფხაზი“ მათზე გადატანა.**

გიორგი ანჩაბაძე შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: *„ამრიგად, კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე (ყუბანისა და მისი მარცხენა შენაკადების ზემო წელზე) აფხაზური ტერიტორიულ-ტომობრივი ჯგუფები მკვიდრობდნენ. აქედან გამომდინარე. ევროპელი და რუსი ავტორები ისტორიულ აფხაზეთს „ძველ“ ან „დიდ აფხაზეთად“ მოიხსენიებდნენ, აბაზებით დასახლებულ მხარეს კი – „მცირე აფხაზეთად“* (გვ. 76). სინამდვილეში ყველაფერი იმ ევროპელი და რუსი ავტორების ინფორმაციაა, რომლებიც ცარიზმის დაკვეთით წერდნენ; მათი მიზანი იყო მკითხველის სიყალბეში დაჯერება. მაგალითად, ამას წერდა 1867 წელს ევგრაფი კოვალევსკი: «По пространству территории и по численности населения первую можно назвать Большой, а по древности жительства обитателей ее – Старой Абхазией; вторую же по малочисленности жителей и по недавности выселения их прежней родины – Малой, или Новой, Абхазией” (Е. Ковалевский. Очеркм этнрграфии Кавказа. – Кавказ: Черкезия. Нальчик, 2014,

вып. 17, стр.121). გიორგი ანჩაბაძე ზოგიერთი რუკის მონაცემების ყალბ ინტერპრეტაციებს უნდა შეეშვას და უნდა მიუთითოს, რომ საუბარია XVIII და XIX საუკუნეებზე, როცა აფსუებს (აბაზებს) უკვე ჰქონდათ დაპყრობილი ტერიტორიები ენგურამდე. აქ გვინდა ნიკო ბერძენიშვილი დავიმოწმოთ: **„ცარიზმის აგენტების საქმიანობას, ცარიზმის ცრუ-მეცნიერთა „მოღვაწეობას“ უკვალოდ არ ჩაუვლია. მათ შექმნეს აფხაზთა შორის საკუთარ კულტურული წარსულის უბადრუკ უარისმყოფელთა ჯგუფები, საქართველოსთან საერთო კულტურის უარისმყოფელთა ჯგუფები, უნდობლობა-სიძულვილის შხამით მოწამლეს მათ მოძმე ტომების ურთიერთობა, ცრუ-მეცნიერული გამოკვლევებით უსიერ ბურუსში გახვიეს მათ ჩვენი ქვეყნის წარსული საერთოდ და ამ მხარისა კერძოდ“** (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 350). ლოგიკური კითხვა ჩნდება: ხომ არაა გიორგი ანჩაბაძე „ცარიზმის აგენტების საქმიანობის“ გამგრძელებელი?

კვლავ უნდა დავუბრუნდეთ თანამედროვე აფხაზეთის „დიდ აფხაზეთად (დიდ აბაზად)“ და ჩრდილოეთ კავკასიაში აბაზთა განსახლების არეალისათვის „მცირე აფხაზეთად (მცირე აბაზად)“ მოხსენიებას. „დიდი აფხაზეთი“ მართლაც გვხვდება ლეონიდ ლავროვთან, მაგრამ ის მას განათავსებს არა მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთით (ე. ი. თანამედროვე აფხაზეთში), არამედ ჩრდილოეთით. ამავე დროს, ლავროვი დიდი აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობას მიაწერს პ. პალასს: «У П. С. Палласа (1793-1794) «туби и убух” отнесены к Большой Абхазии, причем опять-таки на северном склоне Главного хребта: «Живут в горах, в верховьях Шаукеша (черкесское название р. Белой – шхагуаше. – Л. Л.) и распространены западнее” (Л. Лавров. Убыхи: Историко-этнографическая монография. СПб, 2009, стр. 30). პეტერ-სიმონ პალასის თხზულებაში დიდი ადგი-

ლი აქვს დათმობილი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა აღწერასა და დახასიათებას. საერთოდ ის არ ეხება თანამედროვე აფხაზეთს, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით კი ის საკმაოდ დაწვრილებით საუბრობს აბაზებზე და აქვე გამოყოფს მცირე აბაზასა და დიდ აბაზას (დაწვრილებით იხ.: Кавказ: европейские дневники XIII-XVIII веков. – Нальчик, 2010. Вып. III., стр.247-283). სიმართლე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის აღსანიშნავად ტერმინი „დიდი აფხაზეთი“ გამოყენებული აქვს 1828 წელს დაბეჭდილ ნაშრომში ცნობილ იტალიელ გეოგრაფს და სტატისტიკოსს ანდრიან ბალბის, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში ტაპანტელი აბაზების ტერიტორიას მცირე აბაზად მოიხსენიებს: «Абассы разделяются на многие орды, из коих главные суть следующие: собственно называемы абассы, или авхазы, живущие в Абхассети, или Великой Абхазии, которая простирается вдоль полуденного Кавказа и северо-восточного береги Черного моря. . . . . Тапанты, коих татары называют альти-кессек-абазы, занимают Малую Абазию, составляющую часть Черкесии” (Кавказ: племена, нравы, язык. – Нальчик, 2011, стр. 30). ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის რომელიმე ავტორის, თანაც მეცნიერის, ასეთი ინტერპრეტაცია წყაროდ ვერ გამოგვადგება. აღნიშნული ტერმინები რომელიმე ქართველ, სომეხ, არაბ, სპარს, თურქ მემატიანეს რომ ჰქონოდა დაფიქსირებული, მაშინ შეიძლება ანგარიშგასაწევი ყოფილიყო. უმთავარესი კი ქართული წყაროებია, რომელთათვის მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთი არსებობდა და არა ე. წ. დიდი აფხაზეთი. „დიდი აფხაზეთი“ რუსების მიერაა შექმნილი. ასეთ ტერიტორიად კი მათ მიაჩნდათ არა თანამედროვე აფხაზეთი, არამედ მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ზღვისპირა ტერიტორია მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთით. საამისოდ შესანიშნავი წყაროა 1825 წელს სანკ-პეტერბურგში რუსულ და ფრანგულ ენებზე შედგენილი «Генеральная карта Кавказской области и земель горских народов”,

რომელზედაც გიორგი ჭეიშვილმა მიგვითითა. ეს რუკა უფრო სხვა დასკვნის საშუალებას გვაძლევს. ქართული წყაროებით ცნობილია, რომ ისტორიული აფხაზეთი ჩრდილოეთით თანამედროვე აფხაზეთიდან საკმაოდ შორს – მდინარე კელასურიდან მდინარე ნიკოფსიამდე გრძელდებოდა. ლეონტი მროველი ხომ წერდა, რომ თარგამოსმა თავის რვა შვილს დაურიგა ქვეყნები, კერძოდ, „ეგროსს მისცა ლიხიდან ზღვამდე და ხაზარეთის მდინარემდე...“. როგორც დიმიტრი ლეთოდიანმა ქართული და უცხოური წყაროებით გაარკვია, თავდაპირველი აფხაზეთი//აბაზგია ძირითადად თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, რომელიც ბიზანტიელებმა 550 წელს ფაქტობრივად გაანადგურეს და არა მხოლოდ მათი პოლიტიკური ერთეული, არამედ მისი მკვიდრნიც – აფხაზები. ფაქტობრივად შავი ზღვის აღნიშნულ მონაკვეთი მოსახლეობისაგან დაცარიელდა, თუმცა „სახელი „აფხაზი“ („აბაზგი“) და „აფხაზეთი“ („აბაზგია“) ბიზანტიელებმა კი არ გააუქმეს, არამედ შეინარჩუნეს და ბიჭვინთის დასავლეთიდან, ვიდრე ჯიქეთამდე, ძირითადად სანიგებით დასახლებულ ტერიტორიაზე, გაავრცელეს და დაამკვიდრეს, როგორც პოლიტონიმი“ (დ. ლეთოდიანი. აფხაზეთი, თბ., 2012, გვ. 138-139). ისევ უნდა დავუბრუნდეთ გიორგი ანჩაბაძეს და ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, მან გააცოცხლა ცარიზმის მოხელე მეცნიერებისაგან გამოგონილი (და კარგა ხნის მივიწყებული) სახელწოდებები, რომელსაც მეცნიერებასთან არაფერი საერთო არა აქვს.

აბაზებზე რადგან ჩამოვარდა საუბარი, მკითხველს გვინდა ორიოდე სიტყვით შევახსენო, რომ ტრაპიზონელი კათოლიკე სომეხი მინას მედიჩი, რომელმაც 1815 და 1819 წლებს შორის იმოგზაურა შავი ზღვის გარშემო, თანამედროვე აფხაზებს აბაზებად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ აბაზები სკვითური მოდგმისანი არიან და კავკასიაში დიდი სათათრეთიდან არიან მოსული, რის შემდეგაც ზღვის სანაპიროზე მეგრელებს შეე-

რივნენ: «Абаз же – из скифских племен, как видно, пришедших из великой Татарии и поселившися здесь. И, живя по соседству с мегрелами, они (Абазы) со временем приобщились к христианству и смешались с ними на морском побережье” (Л. М. Меликсет-Беков. PONTICA TRANSCAUCASICA ETNICA. – Советская этнография, №2, 1950, с. 169). მინას მედიჩი იმასაც აღნიშნავს, რომ უწინ მდინარე კოდოში (=კოდორი) აბაზებსა და მეგრელებს შორის საზღვარი იყო. ხაზგასმულია, რომ აბაზა ვრცელდება სოხუმიდან იმ ადგილამდე, სადაც ბინადრობენ სკვითი თათრები და სადაც აბაზები შერეული არიან მეგრელებთან და თურქებთან, და ბევრად განსხვავდებიან ანაპის ნამდვილი აბაზებისაგან (გვ. 170). ამასთანავე, ანაპის რაიონში მცხოვრები აბაზები დანარჩენთაგან განსხვავდებიან; მათი მთავარი საცხოვრისი მდინარე ყუბანია; მათი ქვეყანა იწოდება აბაზად ანუ აბასად ანუ აბხასად (გვ. 172). აგრეთვე: ამ ადგილის აბაზები უმარილო საჭმელს ჭამენ; საერთოდ არ ჭამენ თევზს; ბევრს ჭამენ ხორცსა და რძის პროდუქტებს. ძალიან უყვართ ნადირობა, ყაჩაღობასა და თარეშს გმირობად მიიჩნევენ [...Большинство абазов этих мест прокаженные вследствие того, что они употребляют пресную пищу. Они совершенно не едят рыбу. Мяса и молочных продуктов едят много; имеют овец и коз. Они будучи дикими, очень любят охоту, и разбой считается у них за геройство, почему они обучают разбою и своих мальчиков, которые, достигнув возмужалоти, учатся, как стрелять, охотиться и похищать людей. Потому-то их крепости или древние города дошли разрушенными на поверхности земли. Праздным выглядит их город, а также гражданские дела, ибо город – это место для жительства приличного человека, а не для дикарей” – (Советская этнография, №2, 1950, с. 172]. მინას მედიჩის მიერ ყველაფერია ნათქვამი: აბაზები (ანუ თანამედროვე აფხაზები) სრულიადაც არ არიან ძველი აფხაზების შთამომავლები არც თავისი სამეურნეო საქმიანობით, არც სოციალური თვალსაზ-

რისით და, სხვათა შორის, არ სულიერი ასპექტით – სომეხი ავტორი რამდენიმე ადგილას ხაზს უსვამს მათი პრიმიტიული რწმენა-წარმოდგენების შესახებ; ისინი ხეების თაყვანისმცემლები იყვნენ. ძველი აფხაზები ხომ ერთ-ერთი ძირძველი ქრისტიანები იყვნენ, სადაც მათ აგებული ჰქონდათ ათობით ტაძარი. დავსძენთ იმასაც, რომ აბაზების აღწერილი ყოფა თითქმის ანალოგიური იყო ადიღეელების ყოფა-ცხოვრებისა, რომლებსაც ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონიათ. თანამედრობე აფხაზები//აბაზები//აფსუები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული ტერიტორიების ძველი მკვიდრები რომ არ იყვნენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ მათ (და ადიღე-ჩერქეზებს) არ ჰქონდათ სალოცავი ნაგებობა ან მისი მსგავსი.

ზედმეტი ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, რომ ეთნოგრაფიული ჯგუფის – აფხაზის და მათი განსახლების არეალის – აფხაზეთის სახელწოდენანი ქართველურია. მეგრულად „აფხა“ ნიშნავს ზურგის ნაწილს – ბეჭს (გაიოზ ერაძე, ამირან ლომთათიძე, რევაზ შეროზია). კოლხები//მეგრელები თავის თანამოძმეებს, რომლებიც მათ უკან, „ზურგით“ ცხოვრობდნენ, აფხაზებს უწოდებდნენ. ამ არგუმენტს შალვა გლოველიც იზიარებს (ლეონ II, თბ., 2020, გვ. 136). ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში კი არაერთხელა დადასტურებული, როდესაც ადრე გარკვეულ ტერიტორიაზე მკვიდრთა სახელწოდება გარეშეთ ახალად მოსულ, განსხვავებულ ეთნიკურ ერთობაზე გადააქვთ. ჯერ კიდევ ჰეროდოტე აღნიშნავდა, რომ **„ქვეყანას, ანუ კონკრეტულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიას, ერთი ეთნოსი ასახლებს და ეს უკანასკნელი ქვეყნის სახელის მოხედვით იწოდება“** (ვ. ვაშაკიძე. „საზღვრის“ ცნება კლასიკური და მომდევნო ხანის ბერძნულენოვან ტექსტებში. – ქრონოსი, 3, 2022, გვ. 39). სხვათა შორის, ანალოგიური რამ მოხდა დვალეთში ოსების დასახლების შემდეგაც – „ქვეყნის“ სახელწოდებიდან

გამომდინარე, ქართული წყაროები იქ მოსულ და დაკვიდრებულ ოსებს, გარკვეული ხნის განმავლობაში, დვალებს ან ორმაგ სახელწოდებას – „ოსნი დვალნი“ უწოდებდნენ. ჰეროდოტეს ამ ერთწინადადებაში ისიცაა ნათქვამი, რომ **„ქვეყანას, ანუ კონკრეტულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიას, ერთი ეთნოსი ასახლებს“,** ე. ი. შეუძლებელია ერთ ტერიტორიაზე ერთდროულად ორი ეთნოსის მოსახლეობა, უფრო მეტი, ეთნოგენეზი. ასე რომ, ორაბორიგენობას ისტორიის მამად წოდებულის ეს თეზისი საფუძველს აცლის.

კვლავ უნდა დავუბრუნდე მოსახლეობის მიგრაციას. ჩვენთვის ხელშესახები ისტორიის მანძილზე ფაქტობრივად არ ყოფილა სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ცალკეული ეთნოსების ან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გადასახლება. პირიქითი პროცესი კი მიმდინარეობდა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ნამატ მოსახლეობას არ ჰქონდა საშუალება ჩრდილოეთით, დაბლობში გადასახლებისა, რადგან ევრაზიის სივრცის მომთაბარენი და ნახევრადმომთაბარენი ამის საშუალებას არ იძლეოდნენ. ბუნებრივია, მით უფრო, გამორიცხული იყო სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ეთნიკური ერთეულების იქით გადანაცვლება. არც აფხაზეთის მკვიდრებს შეეძლოთ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გადასახლება. ჩრდილოეთ კავკასიელთა სამხრეთით გადმონაცვლება მონღოლების შემოსევისას ხელახლა დაიწყო. ველებში მოსახლე ოსები და ყივჩაღები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. ოსების ერთმა ნაწილმა მოახერხა საქართველოს ტერიტორიებზე (დვალეთი, შიდა ქართლის მთიანეთი, თერგის ხეობის სათავე – თრუსო) შემოღწევა. დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარმა საქართველომ მიგრანტ ოსებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია; პირიქით, მეფე-თვადები ხშირად იწვევდნენ და არეგულირებდნენ მათ ჩამოსახლებას. შემდეგ, შედარებით გვიან, XVII საუკუნიდან დიდი უბედურება

დაატყდა აღმოსავლეთ კახეთს. ლეკების მიგრაციამ შეცვალა აქ ეთნიკური ვითარება და ადგილზე დარჩენილი ქართული მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მოსულ ლეკებში გაითქვიფა. მიზეზი ცნობილია – ქართველ გლეხებს ფეოდალურ ურთიერთობებში ცხოვრებას თავისუფალი თემების სახით დასახლებულ ლეკთა სოფლებში ცხოვრება ერჩივნათ. „კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავდნენ და ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლევდა: კახელი გლეხი „გალეკებაში“ უბატონობას ეძებდა“ (ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 163). ამ მხრივ, არც აფხაზეთი იყო გამონაკლისი; აქაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან გადმოსულები თავისუფალი თემების სახით ესახლებოდნენ და, ამის გამო, ბევრი ადგილობრივი ქართველი (მეგრელი), ამ მიგრირებულ აბაზებსა და ადიღე-ჩერქეზებს შეერია და „გააფხაზდა“, რასაც დღევანდელ აფხაზთა გვარებიც ადასტურებს. ქართველი გლეხებიც „გააფხაზებაში“ უბატონობას ხედავდნენ. აი, რას წერდა ნიკო ბერძენიშვილი: **„აწინდელი ტერიტორიული მოცულობით აფხაზეთი XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოიკვეთა. კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვეყანა ფეოდალური ურთიერთობის დასაწყისიდანვე (ხოლო ტრადიციით – უძველესი დროიდანვე) ეგრისში შედიოდა, აფხაზეთში ეს ქვეყანა XVII ს-ში შევიდა. ეს პროცესი (მთიელთა ჩამოწოლა ბარში) საერთო დამახასიათებელი მოვლენა იყო გვიანფეოდალურ საქართველოში, რის შედეგადაც ერთის მხრივ მივიღეთ ჭარ-ბელაქან-საინგილო, მეორეს მხრით თიანეთის მხარე, მესამე მხრით სამხრეთ ოსეთი, ხოლო იქ, დასავლეთში, mutatis mutandis** (ლათ. მუტატის მუტანდის – სათანადო ცვლილებების, შესწორებების შეტანით – რ. თ.), **აწინდელი აფხაზეთი“** (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ.,1966, გვ. 288). საქართვე-

ლოს ისტორიის უფრო ადრინდელი ამბავიც შეიძლება გავიხსენოთ: ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული დურძუკები მეფე საურმაგმა „დასხნა მთიულეთს დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“. მეფემ ისინი შინაურ მტრებთან საბრძოლველად გადმოიყვანა და სამაგიეროდ განასახლა და გაფანტა თითქმის მთელ საქართველოს მთიანეთში, რადგან დურძუკეთი გადამეტსახლებული იყო.

ნიკო ბერძენიშვილი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით შემდეგ დასკვნასაც აკეთებს: **„აფხაზებს უეჭველია, მონათესაური და კულტურული კავშირი ჰქონდათ კავკასიანებთან (ჩერქეზ-ადიღეურ ტომებთან). ამ მოვლენის მეცნიერული წარმოჩენა საჭიროა და სასურველი, ოღონდ ასეთი რამ არ უნდა ამჟღავნებდეს მავნე ტენდენციას მეზობელ ქართველ ტომებთან ნათესაური და დიდი კულტურული კავშირის დამცირება-მიჩქმალვას, ასეთი მავნე ტენდენცია – გამოთიშვა საქართველოს ფეოდალური კულტურის სამყაროდან უზომოდ გააღარიბებდა აფხაზი ხალხის ისტორიას; ეს იქნებოდა აფხაზი ხალხის ისტორიის გაძარცვა, ისტორიული სინამდვილის შეუწყნარებელი დამახინჯება** (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 288). დიახ, გიორგი ანჩაბაძის მხრიდან მოხდა ქართველთა ისტორიის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დამცირება-მიჩქმალვა და ქართველთა ისტორიული სინამდვილის შეუწყნარებელი დამახინჯება.

აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ფრანგ მეცნიერს ვლადიმირ გუდაკოვს, რომელიც აღნიშნავდა, რომ ადიღეელებს შემორჩენილი აქვთ სტეპური წეს-ჩვეულებები: «Однако какое-то время у адыгов сохранялось какие-то слабые отголоски степного обычая в виде каких-то общепринятых психологических установок”

(В.В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX Века. – СПб., 2007, с. 57). ვლადიმირ გუდაკოვს არც ის გარემოება გამორჩენია მხედველობის არედან, რომ მეცნიერებაში არსებობს საინტერესო ჰიპოთეზა, რომ პროტოადიღეელები არ მიიჩნევიან კავკასიის ავტოქტონურ მოსახლეობად და რომ მათი მიგრაცია ჩინეთის ტერიტორიიდან მოხდა. ავტორი იმასაც დასძენს, რომ უკანასკნელი ეთნოლინგვისტური გამოკვლევებით დასტურდება გენეტიკური სიახლოვე ადიღეურ-აფხაზურსა და ჩინურ ენებს შორის (В.В. Гудаков, გვ. 31). ანთროპოლოგიური და ლინგვისტური მასალების ანალიზის საფუძველზე ავტორს მიღებული აქვს დასკვნა, რომ პროტოადიღებს ეთნიკური კონტაქტი ჰქონდათ ქართველებთან; აფხაზების ეთნოგენეზში მონაწილეობა მიიღეს დასავლეთქართველებმა. უმჯობესია ვლადიმირ გუდაკოვის წიგნიდან ციტატის მოხმობა: «Протоадыги имели также этнические контакты с грузинами, правда не напрямую, а через посредство абхазов, находившихся к юго-востоку от протоадыгских субэтносов. Согласно одной из точек зрения, особое положение абхазов в составе адыго-абхазского лингвистического и этнического объединения объясняется «их близостью к западпгрузинкому типу”, и даже этногенез абхазов связывается с переходом «какой-то группы западных грузин на адыгскому речь [Климов, 1986, с. 180]” (В.В. Гудаков, გვ. 69). მოყვანილი სამეცნიერო დებულებების გაცნობის შემდეგ ცხადია, რომ თანამედროვე აფხახეთისა და მის ჩრდილო-დასავლეთი ზღვის სანაპირო არ იყო აბაზთა//აფსუათა//თანამედროვე აფხაზების განსახლების არეალი – მათი წინაპრები, პროტოაფხაზები და პროტოადიღეელები მოსული არიან სტეპების ზონიდან, რომლებსაც აქ დახვდა ქართველური ეთნიკური ერთობა. აღნიშნულიდან გამომდინარე საფუძველი ეცლება ე. წ. ორაბორიგენობის „თეორიას“.

გიორგი ანჩაბაძეს ეჭვი შეაქვს ქართველთა ეთნიკურ ცნობიერებაში. მონაკვეთში, რომელის სათაურია „ეთნოკულტურული ვითარება XV-XVIII საუკუნეების აფხაზეთში“, ის წერს: *„წყაროთა სიმწირის გამო ძნელია განსაზღვრა, რამდენად ძლიერი იყო საქართველოს სამეფოს მოსახლეობის ფართო ფენებში „კულტურულ-პოლიტიკური“ ქართველობის შეგრძნება, თუმცა ცხადია, რომ ფეოდალური ელიტა და მწიგნობარ-სწავლულთა წრე ამ ფაქტს საკმაოდ მკაფიოდ აცნობიერებდა“* (გვ. 77). თუმცა იქვე მკითხველს აუწყებს, რომ *„ერთიანი საქართველოს ნანგრევებზე აღმოცენებული სამეფო-სამთავროების აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „საქართველონი“, რაც საერთო-ეროვნულ თვითშეგნებაზე მიუთითებს“.* აგრეთვე: *„ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულების წარმომადგენლები ქართველებად იწოდებოდნენ და ლოკალური განსხვავებების მიუხედავად, ინარჩუნებდნენ ეროვნულ-კულტურული მთლიანობის შეგნებას“* (გვ. 77). ყველაფერი ამის შესახებ საუბარი ავტორს იმიტომ დასჭირდა, რომ ეთქვა აფხაზეთში განსხვავებული ვითარება შეიქმნაო და შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: *„ამრიგად, აფხაზური ეთნოსი, რომელიც თავიდანვე მონაწილეობდა ერთიანი საქართველოს შენებაში და მისი ხალხის ნაწილად აღიქმებოდა, შუა საუკუნეების მიწურულში, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ფონზე, ფაქტობრივად, გამოდის ამ ფარგლებიდან, მიუხედავად მრავალი „ძაფისა“, რომელიც კვლავინდებურად აკავშირებდა აფხაზეთს საქართველოსთან. ამიტომ აფხაზეთში ფეხი ვერ მოიკიდა ერთიანი ქართველი ხალხისადმი კუთვნილების შეგრძნებამ“* (გვ. 79). ბოლოსწინა წინადადებაში წესით ერთი სიტყვა უნდა ყოფილიყო. ეს სიტყვაა „ერთიანი“, რომელიც საქართველოს წინ უნდა დაეწერა. ამ სიტყვის ჩასმით მკითხველი იგრძნობდა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. **სინამდვილეში, აფხაზთა გაუცხოვება ერთიანი საქართველოს მოსახლეობისაგან გამოწვეული იყო იმ მიგრაციული პროცესებით, რომელიც აქ XV საუკუნიდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან მიმდინარეობდა. მხედველობაში გვაქვს აბაზებისა და სხვადასხვა ადიღეური ეთნიკური ერთეულების წარმომადგენელთა მიგრაცია აფხაზეთში,** რაზედაც გიორგი ანჩაბაძე კრინტს არ ძრავს. საამისო ეთნოგრაფიული მასალა ბევრი ჰქონდა ჩაწერილი ეთნოლოგ ნინო (თალიკო) თოფურიას; ამ მასალებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისა იყო მონაცემები მიგრირებული გვარების ჩრდილოეთ კავკასიაში სალოცავად სიარულის შესახებ – კავკასიელები მიგრაციის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში არ ივიწყებდნენ ძირ-სალოცავს. გიორგი ანჩაბაძე კი კავკასიელი მთიელების ჩამოსახლებას „დაუმტკიცებელ ვარაუდებს“ უწოდებს (გვ.80). ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიან შუა საუკუნეებში მოსახლეობის (ცალკეული გვარების) გადმოსახლების არა ერთი და ორი ფაქტი აქვს მოხმობილი პაატა ცხადაიას. ამავე მკვლევარს არა ერთი და ორი ფაქტი აქვს მოყვანილი იმის შესახებ, რომ XX საუკუნეშიც კი ეთნიკური აფხაზების (აბაზების) მთელი რიგი გვარები ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალ თანამემამულეებს მონეტებს ატანდნენ თავიანთ წინაპრების სალოცავებში შესაწირად.

XV საუკუნეში აფხაზეთში, უფრო სწორად, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ეთნიკური თვალსაზრისით მოსახლეობა რომ შეიცვალა, კარგად ჩანს 1470-1474 წლებით დათარიღებულ „მცნებაჲ სასჯულოჲ“-დან: **„და აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს“** (ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 222). რას უნდა გამოეწვია ქრისტიანობისაგან განდგომა? – რა თქმა უნდა, ძველი, ადგილოვრივი მოსახლეობის გაწყვეტას, ტყვედ წაყვანას და ენგურს აქეთ გადამოსახლებას, შესაბამისად, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან სხვა ეთნიკური ერთობის გადმოსახლებას.

ბუნებრივია, გიორგი ანჩაბაძე პავლე ინგოროყვას მონოგ-

რაფიასაც („გიორგი მერჩულე“) შეეხო, რომელიც ამტკიცებდა, რომ თანამედროვე აფხაზები ჩრდილოკავკასიელთა შთამომავლები არიან, რომლებიც ჩამოსახლდნენ XVII საუკუნეში და ადგილობრივ აფხაზთა ეთნონიმი მიიღეს, რომლებიც წარმოშობით ქართველები იყვნენ (უფრო მართებულად, გარეშეებმა უწოდეს ასე. თავდაპირველი აფხაზების (აბაზგების) ჩვენთვის პირველი განადგურება 550 წელს ბიზანტიელებმა მოახდინეს; ეს მოხდა ბიჭვინთის დასავლეთიდან ვიდრე ჯიქეთამდე (მდინარე აქეუნტ-შახემდე). „550 წლიდან აბაზგთა ტომი, როგორც ეთნოპოლიტიკური ერთეული კოლხეთის ტერიტორიაზე აღარ არსებობს. ის ბიზანტიელებისაგან მოისრა, თუ ვინმე ცოცხალი გადარჩა, ისიც ბიზანტიელებისაგან დევნილ-შევიწროვებული დაითრგუნა... მაგრამ სახელი „აფხაზი“ („აბაზგი“) და „აფხაზეთი“ („აბაზგია“) ბიზანტიელებმა კი არ გააუქმეს, არამედ შეინარჩუნეს და ბიჭვინთის დასავლეთიდან, ვიდრე ჯიქეთამდე, ძირითადად სანიგებით დასახლებულ ტერიტორიაზე, გაავრცელეს და დაამკვიდრეს, როგორც პოლიტონიმი“ (დ. ლეთოდიანი. აფხაზეთი, თბ., 2012. გვ. 138-139). სხვათა შორის, მსოფლიოს ხალხების ეთნიკურ ისტორიაში ასეთი ფაქტი არა ერთი და ორია, როდესაც ერთი ეთნიკური ჯგუფის სახელწოდება გადააქვთ სრულიად განსხვავებულ ეთნიკურ ერთობაზე. ავტორი გვახსენებს, რომ „ინგოროყვას ეს მოსაზრებები აფხაზებისა და აფხაზეთის შესახებ ჯერ კიდევ 1950-იან წლებში საფუძვლიანად გააკრიტიკეს ქართველმა და აფხაზმა მეცნიერებმა“ (გვ. 81). სიმართლე უნდა ითქვას, რომ მის მიერ დასახელებულ მეცნიერებს პავლე ინგოროყვას მეცნიერული შეხედულება ზემდგომმა ორგანოებმა გააკრიტიკებინეს და უკარნახეს ე. წ. ორაბორიგენობის თეორია, რომ აქ, ამ ტერიტორიაზე ოდითგანვე ერთად, გვერდიგვერდ მკვიდრობდნენ აფხაზები და ქართველები. როგორც ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში ასე თუ ისე ჩახედულმა მეცნიერმა, გვინდა განვაცხადოთ, რომ ერთსა და იმავე განსახლების არეალში, ერთ ტერიტორიულ ერთეულზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ არ დასტურდება ორი ეთნოსის ჩამოყალიბაბა, ეთნოგენეზი, ორი ეთნოსის თანაცხოვრება. ზემოთ აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეოროთ ჰეროდოტეს სიტყვები, რომ „ქვეყანას, ანუ კონკრეტულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიას, ერთი ეთნოსი ასახლებს და ეს უკანასკნელი ქვეყნის სახელის მოხედვით იწოდება“ (ვ. ვაშაკიძე. „საზღვრის“ ცნება კლასიკური და მომდევნო ხანის ბერძნულენოვან ტექსტებში. – ქრონოსი, 3, 2022, გვ. 39). (დავამატებთ: „საზღვარი“ ერთი ეთნოსის ტერიტორიულ ჯგუფებისათვისაც იყო დამახასიათებელი). თანაცხოვრების შემთხვევაში სულ რამდენიმე თაობაში ხდებოდა ერთ-ერთი მათგანის ასიმილაცია, რაშიც გადამწყვეტ როლს შერეული საქორწინო ურთიერთობები ასრულებდა (შენიშნულია, რომ ამა თუ იმ ეთნოსში სხვა ეთნოსის ქალებზე დაქორწინება თუ 15-20%-ს აღწევს, ასიმილაციური პროცესი სწრაფი ტემპით ხდება). თუმცა, პავლე ინგოროყვას მხოლოდ „კრიტიკოსები“ არ აღმოუჩნდნენ. გიორგი ახვლედიანმა დაიცვა პავლე ინგოროყვა და მისი მეცნიერული ნააზრევი. საამისოდ ენათმეცნიერმა თანხმოვანკომპლექსიანი 136 ტოპონიმი გამოავლინა არა მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ მის ჩრდილო-დასავლეთითაც. ეს ტოპონიმები კი შეიცავენ ისეთ თანხმოვან კომპლექებს, რომლების მხოლოდ ქართველური ენებისათვის არის დამახასიათებელი: ბღ-ფხ-პყ, დღ-თხ-ტყ, ძღ-ცხ-წყ, ჯყ-ჩხ-ჭყ (გ. ახვლედიანი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. – მნათობი, 1957, N2). პავლე ინგოროყვას მეცნიერული შეხედულება გიორგი ჩიტაიამაც დაიცვა, რომელმაც, სამწუხაროდ, იმ დროს მისი დაბეჭდვა ვერ მოახერხა. სხვათა შორის, გიორგი ანჩაბაძეს, დანარჩენ აფხაზ კალმოსანთა მსგავსად, ე. წ. ორაბორიგენობის თეორიაც არ აძლევს ხელს,

რადგან სურვილი აქვთ საზოგადოება დააჯერონ, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულად თურმე მხოლოდ აბაზები//აფსუები ცხოვრობდნენ, რომლებსაც ჩვენ აფხაზები ვუწოდეთ და რომ ქართველები აქ მისულები არიან. ანალოგიურად დვალეთში მოსულ ოსებსაც, როგორც ამ მიწაზე მცხოვრებთ, დვალები ვუწოდეთ და თავდაპირველად ორმაგი გარესახელწოდებაც – „ოსნი-დვალნიც“ კი გამოიყენებოდა. საერთოდ, ქართველური მოდგმა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მხოლოდ ხევში, პირიქით ხევსურეთში, თუშეთში, დვალეთში არ ცხოვრობდა; ისინი თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთშიც ცხოვრობდნენ. აღარას ვამბობთ სვანებზე; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუა ხანებამდე სვანები ცხოვრობდნენ აგრეთვე დღევანდელი ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიაზე. საამისო მასალა დადასტურებული აქვს ბესარიონ ნიჟარაძეს და გამოკვლევა აქვს შესრულებული რუს ეთნოლოგს ლეონიდ ლავროვს (Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века – Л. И. Лавров. Избранные труды по культуре абазин, адыгов, карачаевцев, балкарцев. Нальчик, 2009, стр. 56-61). მეცნიერებს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არა ერთი და ორი ქართული ტოპონიმიც აქვთ დადასტურებული. მაგალითად შეიძლება მდინარე გურჯიპსი//კურჯიპსი დავასახელოთ; მდინარე ხოძი//ხოჯი... სვანთა განსახლებას მთავარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მატარიალური კულტურის ძეგლებიც (მაგალითად, სვანური ტიპის კოშკები) ადასტურებს. მეცნიერებს აფხაზეთის ტერიტორიაზე არა ერთი და ორი გამჭვირვალე ქართულ-ქართველური ტოპონიმი აქვთ აღრიცხული, რომელთა სრულად მოხმობა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს და მხოლოდ რამდენიმე შეიძლება მათ დავესესხოთ: ტყუბენი, ბიჭვინთა, ბზიბი, უღალი, ლიხნი/ლუხუნი, ხოფი, ცანთა, წიბელი, გუმა/გუმისთა, ჩხარი/ჩხალი,

ბოკერი, დალი, ქჯითასი (ჯიქეთის ტერიტორიაზე), ბაგა, აშეღალი, ღალიძგა, წყურგილი, დღვანა, ტყვაჯა, ტყაურუ, თლია, ზიგანა, მოხორა, ჯიხახორა, ხოირი, კორცხერი, კოპიტი, აითარნე, (ა)რუხა, (ა)მტყელი, გენწვიში (დაწვრილებით იხ.: თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2007).

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ხშირად ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება შეიმჩნევა ქართული წყაროებისადმი, არადა რაოდენ მნიშვნელოვანი ცნობებია მათში დაცული. ქართველი მემატიანე ჯუანშერი პირდაპირ წერს, რომ თანამედროვე აფხაზთა//აფსუათა მონათესავენი ჯ ი ქ ე ბ ი აფხაზეთის ბოლოს ჩრდილოეთიდან არიან მოსული. როდესაც მემატიანე ვახტანგ გორგასალის ჩრდილოეთ კავკასიაში, ოსებზე ლაშქრობაზე საუბრობს, წერს: „და განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ **მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით-კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრეს ბოლოსა აფხაზეთისასა**“ (ქართლის ცხოვრება. ტომი I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 156-157).

გიორგი ანჩაბაძე ბოლოს მეცნიერებს მოძღვრავს, რომ *„მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს აფხაზეთში დაწყებულმა დაპირისპირებამ და 1992-1993 წლების ომმა მისცა ბიძგი ამ „თეორიის“ ნაწილობრივ გავრცელებას ქართულ აკადემიურ სფეროში, რაც ხელს არ უწყობს არც ისტორიული სიმართლის დადგენას, არც კონფლიქტის მოგვარებას“* (გვ.81). დავძენთ, რომ პრობლემაზე მსჯელობა განახლდა იმიტომ, რომ რუსთაგან პროვოცირებული აფხაზები დამოუკიდებლობის მოთხოვნას აფუძნებდნენ იმ „მეცნიერულ კონცეფციაზე“, რომ აფხაზეთში ქართველებს არასდროს უცხოვრიათ

და რომ ის მხოლოდ მათი ქვეყანაა. ამავე დროს, **ორივე მხარე აუცილებლად უნდა მივიდეს იმ აზრამდე, რომ კონფლიქტის მოგვარების საფუძველი ისტორია არ უნდა იყოს.** გიორგი ანჩაბაძისეული ისტორიის გაყალბება კი, რა თქმა უნდა, კონფლიქტის მოგვარებას ხელს არ შეუწყობს. როგორც ჩანს, ამ ავტორის მიზანიც ესაა.

ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიის შესვლას ჩრდილოეთ კავკასიაში, ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება მოჰყვა, რომელიც „მუჰაჯირობის“ სახელით არის ცნობილი. სამწუხაროდ, მუჰაჯირთა შორის აფხაზებიც აღმოჩნდნენ. ბუნებრივია, ამ საკითხს ვერც მასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი, გიორგი ანჩაბაძე, ასცდა: *„1864 წელს მუჰაჯირთა შორის აფხაზთა რაოდენობა 20 ათასს აღემატებოდა. დაახლოებით ამდენივე აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ხოლო 1877 წლის აჯანყების შემდეგ, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის დროს მოხდა, აფხაზეთი დატოვა კიდევ 30-40 ათასმა ადამიანმა. **მთლიანობაში ოსმალეთში გადასახლებული აფხაზებისა და აბაზების საერთო რაოდენობას 135 ათასი კაცით ანგარიშობენ“*** (გვ. 83) (მითითებული აქვს გ. ძიძარიას წიგნი). მთელი სეროზულობით უნდა ითქვას, რომ მასწავლებლებისათვის განკუთვნილ დამხმარე სახელმძღვანელოში არაობიექტური და ყალბი ინფორმაციაა შეტანილი. ცნობილია, აფხაზთა ორი მუჰაჯირობა, რომლებიც 1866 და 1877 წლებში მოხდა. ამ ორ მუჰაჯირობას გიორგი ანჩაბაძემ მესამეც დაამატა – 1864 წელი, როდესაც ადიღე-ჩერქეზები, უბიხები და აბაზები გადასახლდნენ ოსმალეთის იმპერიაში. თურმე ამ წელს მუჰაჯირთა შორის აფხაზებიც იყვნენ. როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიიდან წასულ აბაზებს აფხაზებს მიათვლის. საერთო რიცხვი აფხაზი მუჰაჯირებისა თურმე 135.000 კაცი ყოფილა. სინამდვილეში პირველი მიგრაციული ტალღის დროს 19.342

აფხაზი გადასახლდა, მეორე მიგრაციული ტალღის დროს – 31.964. სულ ერთად კი მიგრირებულ აფხაზთა რაოდენობა 51. 306 იყო (ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა მცირე ნაწილი აჭარაში დასახლდა, გადასახლებულთა ნაწილი კი, ცარიზმის ხელის შეშლის მიუხედავად, უკან დაბრუნდა.

გიორგი ანჩაბაძე ვალდებული იყო, რომ მასწავლებლებისათვის შექმნილ სახელმძღვანელოში აღენიშნა, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს („აფხაზთა სამეფოს“) სულიერების ცენტრი, საეკლესიო ცენტრი ბიჭვინთაში მდებარეობდა. აგრეთვე მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე (და დღევანდელი აფხაზეთის ფარგლებშიც) ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლები შენდებოდა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული წარწერებითაა დამშვენებული. ხელოვნების ისტორიკოსთა მიერ დადგენილია, რომ VIII-XI საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აგებულ ტაძრებს საერთო აქვთ აფხაზეთიდან ყველაზე მეტად დაშორებულ კახეთის ანალოგიური ტიპის ძეგლებთან. ქართული ქრისტიანული ეპიგრაფიკული ძეგლები ინტენსიურად გვხვდება IX საუკუნიდან XVI საუკუნის ჩათვლით და დღევანდელი აფხაზეთის ყველა რაიონს მოიცავს, მათ შორის, გუდაუთის რაიონში ქართულწარწერიანი მხისგუას, ხუაფის (ხვაფის, ხოფის), ანუხვას ეკლესიები. აქ შეუძლებელია არ მოვიყვანოთ აფხაზეთის ეპიგრაფიკის ცნობილი სპეციალისტის ლია ახალაძის სიტყვები: „საიდან გაჩნდა ამდენი ქართული წარწერა აფხაზეთში, თუ ქართველები იქ არ ცხოვრობდნენ?“ და რომ ვერავინ „უარყოფს აფხაზეთის 100-ზე მეტი ქართული წარწერის ავთენტურობას, რადგან ისინი ყველაზე უტყუარი დოკუმენტური საბუთებია იმისა, რომ აფხაზეთი ოდითგანვე ქართველთა ისტორიული საცხოვრისი იყო“ (ჯ. გამახარია, ლ. ახალაძე, დ. ჯოჯუა. აფხაზეთის (საქართველო)

ისტორიის საკითხები. თ., 2108, გვ. 97). არ შეიძლება არ აღინიშნოს X-XI საუკუნეების ლიხნის ქართული ხუროთმოღვრების ძეგლის – ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის შესახებაც. ილორის წმიდა გიორგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სალოცავია არა მარტო აფხაზეთ-სამეგრელოში, არამედ მთელ დასავლთ საქართველოში. აქ სვანეთის მოსახლეობაც მოდიოდა სალოცავად. XI საუკუნეში აგებული ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილია ამავე პერიოდის ძველი ქართული წარწერებიანი ხუთი ქვა (ნუსხური, ასომთავრული და მხედრული წარწერებით). ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია მღვდელი *გიორგი ქოჩოლავა.* წებელის XIV საუკუნის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ მისი მაშენებელი ყოფილა *ლუკა მარტინავა.* გიორგი ქოჩოლავა და ლუკა მარტინავას ქართველობაში ხომ ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ისინი ხომ ამ მხარის ძირძველი მკვიდრნი იყვნენ. რატომ ვუმალავთ მკითხველს ასეთ ფაქტებს? იმიტომ, რომ ეს გიორგი ანჩაბაძის ინტერესებში არ შედის, რომლის მიზანი გაუკუღმართებული ისტორიის წარმოჩენაა და ქართველებისა და აფხაზების ერთმანეთისაგან უფრო მეტად გაუცხოება. რატომ ვუმალავთ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოთხრობილ ფაქტებს: **„გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდინ ნავებითა და ჴმელით და სტყუვნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდნენ თჳთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“.** სწორედ მოსახლეობის ცვლის გამო იყო, რომ 1557-1578 წლებში კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის დროს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათის მონასტერში გადმოიტანეს. დიახ, ეს იყო შედეგი იმ დროს ახლანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩრდილოეთ კავკასიიდან წარმართი მთიელების ჩამოწოლისა. მრევლის გარეშე დარჩენილმა ბიჭვინთის კათოლიკოსმა თავის რეზიდენციას ადგილი შეუცვალა. ნუთუ არაფერს ნიშნავს ის ფაქტი, რომ X საუკუნეში არსებული ქართული გვარსახელი *მერჩულე (მერჭულე)* დღემდე შემორჩა და შემორჩა თანამედროვე აფხაზეთის (ისტორიული ეგრისის) ტერიტორიაზე, სოფელ ილორში. **მერჩულეები (მერჭულეები)** ილორის სალოცავის „ხელოსნები“ იყვნენ. იქნებ ვინმემ თქვას, რომ ეს ქართული გვარი არაა?

რადგან გვარებზე ჩამოვარდა საუბარი, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ ეთნოგრაფიული მასალებით თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთიდან (ძირითადად გუდაუთის რაიონიდან) სამურზაყანოში არა ერთი და ორი ქართული (მეგრული) გვარისანი არიან გადმოსახლებული. ასეთი სახის მასალა დაფიქსირებული აქვთ პაატა ცხადაიას და ვილენა ჯოჯუას. მაგალითად, სოფელ აგავერაში მცხოვრები ლაცუზბაიები ფსხუდან არიან გადმოსახლებული. სოფელ აკვარიქვაში ეზუგბაიები გუდაუთის რაიონის სოფელ ჯირხვიდან მოსულან. სოფელ აჩიგვარაში მცხოვრები ლემონჯავები ხუმიდან მიგრირებულან, სოფელ აძხიდის მკვიდრი გვარამიების პირველსაცხოვრისი ფსხუ ყოფილა. სოფელ აჯრაში მცხოვრები ბუავები გუდაუთიდან არიან მოსული. დიხაგუძუბაში მოსახლე ჯინჯოლიები ბზიფიდან მიგრირებულან; დიხაზურგელი მარღანიების პირველსაცხოვრისი ზუფი (გუდაუთის რაიონის სოფელ მუგუძირხავას უბანი) იყო. მას თან მოყოლია მეჯინჯიხატე ფიოჩი გვაგვალია. სოფელ ზარწუკაში ქირთბაიების წინაპარი ორი ძმა ლიხნიდანაა ჩამოსული, ზემო გალში როსტობაიები – ბზიფიდან, თაგილონში შარიები – ლიხნიდან, სოფელ კაციჰაბლში ფაჩულიები – აფსხუდან, მეორე გუდავაში აკიშბაიებისა და დოჩიების წინაპრები – ჯექეთიდან, მეორე ოტობაიაში სექანიები – „სხუდან“, მზიურში ნაყოფიები – გუდაუთიდან, მიშველში გვაბზაიები – ბზიფიდან, ნახინჯიში გერზმავები – ბზიფიდან (აქ ისინი შესაწირსაც აგზავნიდნენ), პატრახუწაში

კვიწინიები – ათარიდან, პირველ შეშელეთში აბუხბაიები – ბზიფიდან, ზვანბაიები – ჟვანდრიფშიდან. აქედანვე არიან მოსული კილანავები. ფსხუდან წარმომავლობენ რეკაში მცხოვრები ქიშმარიები. რეჩხში კონჯარიები გუდაუთიდან არიან მოსული, საბულიესკირიოში ბულესკირიები – გულრიფშიდან, სირგინავები – ბზიფიდან, სამელიოში ჯონჯუები – გუდაუთიდან, სამქვარში – ქეცბაიები, ქვაცბაიები და ვარდანიები – ბზიფიდან. საჩინოელი კორტავები გუდაუთიდან (ბესლახუბიდან) წარმომავლობენ. ფორთოღალში მცხოვრები ალექსანდრიების თავდაპირველი საცხოვრისი ბზიფი იყო, ფოქვეშელი თანიებისა – ფსხუ. სოფელ ფშაურში მოსახლე ბენიები გუდაუთიდან წამოსულან, ქვემო ბარღებელი ცობახიებიც – გუდაუთიდან. ჩხორთოლში „წარმოშობით აფხაზები არიან კიკორეიები“, „სააფხაზოდან არიან“, სადაც მათი გვარი კიკალია ყოფილა; ცხირელი ნაყოფიები ბზიფელები არიან და ა. შ. (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა. სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 227-315). მოყვანილ ფაქტებს მხოლოდ ერთი დასკვნა შეესატყვისება: ისინი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი თავის დროზე, ჩრდილოეთიდან აქ აბაზების//აფსუების ჩამოწევამდე ქართველი (მეგრელი) აფხაზებით იყო დასახლებული, რომლებსაც მოსულები დაეფინნენ და მოახდინეს დამხვდურთა ასიმილაცია.

სამურზაყანოზე საუბარი შეიძლება 1886 წლის საოჯახო სიების სტატისტიკური მონაცემების მოყვანით დავასრულოთ. იმპერიულმა პოლიტიკამ სამურზაყანოში მცხოვრები მოსახლეობა ორ ნაწილად გაყო – „ნაროდნოსტის“ გრაფაში ისინი სამურზაყანოელებად და მეგრელებად არიან ჩაწერილი. აღნიშნულ დროს სამურზაყანოში 30.640 „სამურზაყანოელი“ და 984 „მეგრელი“ ცხოვრობდა. ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავებული მეგრელების გათიშვა იმის საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ თუ რამდენი მეგრელი იყო სამეგრელოდან გადმოსახლებული და რამდენი ადგილობრივი მკვიდრი მეგრელი. სამურზაყანოელებად ჩაწერილები (30.640 სული) ადგილობრივი მკვიდრი მეგრელები არიან, ხოლო მეგრელებად ჩაწერილნი (984 სული) სამეგრელოდან გადმოსახლებულნი.

გვარსახელებზე//მემკვიდრეობით სახელებზე რადგან ჩამოვარდა საუბარი, ამ თვალსაზრისით აუცილებლად ყურადღება მისაქცევია იმ ეთნიკური აფხაზების გვარსახელები, რომლებიც 1867 წლის მუჰაჯირთა სიებშია შეტანილი (ბ. ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004) და რომლებსაც ლინგვისტური და ეთნოისტორიული თვალსაზრისით პირველად ყურადღება მიაქცია ბატონმა თეიმურაზ გვანცელაძემ. ოსმალეთის იმპერიაში წასულ თანამედროვე აფხაზთა ძალიან დიდ ნაწილი, ნახევარზე მეტი ქართული (მეგრული გვარსახელების) მატარებელი იყო. სიაში ძირითადად სააფხაზოდან და აბჟუადან წასული მუჰაჯირები არიან შეყვანილი (თანამედროვე აფხაზეთს სამეგრელო-სამურზაყანოს მოსახლეობა სამ ნაწილად ჰყოფს: სამურზაყანო, შუა ქვეყანა (აბჟუა), სააფხაზო). სიაში ისეთი მეგრული გვარები დაფიქსირებული, რომლებიც დღესაც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ სამეგრელოსა და აფხაზეთში, აგრეთვე ისეთი გვარებიც, რომლებიც დღეს ფაქტობრივად აღარ არიან ან უმნიშვნელო რაოდენობით არიან. პირველს მიეკუთვნებიან: ავაჭარია, ბაგათელია, ბედია, ბიგვა//ბიგვავა, გაბელია, გვარამია, გულია, გოგუა, გუნია, ვარდანია, თორდუა, თორია, კვეკვესკირი, კვარჭია, კუკაა (კუკავა), ლასურია, ლომია, მალანია, მარღანია, მარხოლია, მატუა, სარია, სონგულია, სექანია, ფაჩულია, ფილია, ქარია, ქუთელია, შაკაია, ჩანჩხალია, ქარდაა//ქარდავა, ქვაჩახია, ჩიტია, ჩხოდუა//ჩხოტუა, ჭითანაუ (//ჭითანაა//ჭითანავა), ჭკადუა, ჭოლოკუა, ჯინჯოლი, ხორა (//ხორავა), ჯოჯუა და მრავალი სხვა. მეგრული გვარები, რომლებიც დღეს ფაქტობრივად აღარ არიან ან სულ რამდენიმე სულია შემორჩენილი: აკუხავა (ახლა აკუხბა), ანუხვა, აშხარუა, ბაგუა,

ბადია, ბერცხელაა (ე. ი. ბერცხელავა), ბერზნია (ბერძენია), გაბნია, გაბლია, გელია, გერგალია, გერდელია (ახლა არის გერდელაძე), გინდია//გინდელია, ზუალია, კარჩხალია (ახლა არიან კარცხიები), კვაჩია//კვაჩა, კოკუა, კუწნია, ლაფან, მიხელია, ნართია, რგუალია, სათირგია, სანია, საღარია, საჩინაია, ყურდღელია, ფშანია, შალაბრია, შვხუაც(წ)აა, ჩხუფრია, ჩეხვაია, ცვაცვა, ცაცუა, ციტნალია, წაბრია, ჭეფშია, ჯიგანია, ჯინჯია, ჯინჯოა... რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? – უდავოდ დამადასტურებელია იმისა, რომ ისინი არიან თავდაპირველი აფხაზები (მეგრელები), რომლებსაც დაეფინენ მიგრირებული აბაზურ-ადიღეურ ენებზე მეტყველი მოსახლეობა. შედეგად მივიღეთ ადგილობრივ ქართველთა (მეგრელთა) ეთნიკური ცნობიერების შეცვლა და თანამედროვე (ახალი) აფხაზების ჩამოყალიბება. სხვათა შორის, მუჰაჯირთა სიაში რამდენიმე -ძე სუფიქსიანი გვარიცაა: **კიკნაძე, ამონაძე, არკარიძე, ქორიძე, ბამბურა**ძე... მუჰაჯირთა სიაში არ არიან, მაგრამ აფხაზეთში ცხოვრობენ და მხოლოდ აფხაზები არიან: ქვაცაბაია, კასლანძია, კანდალია, კანკია, ქაჩიბაია... მართალია მუჰაჯირები ფაქტობრივად ქართული და ქრისტიანული პიროვნული სახელების მატარებელნი არ იყვნენ, მაგრამ საყურადღებოა, რომ ორჯერ დადასტურებულია ჭიჭინა, აგრეთვე: ზაზუ, როსტომ, ლაზარია, ბახუ, კვატაში, ხუც-ი, ტაგუ, ჯინჯიქ, დუდა, უჩანა, ბედან... **ძალიან ბევრი მუჰაჯირი იყო აგრუას გვარისა. აგრუა კი აფხაზურად მეგრელს (მეგრელიშვილს) ნიშნავს.** მუჰაჯირთა სიაში აგრუების (მეგრელების) 240-მდე ოჯახია შეყვანილი. ამ გვარის წარმომადგენლები თითქმის ყველა მესამე სოფელში ცხოვრობდნენ. აშკარაა, რომ სხვადასხვა მეგრული გვარის წარმომადგენლებს თანამედროვე აფხაზები აგრუას (მეგრელს//მეგრელიშვილს) ეძახდნენ, რაც შემდეგ გვარსახელად იქცა. მუჰაჯირთა შორის მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ აყარაჩ-ის გვარისანი, რაც მათ წარმომავლობაზე, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულობაზე მიუთითებს. სიაში არის უგვარო ხალხიც. სავარაუდოდ ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან ახალი გადმოსულები იყვნენ. მუჰაჯირთა 1867 წლის სიით წებელდაში (წებელში) დაფიქსირებულია სოფელი ჯ ი ხ ა შ კ ა რ ი. ორი აზრი არაა, რომ ის გამჭვირვალე ქართველური (მეგრული) ტოპონიმია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამედროვე აფხაზეთში ქართული გვარების მატარებლები აფხაზები მზითვებში გაყოლებული ყმა-გლეხების, აგრეთვე ტყვედ წაყვანილთა შთამომავლები არიან. მზითვში ყმების გატანების ფაქტები იყო, მაგრამ ასეთები უკიდურესად მცირე რაოდენობით არიან. რაც შეეხება ტყვედ წაყვანილთა შთამომავალებს, ეს მოსაზრება მიუღებელია და აი, რატომ: აფხაზთა (აბაზთა, ადიღეელთა, ჩერქეზთა) მეკობრეობა-თარეშების მიზეზი იყო ტყვედ წაყვანილთა გაყიდვა. უმრავლესობა თურქებზე იყიდებოდა (ის მათ ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი სახსარი იყო). აფხაზებს დემოგრაფიული თვალსაზრისით, მით უმეტეს, მთებში არ ულხინდათ. მართალია, თეიმურაზ გვანცელაძე, როცა წერს, რომ ქართველური წარმოშობისანი, ქართული გვარების მატარებელი თანამედროვე აფხაზები „აბსოლიტურ უმრავლესობას ქმნიან ნაქართველარ აფხაზთა შორის. ამ ჯგუფის წარმომადგენლები არ არიან მიგრანტთა შთამომავალნი და თავიანთი ქართველი წინაპრების მიწაზე სახლობენ“ (თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები: ძირითადი პრობლემები, თბ., 2008, გვ. 84). თეიმურაზ გვანცელაძემ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონებში მნიშვნელოვანი რაოდენობით დადასტურა მიკროტოპონიმები, რომლებშიც ქართულ გვარსახელებთან ერთად ხშირადაა შეწყვილებული აფხაზური სიტყვა „ა-ქჲაფთა“ („პარტახი“, „ნამოსახლარი“), რაც ასევე აღნიშნულ ტერიტორიებზე ოდესღაც ქართველთა ცხოვრების დამადასტურებელია.

ცნობილია, რომ ადგილთა სახელწოდებებს (ტოპონიმებს)

დედამიწის ენას უწოდებენ. აფხაზეთთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მონაცემებია დაცული 1525-1550 წლის „ბიჭვინტის იადგარში“, რომლიდანაც ირკვევა, რომ სამეგრელოს მთავარმა მამია დადიანმა ბიჭვინტის მონასტერს სამეგრელოს ორიოდ სოფელთან ერთად შესწირა სოფლები „ეგურისპირს ნაჟანეო, სამოცი კომლი კაცითა; ხოირს წმინდის გიორგის ეკლესია, ოცდახუთის კომლის კაცითა, წამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური; ტყაურს მეთევზე და მენავტე შამიგია ჭუჭურია და დათია; მარმარისკარს ეგიპტია და ჩხუნბურია; აგრეთვე აფხაზეთს ბიჭინტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 179). საბუთი რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: ა) ნაჟანეო, ხოირი, წამხარი, სუბეში, მუხური სამურზაყანოს სოფლებია და ისინი ქართულ-ქართველური გამჭვირვალე ტოპონიმებია. წამხარში ქართველი **გამკერვალიებიც** ცხოვრობდნენ; ბ) ტყაური (მეგრ.: „ყრუ ტყე“) და მარმარისკარი კოდორის ქვემო წელში მდებარე სოფლები იყო, რომლებიც ასევე გამჭვირვალე ქართული ტოპონიმებია და რომლებშიც მეგრელები ცხოვრობდნენ, რასაც მათი ანთროპონიმები ადასტურებს: **შამიგია ჭუჭურია, დათია, ეგვპტია** და **ჩხუნბურია;** ბეჟან ხორავას ინფორმაციით მარმარისკარი დღევანდელი სოფელ აძიბჟის ერთი უბანია: გ) რაც მთავარია, **საბუთით აფხაზეთის სოფლებად მხოლოდ ბიჭვინტის ირგვლივ მდებარე სოფლებია დასახელებული.** კოდორის ქვემო წელზე მდებარე ტყაური და მარმარისკარი აფხაზეთში არ შედიოდა. კოდორის ხეობა საქართველოს (სამეგრელოს) ნაწილი იყო არა მხოლოდ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, არამედ ეთნიკური თვალსაზრისითაც.

სამურზაყანოს ზემოთ დასახელებული სოფლები (ნაჟანეული, ხოირის სასახლე, სუბვის სასახლე, აგრეთვე

თილითი, ხაუჟელი) 1621 წლის დოკუმენტშიც („აფხაზეთის საკათალიკოსო მოსაკრებლობის დავთარი“) არის მოხსენიებული, რომლებშიც დიდი რაოდენობით მეგრული გვარსახელის მატარებლები ცხოვრობდნენ. ყველა გვარს აქ ვერ ჩამოვთვლით; მხოლოდ რამდენიმე დიდი გვარი შეიძლება დავასახელოთ: უჩაია, ძაძუა, კოდია, ქაჯაია, კონჯარია, ჩაგუა, ლასურია, ჯომნია, გამკერვალია, ჯაკობია, კიტია, ცქურია, ჟვანესკირია, სთეფანესკირი, ცისკარავა, წებლარია, ვარდანია. ამავე დავთარში კოდორის ქვემო წელში მდებარე ტყაურიცაა მოხსენიებული, რომელშიც ადრინდელ „ბიჭვინტის იადიგარში“ დასახელებული გვარებიც მეორდება: „არის ტყავრუს მეთევზე და მენავტე“: თავაზა შამგია (შეცდომით დაბეჭდილია „შამბია“), მაშუტა შამგია, ქუქალია შამგია, უჩაკოჩი ჭუჭურია, გავაშელ დათია (ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 434).

სამურზაყანოში, გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზე მდებარეობდა ზემოხსენებული ერთ-ერთი სოფელი ხოირი. დასახელებულია 1616-1639 წლების შეწირულების წიგნშიც, რომელშიც ვკითხულობთ: „ამას გარეთ **ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე** და ჯიხური დავადგმევინე და გარდავაჭედინე“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 501). ამ ციტატის მოყვანის მიზეზი კი ისაა, რომ სამურზაყანოს სამეგრელოსადმი კუთვნილების და აქ მეგრელების მკვიდრობის მოწინააღმდეგეებმა სიმართლეს გაუსწორონ თვალი. ამავე საბუთით ილორის მკვიდრებად ჩხოხოძეები არიან დასახელებული. აგრეთვე დოკუმენტში ისიცაა აღნიშნული, რომ ღალიძგაში დადიანებს სასახლე ჰქონიათ: „ამას გარეთ ღალიძგას სასახლე არ იყო, ბატონის დადიანისა ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩუენცა შევეხვეწეთ და ვსთხოვეთ და თ**ჳ**თონ ხატსა შესწირა და ჩვენც დაგვიმადლა“

(ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 501). აღარას ვამბობთ ტოპონიმებზე „ცხუმი“ (რცხილა), წიბილი (იგივე წაბლი), ღალიძგა (ღელის ნაპირი), გაგრა, ტყვარჩელი, გენწვიში და მრავალი სხვა (დაწვრილებით იხ.: (თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები: ძირითადი პრობლემები, თბ., 2008, გვ. 74-81).

XVI-XVIII საუკუნეების საისტორიო საბუთებში მოხსენიებული გვარსახელებისა და ტოპონიმების შესწავლის საფუძველზე სოფიო კეკუას მიღებული აქვს დასკვნა, რომ „XVI-XVIII საუკუნეებში ენგურ-კოდორის შუამდინარეთში ჯერ კიდევ არსებობდა ერთიანი ქართველური ტოპონიმიკური სივრცე, რომელიც არ იყო შემღვრეული მოსულ აფხაზთა დედაენის ფონოტაქტიკური და ტოპონიმიკური მოდელებით“ (ს. კეკუა. ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით, თბ., 2021, გვ. 263). „ქართული საეკლესიო საბუთების კვლევამ აჩვენა, რომ XVI საუკუნემდე ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე არ ჩანს არაქართული მოსახლეობის ბინადრობის არანაირი კვალი არც პირსახელებში, არც გვარებსა და არც ტოპონიმებში. ეს მხარე სამეგრელოს ონომასტიკური სივრცის უშუალო ორგანული გაგრძელება იყო“ (ს. კეკუა, გვ. 264).

დავუბრუნდეთ გიორგი ანჩაბაძის „შემოქმედებას“. ნუთუ არაფერს ნიშნავს გიორგი ანჩაბაძისათვის ლეონტი მროველის სიტყვები, რომ თარგამოსმა თავის რვა შვილს დაურიგა ქვეყნები, კერძოდ, **ეგროსს მისცა ლიხიდან ზღვამდე და ხაზარეთის მდინარემდე და „ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა თვისი სახელი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია“.** ვახუშტი გვიკონკრეტებს, რომ ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ უწოდა ეგროსს ბედია. ტოპონიმები დედამიწის ენაა – ბედია ხომ ქართული ტოპონიმია. ყველა ტოპონიმის ჩამოთვლას აზრი არცა აქვს. ეს ქართული ტოპონიმები მკითხველს

შეუძლია ნახოს პაატა ცხადაიას წიგნში – სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004.

გიორგი ანჩაბაძემ, როგორც განათლებით აღმოსავლეთმცოდნემ, შეუძლებელია არ იცოდეს XII საუკუნის სპარსული პოეზიის ისეთი წარმომადგენელი, როგორიცაა *ხაყან შირვანელი.* მისი ერთი ლექსით პირდაპირ ცხადდება ის ფაქტი, რომ იმ დროს აფხაზები ქართულად მეტყველებდნენ, ე. ი. ქართველები იყვნენ. დასახელებული პოეტის სტროფები ასე ჟღერს: „ტრფობით შენი თეთრი სახის // და კავების, მას რომ ამკობს // **აფხაზეთში დავესახახლე და // ქართულად ვლაპარაკობ,** // იმდენჯერ და ისეთი ხმით // **გიხმობ: მოი, მოი აქო, // ენა ცისებრ დამიწვრილდა // და ქართულად ვლაპარაკობ...“** (მაგალი თოდუას თარგმანი).

თანამედროვე აფხაზეთის უმთავარესი ქალაქი ცხუმი (სოხუმი, სებასტოპოლისი) რომ XIV საუკუნეში საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ამას ქვემო საქართველოში სებასტოპოლისის კათოლიკე ეპისკოპოსის პეტრე გერალდის 1330 წელს დაწერილი წერილი ადასტურებს კენტერბერის (კენტის) არქიეპისკოპოსისადმი. წერილში ხაზგასმულია, რომ პეტრე გერალდი ღვთის განგებით დანიშნულია „ქვემო საქართველოს ქალაქ სებასტოპოლში კათოლიკური სამწყსოს მეთაურად“. წერილიდან ისიც ირკვევა, რომ ქრისტიანული აფხაზეთიდან დაწყებული იყო მუსლიმების მიერ ტყვეთა გაყვანა. სოხუმში რომ იმ დროს ქართველები ცხოვრობდნენ, ამას პეტრე გერალდის შემდეგი წინადადებაც ადასტურებს: „სარწმუნოებისათვის (საბრძოლველად) და ეკლესიის გაერთიანებისთვის კვირაობით, რომელიმე ღარიბი ქართველისგან შეწირულობას ვიღებ“. თუმცა ქართველებთან ერთად, ქალაქში მაჰმადიანური და ებრაული მოსახლეობაც იყო (ვ. კიკნაძე. თსუ შრომები, ისტორიის სერია, ტ. 243, 1983, გვ. 102-103). დოკუმენტში „ეპისკოპოსთა ეპისკოპისიცაა“ მოხსენიებული, რომელიც დასავლეთ საქართ-

ველოს კათალიკოსია. ის დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. თავდაპირველად მისი რეზიდენცია ბედიაში იყო, ხოლო შემდგომ – ბიჭვინთაში.

პავლე ინგოროყვას გამოკვლევის შემდეგ არეართი მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აფხაზურ-აბაზური ეთნიკური ერთობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და მის ჩრდილო-დასავლეთით საკმაოდ სიღრმეში გვიანდელი მოსულები არიან და შერეული ადგილობრივ ქართველურ მოსახლეობასთან. ჩვენი გამოკვლევით მათი წინაპრები იყვნენ მეოტები და სინდები, რომლებიც ანტიკურ ხანაში აზოვის ზღვის გარშემო, შავი ზღვის ჩრდილოეთ მონაკვეთში და მდინარე დონზე მისი შესართავიდან 80-100 კილომეტრში ცხოვრობდნენ. მათ სამხრეთით მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში წამოიწიეს. სამხრეთით აღნიშნული ტომების წამოწევა კი დაკავშირებული იყო ევრაზიის სივრცეში ნომადების მოძრაობასთან. სამხრეთით აბაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ჩამოწევა რამდენიმეჯერ მოხდა; ეს იყო ჰუნებისა და მონღოლების შემოსევების დროს, აგრეთვე VI საუკინის შუა ხანებში ჩრდილოეთ კავკასიაში ავარიელების შემოსვლისა და ნაწილობრივ დამკვიდრების დროს. ამავე საუკუნის ასევე შუა ხანებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და მის დასავლეთით აბაზგები ბიზანტიელებმა გაანადგურეს და აფხაზეთის სახელით არსებული ტერიტორია ფაქტობრივად დაუსახლებელი დარჩა. მიგვაჩნია, რომ ჩრდილოეთიდან ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსულნი ქართულ ეთნიკურ-ენობრივ გარემოში გაქართველდნენ. XIV საუკუნიდან კი მონღოლების მიერ შექმნილმა ვითარებამ ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი ეთნიკური კატაკლიზმები გამოიწვია და სწორედ მაშინ დაიწყო ქართველთა განსახლების არეალში (თანამედროვე აფხაზეთში) აბაზების, ჯიქების, ადიღეელების მიგრაცია და დასახლკარება. XV საუკუნეში ისინი მხოლოდ ანაკოფიის (ახლანდელი ახალი ათონი)

დასავლეთით (თანამედროვე გუდაუთის რაიონის ტერიტორია) ჩანან დასახლებული, რასაც სოხუმის გენუელი კონსულის ჯერარდი პინელის 1454 წლით დათარიღებული წერილიც ადასტურებს. წერილის თანახმად ოსმალები და ავოგაზები სევასტოპოლს (ცხუმს) დასხმიან თავს: **„მე ჩავიბარე სევასტოპოლის კონსულობა... დავყავი აქ მცირე ხანი... მოულოდნელად მას თავს დაესხნენ ავოგაზები და მოსახლეობა მთლიანად გაიქცა, რათა** თავი გადაერჩინა. მეც მათ მივბაძე, ავოგაზებს უნდოდასთ უმეტესობა ტყვედ წაეყვანათ“ (ჯ. გამახარია, ლ. ახალაძე, დ. ჯოჯუა. აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები. თბ., 2108, გვ. 58). შემდეგ ეს პროცესი თანდათან სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიწევდა და ის ინტენსიური იყო XVII საუკუნის ჩათვლით. როგორც ჯემალ გამახარია სამართლიანად მიუთითებს, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ანაკოფიამდე სამეგრელოს ორგანულ ნაწილად რჩებოდა, მისი ჩრდილო-დასავლეთი – აფხაზეთის საერისთავოს და ჯიქეთის სახით, შარვაშიძეთა სამფლობელოს წარმოადგენდა“ (დასახელებული წიგნი, გვ. 62). ამ პერიოდში მოხდა ადგილობრივი ქართველების (მეგრელების) ტყვედ წაყვანა და ახალი მოსულების მიერ დამხვდურთა დეეთნიზაცია, ასიმილაცია. დეეთნიზაციისა და ასიმილაციის პროცესს კი აჩქარებდა შერეული ქორწინებანი და სოციალური სისტემა – აბაზების/ახალი აფხაზების თავისუფალი თემების სახით ცხოვრება.

***

ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიის გადმოცემას გიორგი ანჩაბაძე ოსთა წარმოშობით იწყებს. ის წერს: *„მათი (ალანების – რ. თ) გამოჩენა კავკასიის ჩრდილოეთ პერიფერიაზე (კასპისპირეთი, აზოვისპირეთი) ახ. წ. I საუკუნეში* ***ივარაუდება.*** *ალანების ტომთა კავშირი სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ IV საუკუნეში მათი*

გაერთიანება ცენტრალური აზიიდან შემოჭრილმა ჰუნებმა გაანადგურეს. დამარცხებული ალანების ნაწილმა სამხრეთისაკენ გადმოინაცვლა და კავკასიის მთისწინეთს შეაფარა თავი, სადაც დროთა განმავლობაში ალანები ადგილობრივ კავკასიურ მოსახლეობას შეერწყნენ. ზოგან ისინი სრულიად გაითქვიფნენ დამხვდურ ტომებში, ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში კი თვითონ მოახდინეს ავტოქტონური მოსახლეობის ასიმილაცია“ (გვ. 89). ავტორი სახელმძღვანელოში ძალიან ხშირად გამოიყენებს სიტყვას „ვარაუდი“. ამ შემთხვევაში უკვე სხვათა ვარაუდს გვთავაზობს. დადგენილია, რომ ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, ისევე როგორც სხვა ირანულენოვანი ხალხებისა, იყო შუა აზია. დადგენილია, რომ ისინი შუა აზიიდან ამოვიდნენ ევრაზიის სივრცეში ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე და მომთაბარეობდნენ ვოლგასა და დონს შორის. IV საუკუნის 70-იან წლებში ისინი სხვა მომთაბარეებმა – ჰუნებმა გაანადგურეს. ალანების ნაწილი ჰუნებმა დასავლეთისაკენ თან წაიყვანეს. ნაწილმა კი კავკასიის მთისწინა ველები დაიკავა, სადაც მოგვიანებით შექმნეს ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელთანაც ქართველებს ურთიერთობა გააჩნდათ. გიორგი ანჩაბაძე კი წერს, რომ მათ კავკასიის მთისწინეთს შეაფარეს თავი. არაა მართალი – ისინი მხოლოდ ველებში მოსახლეობდნენ. **X საუკუნის არაბი ავტორის იბნ-რუსთას ცნობით, დარიალიდან ალანთა/ოსთა განსახლებამდე ათი დღის ფეხით სავალი იყო, ე. ი. მათი განსახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთისა და მთისწინეთიდან საკმაოდ შორს, ამ რეგიონის დაბლობში, სტეპებში არსებობდა.** მთიელებად ალან-ოსები ძირითადად მონღოლთა შემოსევის შემდეგ იქცნენ, როდესაც მათ დაიკავეს ალაგირის, ქურთაულისა და თაგაურის ხეობები. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ოსების ნაწილი დასავლეთ ოსეთის მთიან რეგიონში VI საუკუნის შუა ხანებში, თურქული ტომის თურანული მოდგმის ავართა შემოჭრის დროს დასახლდა, კერძოდ, დიგორსა და მის მიმდებარედ. სწორედ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, დიდი ზელენჩუკის ხეობაში (მარცხნიდან ერთვის მდინარე ყუბანს. თანამედროვე ყარაჩაი) არსებობდა ბიზანტიელების მიერ დაარსებული ალანიის ეპარქია, რომელიც მონღოლთა შემოსევების შემდეგ ბიზანტიელებმა ჭოროხის ხეობაში გადაიტანეს (В.В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX Века. – СПб., 2007, с. 104). სხვათა შორის, აქ მცხოვრები ალანებისათვის უცხო არ იყო თარეშები. X არაბი ავტორი ალ-მასუდი წერდა, რომ ალანები თარეშობდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რაც ასევე გარკვეულ გავლენას ახდენდა აბაზურ-ადიღეურ ეთნოსფერაზე.

ავტორის კიდევ ერთი ვარაუდი უნდა მოვიყვანოთ: ***„საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ,*** *რომ ალან-სარმატი მეომრები არა მარტო დროებით გადმოჰყავდათ ქართლში დიდი სამხედრო კამპანიების დროს, არამედ* ***მათი ცალკეული რაზმები მუდმივად იმყოფებოდნენ ქართველ მეფე-მთავართა კარზე, მსახურობდნენ მათ მუდმივ ლაშქარში.*** *საერთოდ, ჩრდილო კავკასია საქართველოსათვის უკვე ფარნავაზის ხანიდან დამხმარე სამხედრო ძალების საიმედო რეზერვს წარმოადგენდა, საიდანაც მოკავშირეობისა და მოქირავნეობის საფუძველზე ქართული ჯარის შესავსებად გადმოდიოდნენ“* (გვ. 89). კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმძღვანელოში ვარაუდებს არ წერენ. არავითარი საფუძველი არ არსებობს ვამტკიცოთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიელები ქართველ მეფე-მთავართა კარზე მუდმივად იმყოფებოდნენ და მსახურობდნენ მუდმივ ლაშქარში. რა წყარო არსებობს იმდროინდელ საქართველოში მუდმივი ლაშქრის შესახებ ვისაუბროთ? – არავითარი. ქართველი მეფეები ჩრდილოეთ კავკასიელებს მხოლოდ ქირაობდნენ და ეს ტრადიცია საუკუნეები გრძელდებოდა. ეს ვარაუდები

ქვემოთ კიდევ გრძელდება: ***„როგორც ჩანს,*** *ოსებისა და ყივჩაყების რჩეული რაზმები მუდმივადაც იმყოფებოდნენ თბილისში სამეფო კარზე და ქართულ რაზმებთან ერთად მონაწილეობდნენ სახელმწიფო მნიშვნელობის ცერემონიებში“* (გვ. 92). სახელმძღვანელოში ვარაუდებს თვლა არა აქვს: *„XI-XII საუკუნეების მიჯნაზე ალანთა სახელმწიფო,* ***როგორც ჩანს,*** *რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა. ეს გაერთიანებები ქართული მონარქიის გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ“.* რას აძლევს ამ წინადადებაში მოცემული ვარაუდი ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, გაუგებარია. შემდეგ კი ისტორიკოს გიორგი თოგოშვილს აციტირებს: *„ოსეთის ფეოდალური ზედაფენები თავიდანვე მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებში აღმოჩნდნენ საქართველოსთან, ეზიარნენ ქართულ მაღალგანვითარებულ კულტურას... ასეთ პირობებში არა მარტო* ***ქართველური წარმოშობის ხალხები,*** *არამედ არაქართველური ხალხებიც, ბუნებრივია, მიისწრაფოდნენ მისკენ, მასთან მჭიდრო ურთიერთობაში ექცეოდნენ“* (გვ. 92). გიორგი თოგოშვილისაგან ნასესხები ეს წინადადება, განსაკუთრებით კი ჩვენ მიერ გაშავებული ***„ქართველური წარმოშობის ხალხები“***, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ავტორი მიზანმიმართულად ცდილობს, XI-XII საუკუნეებში ქართველი ხალხი წარმოადგინოს დაშლილად და რომ ქართველური წარმოშობისანი (ე. ი. მეგრელები და სვანები) სხვა ხალხი (ეთნოსი) იყვნენ და მიისწრაფოდნენ მაღალგანვითარებული ქართული კულტურისაკენ. ქართული ეთნოსის ისტორია კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ განსხვავებულ ენაზე მეტყველი მეგრელებიც და სვანებიც ქარული ეთნოსის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ (მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურმა ისტორიამ ასეთი ფაქტები არა ერთი და ორი იცის). უფრო მეტი, საქართველოს გაერთიანების ინიციატორები არა საქართველოს ცენტრში მცხოვრები ქართლელები იყვნენ, არამედ, პირიქით,

განაპირა მხარეში მცხოვრები აფხაზეთის სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) მკვიდრნი, რომელშიც მეგრელები და სვანები მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ, აგრეთვე ტაო-კლარჯეთის ქართველები. აქვე კვლავ გამეორებულია ზემოთ თქმული, რომ **ოსებს აფხაზებივით, უცხოელი მწერლები ქართველებთან ასოცირებულ ეთნიკურ ჯგუფად თვლიდნენ** (გვ. 93). შევნიშნავთ, რომ ოსები იმ დროს საქართველოს საზღვრებიდან შორს ცხოვრობდნენ და მათი დაქირავებული რაზმების ქართველთა მხარეს ბრძოლა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ქართველებთან ასოცირებულ ეთნიკურ ჯგუფად წარმოვიდგინოთ. საკითხავია, რომელი უცხოელი მემატიანეები თვლიდნენ ოსებს ქართველებთან ასოცირებულ ეთნიკურ ჯგუფებად ან რომელ მათგანთან გვხვდება ეს თანამედროვე ტერმინი?

გიორგი ანჩაბაძე, ბუნებრივია, დვალებსაც შეეხო. ამ შემთხვევაშიც გაუკუღმართებულია რეალური ისტორია: *„თანამედროვე ჩრდილო ოსეთის მაღალმთიან სამხრეთ ნაწილში უძველესი დროიდან ცხოვრობდა* ***დვალების*** *ტომი. დვალებს საკუთარი ენა ჰქონდათ, რომელიც,* ***მაღალი ალბათობით,*** *კავკასიური ენების წრეში შედიოდა. პოლიტიკურად დვალები საქართველოსთან უფრო იყვნენ დაკავშირებული, ვიდრე ოსეთთან. მათი ქვეყანა – დვალეთი – ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ქართლის საზღვრებში შემოდიოდა. VI საუკუნიდან დვალეთში ვრცელდება ქრისტიანობა, რომელმაც შეიტანა იქ ქართული ენა და დამწერლობა“* (გვ.93). თქმული მხოლოდ და მხოლოდ სიყალბეს წარმოადგენს. დვალეთისა და დვალების შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე არგუმენტირებული გამოკვლევა არსებობს და მრავალგვარი წყაროებით დადასტურებულია, რომ ისინი ქართველი მთიელები იყვნენ. ამ ლიტერატურას (დავით გვრიტიშვილი, ვახტანგ გამრეკელი, როლანდ თოფჩიშვილი) კი ავტორი შეგნებულად გვერდს უვლის; შეგნებულად იგნორირებულია

როლანდ თოფჩიშვილის გამოკვლევები ოსთა საქართველოში მიგრაციის შესახებ, რომლებიც გარდა ქართული ენისა, დაბეჭდილია ინგლისურ და რუსულ ენებზეც. დვალებს საკუთარი ენა კი არ ჰქონდათ, ლაპარაკობდნენ ქართული ენის დიალექტზე, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს, მათი გვარსახელებიც უპირატესად -ურ სუფიქსით ბოლოვდებოდა. დვალეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას არა მხოლოდ ეთნიკური ფაქტორი განაპირობებდა, არამედ გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური. ჩრდილოეთით დვალებს მხოლოდ ერთი გადასასვლელი ჰქონდათ და ეს გადასასვლელი (კასრის კარი) მხოლოდ სამი-ოთხი თვით იხსნებოდა. დანარჩენ საქართველოსთან (ქართლთან, ხევთან, რაჭასთან) თერთმეტი გადასასვლელი აკავშირებდათ და უმეტესი მათგანი ზამთარშიც კი არ იკეტებოდა. აქ ისეთივე მატერიალური კულტურაა, როგორც მომიჯნავე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მხარეებში და რამდენიმე ეკლესიის ნანგრევში ქართული წარწერებიცაა შემორჩენილი; აგრეთვე დვალეთში დიდი რაოდენობითაა ქართველური ტოპონიმები.

გიორგი ანჩაბაძეს არასწორად აქვს წარმოდგენილი ოსების დვალეთში დასახლება: *„მონღოლთა მიერ დევნილი ოსები დვალეთსა და მის მეზობელ ხევებში შემოდიან. ეს არ იყო პირდაპირი გაგებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, ოსები საქართველოში ახალ სამოსახლო ადგილებს ეძებდნენ. მაგრამ, **როგორც ჩანს,** მათ ადგილობრივი მოსახლეობა შეავიწროვეს, ვინაიდან დვალების ნაწილი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდის, სადაც, შესაძლოა, უკვე არსებობდა მათი თანატომელების დასახლებები. საკუთრივ დვალეთში კი, ოსებისა და დარჩენილი დვალების შერევა იწყება, რაც გარკვეული დროის შემდეგ დასრულდა დვალთა ასიმილაციით“* (გვ. 93-94). ციტატაში კვლავ თავის ადგილზეა ***„როგორც ჩანს“.*** ავტორი რომ სათანადოდ გაცნობოდა ოსთა

საქართველოში მიგრაციისა და დვალეთის შესახებ მონოგრაფიებს და მათთვის შეგნებულად არ აევლო გვერდი, შეცდომას არ დაუშვებდა. დიახ, მონღოლებმა ოსებს დაატოვებინეს ჩრდილოეთ კავკასიის ველებში არსებული განსახლების არეალი. გადარჩენილი ნაწილი კავკასიის მთებში შემოვიდა, კერძოდ, ალაგირის, ქურთაულისა და თაგაურის ხეობებში (დიგორში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადრე, VI საუკუნის შუა ხანებში იყვნენ დასახლებული). საქართველოს მთებში და, მათ შორის, დვალეთში ისინი მაშინვე არ დასახლებულან. სამხრეთით, დვალეთში შემოსახლება კი მათ დაიწყეს შედარებით გვიან, XV საუკუნის დასასრულს, ძირითადად კი – XVI საუკუნეში. მიზეზი იყო დემოგრაფიული მდგომარება. გამრავლებულები ვეღარ ეტეოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის აღნიშნულ ხეობებში. მონღოლთა ბატონობის მოსპობის შემდეგ, ოსებმა ვეღარ დაიკავეს კავკასიის ბარსა და სტეპებში თავიანთი ოდინდელი განსახლების არეალი, რადგან ის ყაბარდოელების ხელში აღმოჩნდა. ადგილობრივი მოსახლეობა, „როგორც ჩანს“ კი არა, ნამდვილად შეავიწროვეს თავიანთ თარეშებითა და მეკობრეობით. ამან კი დვალები აიძულა ქედს გადმოღმა, შიდა ქართლის მთიანეთში, აგრეთვე რაჭასა და ხევ-თრუსოში, გადმოსულიყვნენ, რადგან აქაც, ისევე როგორც დვალეთში, შავი ჭირის ეპიდემიის გამო, მოსახლეობა საკმაოდ შეთხელებული იყო. მკითხველმა განსაჯოს, იყო თუ არა დვალეთში ოსების შემოსვლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. სხვათა შორის, დვალეთში ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია ორ-სამ თაობაში არ მომხდარა. XVIII საუკუნეში ტრადიციით დვალთა ხსენება კვლავ გრძელდება, თუმცა ისინი უკვე ეთნიკურობაშეცვლილი, ახლა უკვე ოსები არიან. ამის საფძველს ისიც იძლევა, რომ XIX ბოლოს დვალეთის ზახას ხეობის მოსახლეობა ორენოვანი (ქართული და ოსური) იყო (ამის შესახებ მასალა მოეპოვება ზახას ხეობაში დაბადებული ეთნოლოგს ბ.

კალოევს). ვახუშტი ბაგრატიონი როდესაც საუბრობს ნიქოზის ეპარქიის შესახებ, აღნიშნავს, რომ აქ „ზის მწყემსი კავკასიანთა **დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა“.** ვახუშტის სიტყვებით ხაზი ესმის იმას, რომ დვალეთმა დაკარგა არა მხოლოდ ენობრივი მახასიათებელი, არამედ ის, რაც ქართველ მთიელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს ახასიათებდა. ამ შემთხვევაში ვახუშტი ხაზს უსვამს საქართველოს ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის მეორეთი ჩანაცვლებას. ეთნიკურობას იმდროინდელი ქართველი ზედაფენა არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდა – მთავარი იყო მოსული გაქრისტიანებულიყო. ზემოთ მოყვანილი ციტატის ერთი ნაწყვეტი კვლაც უნდა გავიმეოროთ: *„**როგორც ჩანს,** მათ ადგილობრივი მოსახლეობა შეავიწროვეს, ვინაიდან დვალების ნაწილი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდის, სადაც, შესაძლოა, უკვე არსებობდა მათი თანატომელების დასახლებები“.* ისტორიკოსმა უნდა იცოდეს, რომ დვალების დასახლება „კავკასიონის სამხრეთ კალთებზე“ არსებობდა და ის შექმნილი იყო XI-XII საუკუნებში მდინარე დიდი ლიახვის ხეობის უკიდურეს სათავეში. ამ ტერიტორიულ ერთეულს ქართული წყაროები **მაღრან-დვალეთს** უწოდებენ (რაც ტყიან დვალეთს ნიშნავს); ის 9 მთური სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. სხვათა შორის, დვალეთიდან ოსი მიგრანტები XVII საუკუნის შუა ხანებში სწორედ მაღრან-დვალეთში დასახლდნენ. ყველა ამ საკითხზე დაწვრილებითაა საუბარი ჩვენს მონოგრაფიაში „დვალეთი და დვალები: საქართველოს დაკარგული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი“, რომლის არსებობა მეცნიერმა არ იცის.

დვალეთიდან განდევნილი და სხვაგან წასული მოსახლეობის ადგილზე ოსების მოსვლის შესახებ რუსი ავტორებიც საუბრობენ, მაგალითად, პ. კუზმინი ხაზგასმით აღნიშნავს აქ ოსების ალაგირის ხეობიდან მიგრაციის შესახებ: «**Формирование**

населения Туалта происходило, в основном, за счет переселявшихся алагирцев” (П. А. Кузминов. Этнодемографическая карта народов Терека: размещение, численность и миграция населения в конце XVIII – первой половине XIX века. – в кн. Ландшафт, этнографические и исторические прооцссы на Северном Кавказе в XIX – начале XX века, Нальчик, 2004, с. 688). უფრო მეტი, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი ავტორი იაკობ რეინეგსი აღნიშნავს, რომ არდონის ხეობაში მცხოვრები ოსები არა მხოლოდ ოსურად მეტყველებენ, არამედ ძველ ქართულ ენაზეცო: «Река Ардон отделяет оссов от другого племени, название которого бадиллы. **Этот народ говорит** не только на своем собственном осетинском наречии, которым он отличается от оссов, но **и на старом грузинском языке**” (Рейнегс Я., Общее Историко-Топографическое Описание Кавказа Осетины С.-Петербург, т. 1, 1796. http://drevlit.ru/docs/kavkaz/XVIII/1760-1780/Reineggs/text2.php.)

ბუნებრივია, გიორგი ანჩაბაძემ მონღოლების დროს ოსების დარუბანდის გზით საქართველოში შემოსვლასაც ვერ აუარა გვერდი. რატომ შემოვიდნენ ოსები დარუბანდის გზით? რატომ არ ისარგებლეს დვალეთიდან გასასვლელი კასრის-კარით ან დარიალით? იმიტომ, რომ ორივე კარი საქრთველოს სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იყო და საგულდაგულოდ იყო დაკეტილი. ესენი იყვნენ მონღოლებს გადარჩენილი ოსები, რომლებიც მათ სამსახურში ჩადგნენ და, აქ შემოსულები, მონღოლების ერთგვარ „საპოლიციო რაზმს“ წარმოადგენდნენ (ცნობილია, რომ ყივჩაღებისაგან განსხვავებით, ასები და ადიღეელები მონღოლთა არმიაში, დიდი ხანების ლეიბ-გვარდიაში მსახურობდნენ. ალანები/ასები მონღოლთა მიერ ჩინეთის დაპყრობაშიც მონაწილეობდნენ). ბუნებრივია, ქართლში ისინი არავითარ მეურნეობას არ მისდევდნენ და ქართველთა ძარცვა-გლეჯით ირჩენდნენ თავს. მონღოლთა დახმარებით ცდილობდნენ შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას. ოსთა მთავარი

„აოჴრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განსხმიდა მამულისაგან აზნაურთა“. ნიკო ბერძენიშვილი წერდა: **„მონღოლები ამ ბრძოლისას გარკვევით ოსებს უჭერენ მხარს. აჯანყებულ ქართლში ოსთა მოძლიერება მათ პოლიტიკურ ანგარიშში შედის. ისინი მფარველობენ გადმოსახლებულთ და ქართველ ფეოდალთა მიერ განადგურებისაგან იცავენ მათ“.** ოსები გარკვეული ხნის შემდეგ მეფე გიორგი V ბრწყინვალის მიერ განადგურებულ და გაძევებულ იქნენ საქართველოდან („განასხნა და აღფხურნა“) დვალეთის გზით. აქ კი მტკიცედ ჩაუკეტეს მათ კასრის-კარი. საინტერესო ფაქტია: მონღოლებმა ოსთა სახელმწიფო მოსპეს, განსახლების არეალი დააკარგვინეს, მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელნი დამპყრობლის სამსახურში დგებიან და ცდილობენ მათ საშუალებით საქართველოში მოიპოვონ სარჩო-საბადებელი და განსახლების არეალი.

„სახელმძღვანელოს“ მკითხველს ბევრი არასაჭირო ინფორმაცია აქვს მიწოდებული, მაგალითად, *„მეცნიერთა ნაწილის აზრით, ოსების დასახლება ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, სადაც XX საუკუნეში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, იწყება იმ არეულობის ხანაში, რომელიც მოიტანა მონღოლთა ბატონობამ, თუმცა ისტორიული წყაროები არ ადასტურებენ ამ მოსაზრებას“* (გვ. 95). კი მაგრამ, რა საჭირო იყო ამის მკითხველისათვის მიწოდება. სახელმძღვანელოს მკითხველისათვის საკმარისი იყო იმის აღნიშვნა, თუ რეალურად როდის დასახლდნენ ოსები საქართველოში. ვინ არიან ეთნიკურად ისტორიის გამყალბებელი მეცნიერები? ეს კი ავტორმა სპეციალურად არ მოახდინა.

გიორგი ანჩაბაძე აშკარად ოსი ფალსიფიკატორების გავლენის ქვეშაა: *„ამ დროისათვის* (მონაკვეთის სათაურია: „ქართველები და ოსები XV-XVIII საუკუნეებში“- რ. თ.*) ოსთა სახელმწიფოებრიობა ჩრდილოეთ კავკასიაში კარგა ხნის მოსპობილია, ხოლო ეთნიკური ტერიტორია – მნიშვნელოვნად შეკვეცილი. ოსებმა შეინარჩუნეს მხოლოდ თანამედროვე ოსეთის მთიანი სამხრეთი ნაწილი, რომელიც დაყოფილი იყო ცალკეულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თემებად (დიგორა, ალაგირი, ქურთათი, თაგაური)“*. თქმული არ შეესატყვისება სიმართლეს. მონღოლების შემდეგ ოსებს არ შეუნარჩუნებიათ თანამედროვე ოსეთის სამხრეთი ნაწილი. დიგორის გამოკლებით მონღოლთა შემოსევებამდე აღნიშნულ ხეობებში ოსებს არ უცხოვრიათ. ასე რომ, ამ ტერიტორიების შენარჩუნებაზე საუბარი ნონსენსია. ზემოთ დასახელებულ სამ ხეობაში ოსები სწორედ მონღოლთა შემოსევების შემდეგ დასახლდნენ და ეს შემოსახლება არც ერთჯერადი ფაქტი არ ყოფილა; ბოლო მიგრაციული ნაკადი თემურ-ლენგის შემოსევების დროს შემოვიდა.

არასწორია და ფაქტებს არ ემყარება წინადადება, რომელიც ოსების ქართლის მთიანეთში დასახლებას ეხება: *„ოსეთის ჭარბმა მოსახლეობამ, რომელსაც ჩრდილოეთისაკენ წაწევის საშუალება არ ჰქონდა, თანდათანობით სამხრეთში იწყო გადმოსვლა, ქართლის მთიანეთში დამკვიდრება. ეს პროცესი, **როგორც ჩანს, დაიწყო XV საუკუნის ბოლოს ან XVI საუკუნეში**“* (გვ. 96). მკითხველს ბოდიში უნდა მოვახსენო იმის გამო, რომ ჩემი წიგნი უნდა დავასახელო. ესაა „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“, თბ., გამომცემლობა „ლომისი“, 1997. გიორგი ანჩაბაძეს ეს წიგნი ან წაკითხული არა აქვს, ან წაკითხული აქვს და შეგნებულად არ ასახელებს, არ ითვალისწინებს წყაროებზე დამყარებული გამოკვლევის შედეგებს. ასეთ შემთხვევაში მას აღარ დასჭირდებოდა **„როგორც ჩანს“**-ის მოხმობა. ვიმეორებთ, XVI საუკუნეში ოსები დასახლდნენ დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, თუმცა აქ მათი დასახლება მომდევნო საუკუნეშიც გრძელდებოდა. ქართლის მთიანეთში ოსები დასახლდნენ მხოლოდ და მხოლოდ XVII საუკუნის შუა ხანებიდან, პირველ რიგში ეს მოხდა მაღრანდვალეთში (დიდი ლიახვის სათავე, რომელიც 9 მთური სოფლის

ერთობლიობას წარმოადგენდა) და თრუსოში (თერგის ხეობის სათავე; 8 სოფელი). ეს მიგრანტები აქ არა უშუალოდ ოსური ხეობებიდან იყვნენ გადმოსული, არამედ დვალეთიდან. ამავე დროს ის იზიარებს ზ. ვანეევის 1936 წელს გამოცემულ წიგნში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ოსები *კავკასიონის სამხრეთ* ფერდობზე დასახლდნენ XV-XVI საუკუნებში (გვ. 96). ზ. ვანეევი ეყრდნობოდა ეთნოგრაფიულ მასალას. შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით გაირკვა, რომ ყველა ოსური გვარი, გარდა ერთისა (ბეგიზოვებისა), 10 თაობის დასახლებული იყო შიდა ქართლის მთიანეთში. ამ ავტორმა ერთ საუკუნეში სამი თაობა მოათავსა და მიიღო XV საუკუნე. სინამდვილეში კი ერთ საუკუნეში ოთხი თაობა თავსდება, ოსების შემთხვევაში კი ხანდახან – ხუთიც, რადგან მათში საქორწინო ასაკი 18-20 წელი იყო. ობიექტურად თუ გამოვითვლით და ერთ საუკუნეში ოთხ თაობას ვიანგარიშებთ, გამოდის რომ **შიდა ქართლის მთიანეთში მათი წინაპრები XVII საუკუნის შუა ხანებში დასახლდნენ, რაც ქართული წყაროებით და დოკუმენტური მასალითაც დასტურდება.** კიდევ ერთი გარემოების შესახებ: ოსი მეცნიერები საერთოდ არ გამოიყენებენ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – შიდა ქართლის (აგრეთვე საქართველოს) სახელწოდებას და ყველა პუბლიკაციაში მხოლოდ და მხოლოდ *კავკასიონის სამხრეთ* ფერდობზე საუბრობენ. მათ გავლენის ქვეშ, სამწუხაროდ, „კავკასიური სახლის“ მიერ შერჩეული ავტორი გიორგი ანჩაბაძეც აღმოჩნდა.

კიდევ ერთი ამონაწერი: *„ქართლის მთიანეთში ოსური მოსახლეობის გაჩენა მოხდა არა ერთდროული მიგრაციით, არამედ თანდათანობითი გადმოსახლების შედეგად. ეს პროცესი 200 წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე“.* მართალია ის, რომ ოსები ჩრდილოეთიდან არა ერთდროულად, ჯგუფების სახით მიგრირდებოდნენ, არამედ ინდივიდუალურად; მაგრამ ამ ეთნოსის ჩრდილოეთ კავკასიის

ხეობებიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლება შეწყდა არა XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე (ე. ი. შუა ხანებამდე), არამედ ამ საუკუნის ბოლოს. მიზეზი კი ის იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომელსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტია თითქმის მთელი XIX საუკუნის (ძირითადად 30-80-იან წლებში) მანძილზე (მაგალითად, ამ დროს არის გადმოსახლებული დვალეთის ოსური მოსახლეობა ფრონეების ხეობაში). ამ საუკუნეში მიმდინარეობს აგრეთვე შიდა ქართლის მთიანეთიდან ოსების მთისწინეთსა და ბარში, ბორჯომის ხეობაში დასახლება. არ შეესაბამება სინამდვილეს ისიც, რომ თითქოს 1770 წლისათვის ქართლ-კახეთში ოსების საერთო რაოდენობა 6 ათასს კომლს შეადგენდა (გვ. 97). ამ შემთხვევაშიც ავტორი ოს ავტორებს ეყრდნობა და არა ქართველ ავტორებს, რომელთა ხელშიც რეალური დემოგრაფიული სურათი აქვთ. დიახ, რეალურად XVIII საუკუნის დასასრულს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2.130 კომლი (15.000 სული) ეთნიკური ოსი ცხოვრობდა.

გიორგი ანჩაბაძე წერს შიდა ქართლის მთიანეთში ქართველ ფეოდალთა კუთვნილი მიწების შესახებ და აღნიშნავს, რომ „ბაგრატიონებს ეკუთვნოდათ აგრეთვე დვალეთში არსებული ვერცხლის საბადოები“ (გვ. 97). კარგი იყო მას ამის დამადასტურებელი წყარო მიეთითებინა. ავტორი, ისევე როგორც ოსი მეცნიერები, ასახელებს **არაგველ ოსებს.** გარკვევით უნდა ითქვას, რომ არაგველი ოსები არ არსებობდნენ. მხოლოდ ხეობის სათავეში – ღუდაში ცხოვრობდნენ ოსები, სადაც სულ 5 მთური სოფელი იყო და რომლებიც აქ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მაღრან-დვალეთიდან (დიდი ლიახვის ხეობის სათავე) იყვნენ დასახლებული ქართველ მთიელთა – მთიულთა ნასოფლარებ-

ში, რომელთა ძველი მკვიდრნი ცოტა ქვემოთ, მთიულეთის სოფელ მლეთასა და ჟინვალში იყვნენ გადანაცვლებული. ღუდას ყველაწმინდა იყო მთიულების საერთო სალოცავი, რომელშიც ხდებოდა ყველა ახლად დაბადებული ვაჟის გარევა. სიმართლე უნდა ითქვას, **ტერმინი „არაგველი ოსები“ წარმოიქმნა იმიტომ, რომ თერგის ხეობის სათავეში (თრუსოში), აგრეთვე დვალეთის ზახას ხეობაში მცხოვრები ოსები არაგვის ერისთავებს ეკუთვნოდა და როდესაც არაგველ ოსებზეა საუბარი, იგულისხმებიან მის გარეთ – თერგის ხეობის სათავესა და ზახას ხეობაში მცხოვრები ოსები.**

გიორგი ანჩაბაძე წერს: *„რაც შეეხება დვალეთსა და **სამხრეთელი ოსებით** დასახლებულ ტერიტორიებს, ისინი რუსეთის შემადგენლობაში აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად შევიდნენ 1801 წელს“* (გვ. 101). კიდევ: *„XIX საუკუნის 40-იან წლების მასალებით, **სამხრეთელ ოსთა** ოჯახებში შეიძლება გენახათ თბილისში შეძენილი ქვეშაგები, ბალიშები, ხალიჩები, სპილენძის, თუჯის, მინის, ფაიფურის ნაწარმი და ა. შ.“* (გვ. 101). ვინ გამოიყენებდა 1801 წელს სიტყვაშეთანხმებას „სამხრეთელი ოსები“? ავტორი უბრალოდ ოსი ავტორების გავლენის ქვეშაა. არადა, ცოტა ზემოთ, თავადვე აღნიშნავდა, რომ შიდა ქართლის მთებში მოსახლე ოსებს XVIII საუკუნეში **პირაქეთელ ოსებს** და **მთისაქეთა ოსებს** უწოდებდნენ, საპირისპიროდ **პირიქითელი** და **მთისიქითი** ოსებისა. აგრეთვე, როგორც ჩანს, მან არ იცის იმის შესახებ არაფერი, რომ XVIII საუკუნეში ქართლში ლეკიანობასთან ერთად, ოსობა//ოსიანობაც არსებობდა. ამის შესახებ კოსტა ხეთაგუროვს ნარკვევი აქვს, რომელშიც წერს, რომ ვერ ვნახავთ ოსეთში ვერც ერთ ოჯახს, რომ საქართველოდან ოსებს ოსობის//ოსიანობის გზით (თარეშებით) რაიმე ნივთი არ ჰქონდეთ წამოღებულიო.

ავტორი XIX საუკუნის ამბების თხრობისას აღნიშნავს, რომ რუსეთის შემოსვლამ საქართველოში მოსახლეობის ფართო

ფენების უკმაყოფილება გამოიწვია და *„ქართველები და ოსები კვლავ მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი უფლისწულების დროშის ქვეშ“* (გვ. 101). უპრიანი იყო, გიორგი ანჩაბაძეს ყურადღება გაემახვილებინა იმაზე, რომ მთელი XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსები არ ცნობდნენ ცარიზმის ხელისუფლებას და მათ დასამორჩილებლად რუსები სამხედრო ექსპედიციებს აწყობდნენ. ამ ექსპედიციების დროს მსხვერპლი ძალზე დიდი იყო და კოშკების უმეტესობა მაშინ დაანგრიეს; ხშირი იყო სახლების ჩაქცევაც. სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები, და ახლაც, ოსი მეცნიერები, ოსების ცარიზმისადმი დაუმორჩილებლობას ქართველ ფეოდალებთან ბრძოლად აცხადებენ. აი, რას წერდა კოსტა ხეთაგუროვი: «В настоящее время в Нарской котловине, да и во всей Осетии, нет ни одной сохранившейся в целосности башни, все они, по распоряжению русского правителства, были разрушены в сороковых и пятидесятых годах прошлого (XIX-го – Р. Т.) столетия” (К. Л. Хетагуров. Официальные письма и деловые бумаги, 1902 http://osetitis/com).

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოსული ოსებისათვის უცხო იყო ის სოციალური სისტემა – ფეოდალური ურთიერთობები, რომელიც აქ არსებობდა. ამის გამო, ქართველ ხელისუფალთ რამდენჯერმე მოუხდათ ურჩი ახალმოსახლეების დამორჩილება. დვალეთში მცხოვრები ოსების წინააღმდეგ ილაშქრა ამ მხარის მოურავმა გიორგი სააკაძემ. დვალეთში განსახლებული ოსების წინააღმდეგ ძალა გამოუყენებია მეფე ვახტანგ მეექვსეს. მან 1711 წელს ჯართან ერთად შემოიარა ეს კუთხე: „ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის ხევი და გადმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდან ქართლს გამარჯვებული“ (ვახუშტი). არაგვის საერისთავოს სახასო მამულად გადაქცევის შემდეგ

თრუსოში ილაშქრა ერეკლე მეორემაც და ისინი დაითანხმა მთიელთათვის შეწერილი მიზერული გადასახადი ეხადათ. ასე რომ, ეს ტრადიცია ოსებმა რუსეთის ადმინისტრაციის წინააღმეგაც გააგრძელეს და ეს ბრძოლა წარმოუდგენლად წინააღმდეგობრივი იყო.

გიორგი ანჩაბაძე ერთ გაუგებრობასაც გვთავაზობს: ***„ოსებს, ისევე როგორც სხვა მთიელებს, სასიცოცხლოდ სჭირდებოდათ ბართან ურთიერთობა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ზამთრის საძოვრებს, რაც აუცილებელი პირობაა მთიელთა წამყვანი სამეურნეო დარგის – მესაქონლეობის – განვითარებისათვის“*** (გვ. 101). სამწუხაროდ, ავტორმა არ იცის, რომ ოსები არასდროს მისდევდნენ გადარეკვით მეცხოველეობას. მესაქონლეობას კი არასდროს სჭირდებოდა ბარის საზამთრო საძოვრები. საზამთრო საძოვრებს იყენებდნენ მეცხვარეები. ოსებში კი მეცხვარეობას არასდროს მიუღწევია იმ მასშტაბებისათვის, რომ საზამთრო საძოვრებზე მოთხოვნილება ჰქონოდათ.

„ორიგინალურია“ გიორგი ანჩაბაძის მიერ დაწერილი თავის დასკვნითი ნაწილი, რომელიც სიმართლისაგან შორსაა: ***„XVII-XVIII საუკუნეების ქართულ წყაროებში ქართლის მთიანეთის ოსებით დასახლებული ნაწილი ზოგჯერ ოსეთად იწოდება*** *მისი მოსახლეობის გამო, თუმცა, ცხადია, ეს არ შეიძლება ისე გავიგოთ, თითქოს აღნიშნული ტერიტორია საქართველოს ნაწილი აღარ იყო. პოლიტიკურად,* ***ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთები,*** *ხოლო ნაწილობრივ – ჩრდილოეთიც, ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა უკვე რამდენიმე საუკუნით ადრე ქრისტეს შობამდე და ეს სურათი არ შეცვლილა 1801 წლამდე...“* (გვ. 103-104). დიახ, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი ტერმინი პირველად გამოყენებული იქნა დვალეთის მიმართ, ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის მთის იმ მონაკვეთეზე, სადაც ოსები იყვნენ დამკვიდრებულ-დასახლებული. მაგრამ, როგორც კარგად გა-

არკვია გიორგი (დათო) ჭეიშვილმა, ორივე შემთხვევაში პლატონ იოსელიანის მიერ ტერმინ „ოსეთის“ გამოყენებას მხოლოდ ერთადერთი – ეთნოგრაფიული – დატვირთვა ჰქონდა და არა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული: „ტერმინი „ოსეთი“ შიდა ქართლის მთიანი თემების აღსანიშნავად პირველად პაპუნა ორბელიანის თხზულებაში დასტურდება. „ამბავნი ქართლისანის“ წაკითხვა ცხადყოფს, ტერმინი არა მთელი შიდა ქართლის მთიანეთს, არამედ ოსებით დასახლებული ცალკეული ხეობების აღსანიშნავად გამოიყენებოდა“ (გ. ჭეიშვილი. „ოსეთიდან“ „სამხრეთ ოსეთამდე“: როგორ იცვლებოდა ეთნიკური გეოგრაფია პოლიტიკურ გეოგრაფიად. – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIV, თბ., 2011, გვ. 223). ასე რომ, როგორც გიორგი ჭეიშვილი სამართლიანად შენიშნავს, „შიდა ქართლის „ოსეთი“ წარმოადგენდა არა ტერიტორიულ ან ადმინისტრაციულ ერთეულს, არამედ კრებით ტერმინს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩამოსახლებულ ოსთა სოფლების აღსანიშნავად“ (გვ. 225). ადმინისტრაციული ერთეული – ოსეთის ოკრუგი – საქართველოში მხოლოდ რუსებმა შექმნეს 1840 წელს, რაც საქართველოს დასუსტებისათვის გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ოკრუგი მაღალმთიან ხეობათა ხელოვნური გაერთიანება იყო, რომელშიც ქართველებით დასახლებული ქსნისა და არაგვის ხეობებიც იყო შეყვანილი; რუსები მიხვდნენ, რომ საქართველოში გეოგრაფია ბატონობდა და გეოგრაფიული ფაქტორი ქმნიდა ადმინისტრაციულ ერთეულებსაც და ორი წლის შემდეგ ის გააუქმეს და 1843 წელს ოსეთის ოკრუგის შემადგენლობაში მხოლოდ დიდი და პატარა ლიახვის ხეობები, აგრეთვე ნარას უბანი (=დვალეთი) დატოვეს გორის მაზრის შემადგენლობაში (ჯ. გვასალია. შიდა ქართლი და ოსური საკითხი, თბ., 1997, გვ. 97).

იმავე ციტატაში შიდა ქართლის მთიანეთის ტერიტორიას კვლავ **ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებს** უწო-

დებს. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ამას აკეთებენ ოსი მეცნიერები იმიტომ, რომ შიდა ქართლი და საერთოდ საქართველო არ ახსენონ, რათა შთაბეჭდილება შექმნან, რომ ქართველთა უძველესი განსახლების არეალი საქართველოსი // ქართველების არსადროს არ ყოფილა.

მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოზე საუბარი შეიძლება დაგვემთავრებინა, მაგრამ აუცილებლად საილუსტრაციო მასალაზეც უნდა შევჩერდეთ და შემდეგ, შესავალი წერილის – „პროექტის კოორდინატორისაგან“ – შესახებაც რამდენიმე სიტყვას ვიტყვით. რუკების შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. აქ დავამატებთ – რუკაზე „საქართველო ახ. წ. II ს.“ ალან-ოსები დატანილი არიან საქართველოს მოსაზღვრედ ცენტრალურ კავკასიაში, რაც შეცდომაა. ამ დროს ალან-ოსები ევრაზიის სივრცეში, ვოლგას და დონს შორის მომთაბარეობდნენ. ეს რუკა წინააღმდეგობაში მოდის გიორგი ანჩაბაძის რუკასთან, აქ აფშილები აწერია იქ, სადაც უნდა ეწეროს. გიორგი ანჩაბაძეს კი, როგორც აღვნიშნეთ, აფშილეთი ენგურზე აქვს დატანილი.

55-ე გვერდზე მოთავსებულია ნახატი წარწერით „ოსური სამოსახლო“. მხატვარი მითითებული არაა. ნახატი არარეალურია. ოსებს ასეთი სამოსახლოები არ ჰქონიათ. კოშკის ირგვლივ მარცხნივ და მარჯვნივ დახატული სახლები (ორფერდა, უაღრესად მაღალი და დაქანებული სახურავით, რომელიც სამკუთხედის მოყვანილობისაა) ევროპის ჩრდილოეთში იყო გავრცელებული. ოსურ სახლებს ჰორიზონტალური გადახურვა ჰქონდა. 57-ე გვერდზე წარმოდგენილია ნახატი, რომელსაც აწერია „ოსური ტრადიციული ცეკვა „სიმდი“. „სიმდი“ მართალია, ოსური ცეკვაა, მაგრამ დღევანდელი „სიმდი“ ტრადიციულისაგან უაღრესად განსხვავებულია. კოსტა ხეთაგუროვი წერდა, რომ ოსებში ქალები არ ცეკვავდნენ. სინამდვილეში დღევანდელი სახით „სიმდი“ 1938 წელს ჯანო ბაგრატიონმა დადგა. იგივე

შეიძლება ითქვას აფხაზური ცეკვის შესახებ, რომელიც ნინო სუხიშვილის დადგმულია, რადგან ცენტრიდან მითითება ჰქონდათ, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის ჯგუფური ცეკვები უნდა შეექმნათ. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სუხიშვილებმა ქართულ ხალხურ ცეკვებშიც შეიტანეს სიახლეები, სასცენი სახე მისცეს. მაგალითად, ქართველები არასდროს არ ცეკვავდნენ ფეხის წვერებზე, ცერებზე – კი; არასდროს ხტებოდნენ მუხლებზე და სხვა. ტყუიალად არ შეარქვეს დასავლეთში მათ ანსამბლს „ქართული ბალეტი“.

82-ე გვერდზეა ილუსტრაცია „მთიელები სოფელს სტოვებენ“. ესაა პეტრე გრუზინსკის ნახატი, რომელიც ასახავს ჩერქეზების მუჰაჯირებად წასვლას. რატომაა ეს ნახატი ამ წიგნში დაბეჭდილი?

178-ე გვერდზე მოთავსებულია ტორეზ კულუმბეგოვის პორტრეტი, რომელსაც მიწერილი აქვს: **„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე“.** ესაა სრული თარგმანი ვიკიპედიაში განთავსებული ბიოგრაფიისა: **«политический и государственный деятель Южной Осетии”**. სრულიად ბუნებრივი კითხვა ისმის: შეიძლება ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციაში დასაქმებულ ადამიანი და შემდეგ თვითმარქვია რესპუბლიკის ლიდერი ასეთი ტექსტით შეამკო? ავტონომიური ოლქს ხომ სახელმწიფოებრიობის სტატუსი არ ჰქონია, მითუმეტეს თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას და, შესაბამისად, ცხინვალი არა დედაქალაქად, არამედ ავტონომიური ოლქის ცენტრად იწოდებოდა.

დამწერლობის არმქონე ხალხის ისტორიას წერდე და არ გამოიყენო ზეპირი ისტორიები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, დანაშაულია. ცნობილია, რომ ზეპირი გადმოცემები ინახავს ცნობებს ხალხთა მოძრაობის შესახებ. მაგალითად, სიმონ ჯანაშია შენიშნავდა, რომ „აფხაზთა ხალხური გარდმოცემით, ძველთაძველ დროში აფხაზეთის მთებში

ცხოვრობდა ხალხი, რომელიც ეკუთვნოდა წანი-ს (აფხაზური ფორმაა), ანუ წანია-ს (სამურზაყანული ფორმაა) გვარს“ (ს. ჯანაშია. III, გვ.14). ეთნოლოგმა *ნათია ჯალაბაძემ* ყურადღება მიაქცია აბრსკილის ეპოსს: აფხაზთა წინაპარი აბრსკილი როცა მოდის ამ ტერიტორიაზე, ქერა (წითურ), ცისფერთვალება ხალხთან უხდება ბრძოლა და გზებზე ანადგურებდა წნულად გადმოწოლილ ვაზს, თუ თავდახრით უწევდა გავლა, გვიმრას კი ძირიანად თხრიდა. აბრსკილის მამის სამფლობელოები კი მაღალ კლდეებში, ერცხაუს მთაზე იყო. მართალია ნათია ჯალაბაძე, რომ გადმოცემაში „ასახვა ჰპოვა ქართველთა (მეგრელთა) და აფხაზთა შორის დაპირისპირებამ“ (ნ. ჯალაბაძე. აფხაზური თქმულება აბრსკილზე და მასთან დაკავშირებული ვარაუდები. – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XXI, თბ., 2021, გვ. 195-210). უფრო მეტი: აფხაზური ნართების ეპოსი, როგორც სალომე ბახია-ოქრუაშვილმა გაარკვია, შექმნილია არაა აფხაზეთის გეოგრაფიულ ლანდშაფტში; მასში აღწერილი მოქმედებები სტეპებში მიმდინარეობს. სხვათა შორის, როგორც ვლადიმირ გუდაკოვმა გაარკვია, **„ნართების“ შემქმნელი ეთნოსების ჩამოყალიბება, ფორმირება მოხდა სტეპებისა და ჩრდილოეთ კავკასიის საკონტაქტო ზონაში [...месторазвитем этноса, создавшего «Нарты”, была контактная зона Степи и Северного Кавказа” – В.В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX Века. – СПб., 2007, с. 34].** ეს კი თანაბრად ეხება როგორც აფხაზებს, ისე ოსებს.

დასასრულს უნდა შევეხოთ შესავალ წერილს, რომლის სახელწოდებაა „პროექტის კოორდინატორისაგან“ (ავტორი მარიამ გაჩეჩილაძე). დასაწყისშივე ვკითხულობთ: ***„სამწუხაროდ, 30 წლის მანძილზე ისტორიის მწყობრი შეფასება, გააზრება და გადააზრება არ მომხდარა, რაც შესაძლოა აიხსნას, როგორც პოლიტიკური ნების არქონით, ისე იმითაც, რომ 30 წელი ისტორიისათვის არცთუ ისე დიდი დროა და ობიექტური შეფასებისათვის მზაობა ჯერ არ დამდგარა“*** (გვ. 4). დიახ, ძალიან მყვირალა განცხადებაა. როგორც ჩანს, პროექტმა მიზანად დაისახა ისტორიის მწყობრი შეფასება, გააზრება და გადააზრება. თუ როგორ განახორციელეს მათ ეს, მკითხველი შეაფასებს. გააზრება, შეფასება კი უნდა მოეხდინა გიორგი ანჩაბაძეს. რა თქმა უნდა, მან ყველაფერი ეს სუბიექტურად წარმოადგინა, წინასწარ აკვიატებული დასკვნებით, ისეთი დასკვნებით, რომელშიც საქართველოს ისტორია, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები თავდაყირაა დაყენებული, ასევე არის ცდები საქართველოს ისტორიის და ქართველი ერის ეთნიკური ისტორიის დაკნინებისა. აშკარაა, რომ საზოგადოება უნდათ დააჯერონ, რომ აფხაზეთსა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე და ოსებსა და ქართულ ოსურ-ურთიერთობებზე არაფერი დაწერილა. არადა სწორედ ამ პერიოდში დაიწერა არაერთი საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელთა შორის უცხო ენაზე დაბეჭდილიცაა. თითქოსდა არაფერი დაუწერიათ *მარიამ ლორთქიფანიძეს, ზურაბ პაპასქირს, ლია ახალაძეს, ნოე აფხაზავას, შოთა ბადრიძეს, სალომე ბახია-ოქრუაშვილს, დერმიშა გოგოლაძეს, გიული ალასანიას, ჯემალ გამახარიას, ბადრი გოგიას, გერონტი გასვიანს, ვახტანგ გამრეკელს, ჯონდო გვასალიას, ბახვა გამყრელიძეს, ვახტანგ გოილაძეს, შოთა ვადაჭკორიას, თეიმურაზ გვანცელაძეს, შალვა გლოველს, ანზორ თოთაძეს, როლანდ თოფჩიშვილს, მერი ინაძეს, კახა კვაშილავას, ირმა კვაშილავას, ბუბა კუდავას, სოფო კეკუას, დიმიტრი ლეთოდიანს, თეიმურაზ მიბჩუანს, ზურაბ რატიანს, ალექსანდრე ონიანს, კობა ოკუჯავას, ვალერი სილოგავას, ავთანდილ სონღულაშვილს, მზია ტყავაშვილს, თამარ ქორიძეს, მერაბ ჩუხუას, პაატა ცხადაიას, ზაზა წურწუმიას, ბეჟან ხორავას, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს, ნინო ხარჩილავას, დემირ ჯოჯუას, ნინო ჯაველიძეს* და კიდევ ბევრ სხვას.

კოორდინატორი გვმოძღვრავს: *„სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკა, ერთი მხრივ, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების შერიგების და ერთ სახელმწიფოში ჰარმონიული თანაცხოვრების იდეისკენაა მიმართული, მეორე მხრივ კი – იგივე დომინანტი პოლიტიკური დისკურსი სულ უფრო მეტად იხრება იქითკენ, რომ აღნიშნული კონფლიქტები მოაქციოს ერთი საფუძვლის მქონე კონფლიქტის – ქართულ-რუსული დაპირისპირების კონტექსტში. ეთნოპოლიტიკური ასპექტების უგულებელყოფით იქმნება რეალობა, სადაც რთულდება კონფლიქტის მიზეზებზე საუბარი, კონფლიქტის მხარეების განსხვავებული პოზიციების წარმოჩენა და კონფლიქტის რეტროსპექტული ანალიზი. ლოგიკა, რომელიც საუბრობს არა კონფლიქტზე, არამედ ერთ დიდ კონფლიქტზე რუსეთთან, პოლიტიკური ველიდან რიყავს აფხაზი და ოსი ხალხის პოზიციას და კონფლიქტის წყაროდ მხოლოდ რუსულ მხარეს წარმოაჩენს.* **გარდა ამისა, თითქმის არ წარმოებს შედარებით მასშტაბური და სიღრმისეული აკადემიური კვლევები, კონფლიქტის შესწავლისა და ანალიზის აკადემიური მიმართულება სუსტადაა წარმოდგენილი“** *(გვ. 4).* ძნელად წარმოსადგენია რუსულ იმპერიალიზმს თუ საქართველოში დამცველები ეყოლებოდა; მამა აბრამის ბატკნები, უცოდველები არიან თურმე რუსები. ისტორიას თუ ობიექტურად გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე აფხაზებიცა და ოსებიც მშვიდობიანად ცხოვრობდნენ საქართველოში, თუ არ ჩავთვლით გვიან შუა საუკუნეებში თარეშებს, მეკობრეობას, ისინი რომ ახდენდნენ. რამდენი შერეული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ოჯახი არსებობდა; ეთნიკური შერევებიც არა ერთი და ორი იყო. კავკასიაში რუსების შემოსვლას აფხაზებიცა და საქართველოს მთებში მცხოვრები ოსები აგრესიულად შეხვდნენ. პირველნი გააძევეს ოსმალეთის იმპერიაში, მეორეთა დაშოშმინებას ხუთი ათეული წელი დასჭირდა. რუსეთი რის რუ-

სეთი იყო, რომ ამ დაპირისპირებისათვის მისამართი არ შეეცვალა და თანდათან მათი დიდი მუშაობით და ჩაგონებით, მტრად ქართველი ხალხი აქციეს და არა რუსეთი. გადაბირებულმა განათლებულმა ნაწილმა თავისი ეთნოსის წარმომადგენლები დააჯერა, რომ ქართველები არიან მათი მტრები და არა რუსები. ეს „კონფლიქტები“, უფრო სწორად, ომები, საკითხავია არ იყო ინსცენირებული რუსეთის მიერ? მოწინააღმდეგები და რუსეთის დაქირავებული მოქალაქეები რუსეთის მიერ არ იყვნენ შეიარაღებული? აფხაზეთში ჩამოგდებული სამხედრო ვერტმფრენი რუსული არმიისა არ იყო? 2008 წელს არ შემოიჭრა საქართველოში რუსული ჯარი, რომელთა მიერაც იყო პროვოცირებული ომი? საქართველო ამ ომებით და ტერიტორიების წართმევით არ დასაჯა რუსეთმა იმიტომ, რომ ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა უნდოდა? ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ეს ომები არ იყო იმით განპირობებული, რომ დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოს უფრო ცივილიზებული დასავლური სამყაროსაკენ ჰქონდა ორიენტაცია? თურმე ლოგიკა, რომელიც საუბრობს არა კონფლიტებზე, არამედ ერთ დიდ კონფლიქტზე რუსეთთან, პოლიტიკური ველიდან რიყავს აფხაზი და ოსი ხალხების პოზიციას. არაა ეს ასე. ამის გამო არ უნდათ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა აფხაზსა და ოს ხალხებს? ყოველწლიურად ათობით წიგნი გამოდის რუსეთში ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, აქ წარმოებულ ომებზე. თქვენ იქ ნახავთ ისტორიის არნახულ გაყალბებას. რუსეთის ინსპირირებული და განხორციელებული არ იყო ეს დაპირისპირება?, მაშინაც როდესაც იმპერიის უზენაესი ხელისუფალი ისტორიის პირველი გამყალბებელია? შეიძლება გაგვეხსენებინა ცნობილი ვოსტორგოვი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მკითხველს არწმუნებდა, რომ შიდა ქართლის დაბლობზე თავდაპირველად ოსები ცხოვრობდნენ და გვიან მოსულმა ქართველებმა ისინი მთებსა და ბორჯომის

ხეობაში შეყარესო. 2008 წლის ომის შემდეგ ერთ-ერთი რუსი ავტორი (ვ. ზახაროვი) მკითხველს აუწყებდა, რომ სოფელ ერედვში 1830-1831 წლების აღწერით მხოლოდ 9 ოსური და 1 ქართული გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. 1970-იანი წლებისათვის თურმე ვითარება რადიკალურად იყო შეცვლილი და სოფელში მხოლოდ ქართველები მკვიდრობდნენ. ავტორი კი ასახელებს 1830-1831 წლების აღწერას, მაგრამ არ უთითებს საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივიის ფონდის (254), ანაწერისა (1) და საქმის ნომერს (წყაროების მიუთითებლობა აფხაზი და ოსი „კალმოსნებისათვის“ დამახასიათებელი ჩვეულებრივი ამბავია). სინამდვილეში აღნიშნულ დროს სოფელ ერედვში მხოლოდ და მხოლოდ 100 სულამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა და არცერთი – ეთნიკური ოსი. დიახ, ჯერ კიდევ ცარიზმის დროს შეეცადნენ იმპერიალისტები აფხაზეთში მკვიდრი ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირებას, რეალური ისტორიული ფაქტების დამახინჯებას. მაგალითად, პავლე კოვალევსკი XIX საუკუნის ბოლოს წერდა, რომ **აფხაზეთში მეგრელები უცხოელები არიანო** და ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალეთის იმპერიაში ჰყავდათ გასტუმრებული: **«Коренное население Абхазии – абхазцы (апсуа**). Абхазцы имеют свой язык, свою веру, свой правы и обычаи и потому по праву составляют самостоятельую народность. **Но кроме Абхазцев в Абхазии живет очен большое количество иноземцев: мингрельцев,** греков, армян и пр.” (Кавказ; Ковалевский П. И. Народы. История завоевания. – Нальчик, 2012, Вып. 11, стр.17). ქართველმა ისტორიკოსებმა არაერთხელ აღნიშნეს 1907 წელს მოსკოვში ნ. ვორონოვის ავტორობით გამოცემული ბროშურის შესახებ, რომლის სათაურით – «Абхазия – не Грузия” – პირდაპირ მოუწოდებდნენ აფხაზებს, რომ აფხაზეთს არაფერი აქვს საერთო საქართველოსთან. ეს ხომ იდეოლოგიური შემზადება იყო ქართველთა და აფხაზთა

დასაპირისპირებლად (იხ.: ა. სონღულაშვილი. აფხაზი თუ აფსუა, თბ., 2007. გვ. 11).

რუსეთის როლი რეალურად ნაჩვენებია განსახილველი წიგნის VI თავში – „პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული კონფლიქტები“, რომლის ავტორებია არიან რევაზ ქოიავა და ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი (გვ. 156-181). ამ თავში ვკითხულობთ: „...ომი პროვოცირებული იყო ორივე მხარის ელიტების მიერ. **ეს არ იყო ეთნიკური ომი,** რომელიც ქვემოდან დაიწყო“ (გვ. 667); „კაზაკი და რუსი დაქირავებულები მებრძოლები, რომლებიც აფხაზების მხარეს ომობდნენ, იარაღით ვაჭრობდნენ“ (გვ. 167); „აფხაზები მარტო არ იბრძოდნენ. მათ კაზაკების შენაერთები, თურქეთისა და სირიის მკვიდრი აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები და **კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია** შეუერთდა, რომელიც 1989 წელს შეიქმნა და დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადა. აფხაზები დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ, მაგრამ აფხაზ ლიდერებთან მყოფი რუსი პოლიტიკოსებისა და სამხედრო ოფიცრების ქმედებები უფრო საქართველოს დასუსტებაზე იყო ორიენტირებული“ (გვ. 166); „1992 წლის 29 მაიის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო აქტი **სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის შესახებ.** ამის საპასუხოდ ქართულმა მხარემ გააძლიერა შეტევები და წინ წაიწია რამდენიმე კილომეტრით, ამ ბრძოლის დროს ნათელი გახდა ქართული მხარის უპირატესობა ოსურ სამხედრო ფორმირებებზე. იმისათვის, რომ ქართული მხარის წინსვლა შეეჩერებინათ, რუსეთის ვიცე-პრეზიდენტის, ალექსანდრე რუცკოის ბრძანებით, ივნისის დასაწყისში რუსულმა ავიაციამ მიიტანა მასობრივი შეტევები ქართულ საჯარისო დანაყოფებზე. ავიადაბომბვების შემდეგ **რუცკოიმ დაურეკა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მაშინდელ ხელმძღვანელს, ედუარდ შევარდნაძეს,** და დაემუქრა თბილისის დაბომბვით, თუ ქართული მხარე არ შეწყვეტდა

სამხედრო მოქმედებებს სამხრეთ ოსეთში“ (გვ. 180-182). ასე რომ, პროექტის კოორდინატორის მარიამ გაჩეჩილაძის ხაზგასმული განცხადებები, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირებაში რუსეთი არაფერ შუაში არაა და რომ ეს იყო წმინდა ეთნიკური კონფლიქტი „სახელმძღვანელოს“ აღნიშნული მონაკვეთიდან მოყვანილი ამონაწერებით, ქარწყლდება. უფრო მეტი შეიძლებოდა დაწერილიყო და ალბათ მომავალში დაიწერება, რომ აფხაზთა და ოსთა მხრივ ომის პროვოცირება მოახდინეს საბჭოთ კავშირის უშიშროების სამსახურში (რომელთა შექმნილი იყო **კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია**) გამობრძმედილმა ლიდერებმა და ქართველთაგან ამ მხრივ ეროვნულ მოძრაობაში შეპარული რუსეთის აგენტურის წარმომადგენლები აქტიურობდნენ, რომლებსაც ეროვნულობის მანტია ჰქონდათ მორგებული. ამ მხრივ შეიძლება გავიხსენოთ მათი განცხადებები, რომ „ოსები და აფხაზები სტუმრები არიან“. რა თქმა უნდა, ასეთი ქმედება ქართული საქმის – დამოუკიდებლობის მშვიდობიან მოპოვებას – ხელს არ უწყობდა. რუსეთის აგენტების მიერ ხელდასხმული იყვნენ ის პირებიც, რომლებმაც საქართველოში სამოქალაქო ომი წამოიწყეს და ერთ-ერთი მათგანი რუსეთის ნაჩუქარი ტანკებით აფხაზეთში „წესრიგის დასამყარებლად“ შევიდა. ერთ-ერთი მათგანმა კი 8-10-კაციანი ბანდები შექმნა, რომლებიც მშვიდობიან ოს მოსახლეობას ღამ-ღამობით თავს ესხმოდა, აწიოკებდა და ქვეყნიდან ყრიდა.

იმის გამო, რომ საქართველოს საჯარო სკოლების ისტორიის სახელმძღვანელოებში კონფლიქტების შესახებ მონაცემები მწირი და ფრაგმენტულია, იმის გამო, რომ კონფლიქტების ანალიზი ცალმხრივია, იმის გამო, რომ სახელმძღვანელოები გვერდს უვლიან კონფლიქტის სოციალურ და ეკონომიკურ მიზეზებს; იმის გამო, რომ სახელმძღვანელოებში აქცენტები რუსეთზეა გადატანილი; იმის გამო, რომ „არ წარმოებს შედარებით მასშტაბური და სიღრმისეული აკადემიური კვლევები“, ამიტომ „კავკასიურმა სახლმა“ იკისრა რთული მისია და შექმნა „სასკოლო განათლებისათვის დამატებითი რესურსი“. ამ დამატებითი რესურსის ხარისხი კი ზემოთ იყო წარმოდგენილი. ორი აზრი არაა, ასეთი არაობიექტური ისტორიის შექმნა ხელს არ შეუწყობს კონფლიქტების მოწესრიგებას და არასდროს არ წავა საქართველო და ქართველი ხალხი იმაზე, რომ ისტორიულად ტერიტორიებშემოფცქვნილს კიდევ ახალი ტერიტორიები შემოეფცქვნას.

კითხვა ჩნდება: პროექტის ავტორებს თუ სურდათ ობიექტური ისტორიის შექმნა არ უნდა მიემართათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისათვის? რადგან მათ ეს არ გააკეთეს, თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ობიექტურობა მათ ინტერესებში არ შედიოდა. არ უნდა გაევლო მას სერიოზული რეცენზენტების ხელში?

კიდევ ერთი შენიშვნა: წიგნში წარმოდგენილი მონაკვეთების სათაურებში ყველგან ფიგურირებს „ქართულ-აფხაზური“ და „ქართულ-ოსური“. ყდასა და თავფურცელზე ეს ყველაფერი შებრუნებულია: „აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები წარსულსა და თანამედროვეობაში“. არასწორადაა ავტორთა ჩამონათვალი. წიგნის ხელში ამღები ადამიანი იფიქრებს, რომ ავტორები ანბანის მიხედვით არიან წარმოდგენილი, რადგან ანჩაბაძეს მოსდევს აბრამიშვილი. მაგრამ ეს პრინციპი ირღვევა და სალომე ბახია-ოქრუაშვილი ბოლოსაა მოთავსებული. იმიტომ ხომ არა, რომ ქართული-აფხაზური და ქართულ ოსური ურთიერთობების შესახებ მის მიერ დაწერილი მონაკვეთი მეცნიერული ობიექტურობით გამოირჩევა?

P.S. წარმოდგენილი პუბლიკაციის სათაური – **„ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების დამახინჯება და არა მხოლოდ...“ – შემთხვევით არ შეგვირჩევია.**

სამი წერტილის შემდეგ იგულისხმება ის, რომ ტენდენციური ავტორი, რომელზედაც საუბარი გვქონდა, არა მხოლოდ ამახინჯებს საისტორიო ფაქტებს, რეალურ ქართულ და უცხოურ წყაროებს, გვერდს უვლის სამეცნიერო გამოკვლევებს, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს მოძველებული მოსაზრებები, იყენებს ისეთ ე. წ. სამეცნიერო ლიტერატურას, რომელსაც მხოლოდ ტენდენციური არაქართველი „მეცნიერები“ თუ გამოიყენებენ, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს **ისტორიას შეგნებულად ამცირებს და აკნინებს. ეს კი არა მხოლოდ პირდაპირ, არამედ სტრიქონებს შორისაც გამოსჭვივის.**

საბჭოთა პერიოდში საისტორიო მეცნიერებაში ბევრი რამ სქემებში იყო ჩასმული. ამ სქემას კომუნისტური პარტიის ბელადები იძლეოდნენ. ესა თუ ის ისტორიული მოვლენა სქემაში უნდა ყოფილიყო იყო ჩასმული, „ხალხთა მეგობრობიდან“ გამომდინარე, როგორც ზემდგომი ორგანოები მიუთითებდნენ, ისე **უნდა დაწერილიყო. ამის შედეგი იყო ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მიერ მეცნიერებაში იმის დამკვიდრება, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ორი ეთნოსის (ქართველებისა და აფხაზების) არა მხოლოდ ერთდროული ცხოვრება, არამედ მათი ერთდროული ეთნოგენეზიც (ანუ ორაბორიგენობა) მოხდ**ა. **ამის შედეგი იყო ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურა მკაცრ ცენზურას გადიოდა. ეს მკაცრი ცენზურა ისეთ გამოცემაშიც ხორციელდებოდა როგორიც იყო „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. აქ კი ცენზორი ბატონი ზურაბ ანჩაბაძე გახლდათ. თუ ზურაბ ანჩაბაძე ორაბორიგენობას იცავდა, მისგან განსხვავებით გიორგი ანჩაბაძე საერთოდ უარყოფს ქართველების მკვიდრობას ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომ არაფერი ვთქვათ, მის ჩრდილო-დასავლეთ დიდ ტერიტორია**ზე. **ორი ეთნოსის ურთიერთობაში ისტორიის**

დამახინჯება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში არსებულ პრობლემებს ვერ მოაგვარებს. საერთოდ, თანამედროვე ურთიერთობების დარეგულირებას ისტორია საუძვლად არ უნდა ედებოდეს, ის ხომ მხოლოდ საერთაშორისო სამართლის მოსაწესრიგებელია. თუმცა ვერცერთი საღად მოაზროვნე მეცნიერი ვერ გაექცევა იმ რეალობას, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობდნენ ქართველები, რომლებიც ქმნიდნენ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს და იმას, რომ ეს მხარე საქართველოს სახელმწიფოსა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ეგრისის//სამეგრელოს//ოდიშის განუყოფელი ნაწილი იყო. საისტორიო მეცნიერება არ უნდა იყოს პოლიტიკოსთა სამსახურში და ის არ უნდა წარმოადგენდეს იარაღს უზნეო პოლიტიკანთა ხელში. სამწუხაროდ, ქართველთა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებში ეს ტენდენცია აღმატებით ხარისხშია აყვანილი და ყველა მათგანს, ზოგს აშკარა და ზოგს – ფარული პრეტენზიები გააჩნია ქართველი ხალხის მიწა-წყალზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს ტენდენცია წარსულს ჩაბარდება (იხ.: რ. თოფჩიშვილი. კავკასიელთა თანამედროვე ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემები, თბ., 2019).

დანართი 1. დასკვნა წიგნისა – როლანდ თოფჩიშვილი. აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ, თბილისი, 2015, გვ. 89-92.

ამრიგად, აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების (აფხაზ-აბაზები, უბიხები/ჯიქები, ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები) ეთნოგენეზი მოხდა არა მათი შუა საუკუნეებში განსახლების არეალში (ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში), არამედ კიდევ უფრო ჩრდილოეთით – აზოვისპირეთში, დონის შესართავთან, ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში. აფხაზური და ადიღეური ეთნოსების ეთნოგენეზში სულ ცოტა სამმა ეთნიკურმა კომპონენტმა მიიღო მონაწილეობა: პროტოადიღეელებმა/მეოტებმა, ირანულენოვანმა მომთაბარეებმა და ქართველურმა ერთობებმა (ზანები, სვანები), რომელთაგანაც წამყვანი პირველები იყვნენ. აფხაზების ეთნოგენეზში ქართული ეთნიკური ერთობის წვლილი უფრო მეტი იყო, ვიდრე ადიღეელთა ეთნოგენეზში. ჩერქეზებს (ადიღეელებს, ყაბარდოელებს) რაღაც დოზით თურქული და ებრაული (ხაზარული) ელემენტიც შეერია, რასაც ვერ ვიტყვით აფხაზებსა, ადრინდელ აბაზებსა და ზიხებზე (ჯიქებზე). ამიტომაც ფიზიკური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით აფხაზები და ადიღეელები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. პროტოაფხაზ-ადიღეელთა სამხრეთით ჩამოწევა ერთჯერადი აქტი არ ყოფილა; ისინი რამდენჯერმე მიგრირდნენ თავიაანთი თავდაპირველი განსახლების არეალიდან. პირველი მიგრაციული ტალღა ძვ. წ. III საუკუნით უნდა დავათარიღოთ, რომელიც გამოწვეული იყო ჩრდილოეთ კავკასიისა და ევრაზიის საკონტაქტო ზონაში სარმატების გამოჩენასთან, მეორე

ტალღა იმავე არეალში ძველი და ახლი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ალანებმა განაპირობეს, მესამე ტალღა ჰუნების შემოსევებს უკავშირდება IV საუკუნის 70-იან წლებში. ხოლო უკანასკნელი მიგრაცია ადიღეური ეთნიკური ერთობისა/ყაბარდოელებისა, ოღონდ ამჯერად ჩრდილოეთ ცენტრალური კავკასიის მთისწინეთში, მონღოლების გამოჩენას, უფრო სწორედ, ამ რეგიონში მათი პოზიციების შესუსტებას უკავშირდება. მიგრაციის გამომწვევი მიზეზი კი გახლდათ ევრაზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში ჯერ ირანულენოვანი და შემდეგ თურქულენოვანი მომთაბარე ეთნოსების ხშირი შემოსევები. გეოგრაფიულ არაელში, სადაც აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ფორმირება მოხდა ისტორიისათვის ხელმისაწვდომ მთელ პერიოდში არამდგრადი ეთნიკური ვითარება იყო. არამდგრად ეთნიკურ ვითარებას, რომელსაც მეცნიერებაში „ეთნიკურ ქაოსსაც“ უწოდებენ, ევრაზიის სივრცეში მუდმივად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრავი ნომადები ქმნიდნენ. აქედან გამომდინარე, პროტოაფხაურ-ადიღეური ეთნიკური ერთობებიც (მეოტები) ამ არეალში აღმოსავლეთიდან იყვნენ მოსული და ისინიც თავდაპირველად ნომადები იყვნენ. ეს თავდაპირველი ნომადები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში კი მუდმივ ბინადრებად ვერ იქცნენ და ბოლო დრომდე ნახევრადმომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ. მათი ცხოვრების ეს წესი, მეურნეობის ფორმა კი ისევ და ისევ ევრაზიის სივრცის სიახლოვით იყო გამოწვეული. სხვადასხვა წარმომავლობის ირანული და თურქული მომთაბარე ტომები, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დაფუძნებულ ადიღეურ ტომებს ეთნიკური სტაბილიზაციის, ინტეგრაციის, ეთნიკური შეკავშირე-

ბის საშუალებას არ აძლევდნენ. ადიღეელთა არამდგრადი და დაუდგენელი ეთნიკური ვითარება იმ ფაქტორითაც იყო გამოწვეული, რომ მათ ვერაფრით მოახერხეს ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა, მაგალითად, ისეთის როგორიც ალანებს ჰქონდათ მონღოლთა შემოსევებამდე. თუმცა, აშკარაა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ხდებოდა აბაზების გაჩერქეზების პროცესი. ამ პროცესების მიზეზების შესწავლა კი მომავლის საქმეა. აბაძეხების, შაფსუღებისა და ნატუხაელების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, როგორც მიუთითებენ (ბ. ბღაჟნოკოვი), თანამედროვე ყაბარდოელთა შორის წარმომავლობით 20 %-ია აბაზა. აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის პროცესი ჩრდილოეთით – აზოვისპირეთში, დონის ქვემო დინებაზე, შავი ზღვის ჩრდილოეთ მონაკვეთში, თანამედროვე სამხრეთ უკრაინაში – დაიწყო, როდესაც მეოტებს//პროტოადიღეელებს ირანული ტომები შეერივნენ. პროტოაფხაზ-ადიღეელებთან ირანული ტომების შერევის ყველაზე დიდი დამადასტურებელი ფაქტი მათ შორის ნართების ეპოსის ფართოდ გავრცელებაა. ეთნოგენეზის საბოლოო ფაზა კი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში – ყუბანისპირეთში მოხდა, როდესაც ჩრდილოეთიდან ჩამონაცვლებული პროტოადიღეელები ქართველურ ეთნიკურ ჯგუფებს (ზანებსა და სვანებს) დაეფინნენ. დასასრულს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შემდეგი: ადიღეურმა ეთნიკურმა ერთობებმა (აგრეთვე უბიხებმა, აბაზებმა) ეთნოსფერა, განსახლების არეალი, ნომადურ სამყაროსთან საუკუნოვანი კონტაქტის პირობებში, თავიანთი ცხოვრების წესითა და მეურნეობის მათთვის დამახასიათებელი ფორმით (ნახევრადმომთაბარე, ნახევრადბინადარი), შეინარჩუნეს. ხოლო ევრაზიის სივრცეში პირველივე ბინადრების – რუსეთის იმპერიის – გამოჩენას, მათ აგრესიას შეეწირნენ, განსახლების არეალი დაკარგეს, ფაქტობრივად, ეთნოსმა კატასტროფა განიცადა, არსებობა შეწყვიტა – ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე დიდი ეთნოსისაგან მხოლოდ მისი ცალკეული მცირე ნაწილებიღა შემორჩა. რეგიონში ეთნიკური ვითარება რადიკალურად, ამჯერად რუსული ეთნოსის სასარგებლოდ შეიცვალა (იგივე მოხდა აფხაზეთში). განმეორდა სარმატების, ჰუნების, მონღოლების დროინდელი ვითარება. რეგიონში არამდგრადი, არასტაბილური ეთნიკური სიტუაციის ძირითადი ფაქტორი კი გეოგრაფიული გახლდათ. რა ფაქტორებმაც განაპირობა ადიღეური ეთნიკური ჯგუფების ეთნოგენეზი, იმავე ფაქტორებმა განსახლების არეალის დაკარგვა და ფაქტობრივი გაქრობაც გამოიწვია. შუა საუკუნეებიდან დაწყებული, ვიდრე რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის ხალხების დაპყრობამდე, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არსებული არამდგრადი ეთნიკური ვითარება (მოძრაობითობა, თარეშები, სუსტი ინტეგრაცია) აფხაზეთზეც არაკეთილსასურველ გავლენას ახდენდა. აბაზების, უბიხების და სხვადასხვა ადიღეური ტომების ინფილტრაცია, მიგრაცია აფხაზეთშიც ხდებოდა. თითქმის მუდმივი იყო აქ აფხაზების, ქართველებისა და ადიღეელების ურთიერთშერევა. ეს ეთნიკური კონტაქტები უფრო მეტად შუა აფხაზეთში – კელასურისა და კოდორის მიდამოებში – ხდებოდა და, რა თქმა უნდა, მის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთშიც. ამ უკანასკნელ არეალში უფრო მეტად აბაზური (აფსარული) ენა გამოდიდა გამარჯვებული, ხოლო კელასურ-კოდორის არეალში უპირატესად ქართულ ეთნიკურ ელემენტს ჰქონდა უპირატესობა. ჩრდილოეთიდან მიგრაციის შედეგი იყო XV-XVI საუკუნეებიდან მეგრულენოვანი ქრისტიანი ძველი

აფხაზების გაქრობა და ახალი ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების აფხაზების (აფსუების) წარმოქმნა აბაზური ენის საფუძველზე. გვიან წარმოქმნილ ეთნიკურ ერთობაზე ეგზოეთნონიმის (გარე ეთნონიმის) „აფხაზი“-ის შერქმევა ქართველებმა მოახდინეს. ძველი ეთნონიმების გადატანა ახლად ჩამოყალიბებულ ეთნოსებზე ჩვეულებრივი ამბავი იყო ზოგადად ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში.

დანართი 2. დასკვნა წიგნისა: როლანდ თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, გამომცემლობა „ლომისი“, თბილისი, 1997, გვ. 217-223.

1. საქართველოს სახელმწიფოს დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსებთან. ეს ურთიერთობა ხან მტრული და ხანაც მეგობრული იყო. ოსებს და მათ წინაპარ ალანებს ისტორიის ვრცელ მანძილზე მუდმივი ბინადრობის ერთი ადგილი არ ჰქონიათ. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დასახლებამდე, ოსებმა რამდენიმე საცხოვრისი გამოიცვალეს. ოსების წინაპარი ირანულენოვანი ტომები თავდაპირველად შუა აზიის სტეპებში ცხოვრობდნენ. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ალან-ოსები აზოვისა და დონისპირა ველებზე დამკვიდრდნენ და მომთაბარეობდნენ დონსა და ვოლგას შორის. აქ ა. წ. IV საუკუნის 70-იან წლებში ალანებმა ჰუნების გამანადგურებელი თავდასხმა განიცადეს. გადარჩენილი ალანების მცირე ნაწილმა სამხრეთისაკენ ჩამოიწია და ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველები დაიკავა. ჩედილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში ალან-ოსებმა შექმნეს ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც მონგოლებმა გაანადგურეს XIII საუკუნეში. ოსების საბოლოო და უკანასკნელი შერეკვა ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში მოხდა XV საუკუნის დასაწყისში, თემურ-ლენგის ორგზის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად. XIII-XIV საუკუნეებში ხდება ალან-ოსების ბინადრობის ადგილის კიდევ ერთხელ შეცვლა. ჩრდილოეთ კავკასიის მთებში შესული ალან-ოსები ადგილობრივ კავკასიურ ტომებს შეერივნენ. ოსების ადრინდელი საცხოვრისი ჩრდილოეთ კავკასიის ბარში

ყაბარდოელებმა დაიკავეს და მთიდან ბარში გამოსასვლელ ადგილებში შექმნეს მტკიცე სიმაგრეები, რათა მთებში შერეკილი ოსები საცხოვრებლად აღარ გასულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის ბარში.

XIII-XIV საუკუნეებამდე ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთებში საერთოდ არ ცხოვრობდნენ. მხოლოდ ამ პერიოდიდან ისინი გვევლინებიან ქართველთა უშუალო მეზობლებად. ველის მობინადრე ოსები მთიელებად იქცნენ. იმდენად მასობრივი იყო ოსების ბარიდან მთებში შესვლა, რომ მათ მიგრაციას ბარიდან მთაში შედეგად ტოპონიმების გადატანაც კი მოჰყვა.

2. ყოველგვარ არგუმენტებსა და ფაქტებსაა მოკლებული და მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ახირებას ემყარება თეზისები ოსების საქართველოში ძველი დროიდანვე მკვიდრობის შესახებ. არცერთი საისტორიო წყაროთი, საბუთით, არქეოლოგიური მასალით არ დასტურდება ოსების საქართველოში მიგრაცია და საბინადროდ გადმოსვლა არც ძველი წელთაღრიცხვის სხვადასხვა მონაკვეთში და არც ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში. ჰუნების შემოსევისას ალან-ოსების საქართველოში დასახლკარება არ მომხდარა. ამ დროს ოსებმა მხოლოდ დონისპირა და აზოვისპირა ველებიდან შედარებით სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში წამოიწიეს.

3. არ დასახლკარებულან ოსები საქართველოში არც VII და არც XIII საუკუნეებში, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია. XIII საუკუნეში ოსებმა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს შესვლა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა და დასრულდა ეს მიგრაციული პროცესი XV საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდში მხოლოდ ოსების ერთმა ჯგუფმა სცადა შიდა ქართლში დასახლება, რომლებიც დარუბანდის

გზით იყვნენ შემოსული. ოსებმა ისარგებლეს საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარფაჭერით ცდილობდნენ შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას. ოსების მონგოლთა ეს ფაქტობრივად საპოლიციო რაზმები, გარკვეული ხნის შემდეგ, მეფე გიორგი ბრწყინვალეს მიერ განადგურებული და გაძევებული იქნენ საქართველოდან. ოსთა ამ რაზმების განადგურებისა და გაძევებას შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა კარგა ხნით მტკიცედ ჩაკეტეს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კარსის-კარი) და კარგა ხნით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია.

4. კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში – დვალეთში ოსების შემოსახლება დაიწყო XV საუკუნის ბოლოს. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI საუკუნეში. XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დვალეთში დასრულდა ადგილობრივი ქართველი მთიელების – დვალების ასიმილაცია ოსების მიერ. თუმცა ოსების დვალეთში დასახლებამდე, ოსების მოწოლის გამო, დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა) გადასახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალები, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში, ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და სწრაფი გამრავლების შედეგად ასიმილირებული იქნენ. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ ცვლილებას, ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოჰყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შედეგად, 1859 წლამდე დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

5. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირ-

ველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდინარე თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდინარე დიდი ლიახვის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში განხორციელდა. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოსებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული შიდა ქართლის მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი აქ მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის სათავეში (მაღრან-დვალეთში) იყვნენ მიგრირებული. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით XVII საუკუნის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და პატარა ლიახვების ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აყრილი და ბარში იყო საცხოვრებლად წასული. აგრეთვე აქაური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი XIV საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემიის მსხვერპლი გახდა.

6. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან; ისინი თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დასახელებული ორი ხეობის მთიან ზოლს მთლიანად. აქ, დასახელებულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად. XVIII საუკუნის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში ფაქტობრივად არსად არ იყვნენ განსახლებული. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში.

7. XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორის ხეობის სათავეში (კუდარო) და ქსნის ხეობის სათავეში (ჟამური). ჟამურში ოსთა მიგრაცია მოხდა როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან, ისე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან. კუდაროში ისინი ძირითადად მიგრირებული არიან დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ ესახლებიან დიდი ლიახვის ხეობაში, შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნის სათავეში (ჟამურში). XVIII საუკუნის დასაწყისში მცირე რაოდენობით ოსური მოსახლეობა ჩნდება მეჯუდის ხეობის სათავესა და ისროლისხევში. მეჯუდის ხეობის სათავეში ისინი პატარა ლიახვის ხეობის სათავიდან გადმოდიან.

8. XVIII საუკუნის ბოლოსათვის ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): კუდარო (მდინარე ჯეჯორის სათავე) – გუფთა (მდინარე დიდი ლიახვის ხეობა) – აწერის ხევის ზემოთ (პატარა ლიახვის ხეობაში) – მეჯუდას სათავეში ორი სოფელი – ჟამური (ქსნის სათავე) – ღუდა (მდინარე თეთრი არაგვის სათავე) – თრუსო (მდინარე თერგის ხეობის სათავე). XVIII საუკუნის ბოლოსათვის ოსები საერთოდ არ იყვნენ ლეხურას ხეობაში, მეჯუდას ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), ქსნის ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, ფრონეების ხეობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის დროს, ისე XVIII საუკუნის დასასრულს, ოსები საქართველოს ცალკეული ხეობების მხოლოდ „უვენახი-უხილო“ ზონაში ანუ „მთის ადგილებში“ ცხოვრობდნენ.

9. XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაჟონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში. ამ დროისათ-

ვის ოსთა ასეთი განსახლება განსაკუთრებით განხორციელდა პატარა ლიახვის ხეობის მთიანი მონაკვეთიდან.

10. XVIII საუკუნის დასასრულიდან ფაქტობრივად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომლებსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტიათ თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე. საერთოდ, ოსების საქართველოს ტერიტოირიაზე განსახლება უმეტესად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან დვალეთში შემოსახლებულები გარკვეული ხნით აქ მკვიდრობის შემდეგ შიდა ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად. თუმცა არაერთი ფაქტია დადასტურებული ოსთა გადმოსახლებისა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან, განსაკუთრებით მიგრაციის ადრეულ, საწყის ეტაპზე.

11. სინამდვილეს არ შეესაბამება ზოგიერთი ავტორის მტკიცება XVII-XVIII საუკუნეებში შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსთა განსახლების შესახებ. XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ფრონეების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან, თუმცა თვალშისაცემია, რომ პირველი ოსი მიგრანტები ფრონეების ხეობის ქართველთა ნასოფლარებში დვალეთიდან წამოსული ოსები იყვნენ. პატარა და დიდი ლიახვის ხეობებიდან გადმოდის მოსახლეობა მეჯუდას ხეობაში. ლეხურას ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (ჟამური, ჭურთა) ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის პირველ სამ ათეულ წელს ლეხურას, მეჯუდას და ფრონეების ხეობებში ოსთა დასახლკარებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ძირითადად მოხდა XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე 1880-იან წლებამდე. XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩნდება თითო-ოროლა ოსური ოჯახი შიდა ქართლის გაღმამხარში, სადაც მათი მიგრაცია ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდნენ ოსები დღევანდელი ბორჯომის რაიონში (გუჯარეთის ხეობა).

12. კახეთსა და ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX საუკუნის დასაწყისში დასახლდნენ.

13. ოსების საქართველოში შემოსვლა და დასახლება მთლიანად მშვიდობიანი არ იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში მომწყვდეულმა ოსებმა ძალით გამოიკაფეს გზა, როგორც დვალეთში, ისე შიდა ქართლის მთიანეთში. საისტორიო საბუთებით აშკარაა, რომ ადგილობრივი მთიელი ქართველი გლეხები ოსთა თავდასხმებით შეწუხებული სტოვებდნენ მამა-პაპათა საცხოვრებელ ადგილებს და ბარში სახლდებოდნენ. ბარში კი მათთვის, ამ თვალსაზრისით, ხელსაყრელი მდგომარეობა იყო. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან შიდა ქართლის მთისწინა და ბარის რეგიონები დემოგრაფიულად კატასტროფამდე იყო მისული. დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაციას ერთგვარად ხელი შეუწყო, აგრეთვე, იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკურმა ვითარებამ. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ვეღარ ანხორციელებდა კონტროლს

ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელ ჩამკეტ კარებებზე, უმეტესად კი კასრის კარზე. მომდევნო პერიოდისათვის (XVIII საუკუნე) იმდენად დაეცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და იმდენად კატასტროფიული შეიქმნა დემოგრაფიული სიტუაცია შიდა ქართლში, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები (მეფე, ცალკეული ფეოდალები) თავად უწყობდნენ ხელს და ხშირად იწვევდნენ ოსებს საქართველოში დასასახლებლად.

14. ოსების საქართველოში მიგრაცია ერთდროული მიგრაციული პროცესი არ ყოფილა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან იგი ძირითადად XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში განხორციელდა. მათ ამ პერიოდში მხოლოდ შიდა ქართლის მთიანი ნაწილი დაიკავეს. XVIII საუკუნის ბოლოდან შეწყდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოში მიგრაცია. შიდა ქართლის მთიანეთიდან ოსების სამხრეთისაკენ წამოწევა და შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში დასახლკარება ხდება XIX საუკუნის მთელ მანძილზე. XVII-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთისწინეთის არაერთ სოფელში ოსთა ერთ თაობაზე მეტს არ მოუწია ცხოვრება. მთისა და მთისწინეთის ამა თუ იმ სოფელში მცირე ხნით მკვიდრობის შემდეგ, ოსები უფრო სამხრეთით ეშვებოდნენ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალებზე თვალის გადევნებით. XIX საუკუნის დასაწყისში მთისწინეთის სოფლებში დასახლებულნი, ამავე საუკუნის შუა ხანებიდან ინტენსიურად გადადიან საცხოვრებლად ბარის სოფლებში. ასე რომ, XVIII საუკუნის ბოლოდან დანდათანობითი, ინტენსიური წინ წამოწევა აშკარაა. რასაც უდავოდ მიესადაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში

ხმარებული ტერმინი „ჩამოწოლა“. იმდენად დიდი მოძრაობა ახასიათებდათ ოსებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბარის სოფლებში დასახლებულნი, ბარისავე სხვა სოფლებში გადადიოდნენ საცხოვრებლად.

15. ოსები რომ დიდი ხნის ჩამოსახლებულნი არ იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, ამის დამადასტურებელია მათი სოციალური მდგომარეობაც. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის ხეობაში მოსახლე ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნებადაა ჩაწერილი. ხიზანი კი, როგორც ქართული საისტორიო წყაროებითა და სათანადო გამოკვლევებით ცნობილია, საკუთარი სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული გლეხია. შიდა ქართლის მთიანეთში მიგრირებული ხიზანი ოსების ნაწილი მაჩაბლებს დაუყმევებიათ, ნაწილი კი კვლავ ხიზნებად იყვნენ დარჩენილი. ხიზნობა განსაკუთრებით შეინარჩუნეს, შედარებით გვიან, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებულმა ოსებმა.

16. თითქმის მთლიანად სიყალბეზე და არარეალურ ისტორიულ ფაქტებზეა აგებული ოსეთ-საქართველოს (ოსებისა და ქართველების) ხანგრძლივი ურთიერთობა. იგი ახლიდან შესწავლას მოითხოვს. ერთ მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნეს ზოგიერთი ოსი ავტორის მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ოსთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით წარმოდგენა და მათი საერთო რაოდენობის ხან 6.000 და ხან 7.000 კომლად მიჩნევა. რეალურად კი XVIII საუკუნის დასასრულს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2.130 კომლი (15.000-მდე სული) ოსი მკვიდრობდა.

დანართი 3. დასკვნის შემოკლებული ვარიანტი წიგნისა: როლანდ თოფჩიშვილი. დვალეთი და დვალები (საქართველოს დაკარგული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი). მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2021, გვ. 238.

დვალეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნისთანავე მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. დვალეთის ჯერ ქართლის, შემდეგ კი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას არა მხოლოდ ეთნიკური ფაქტორი განაპირობებდა, არამედ გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტორები. დვალეთს, როგორც ცენტრალურ კავკასიაში მდებარე გეოგრაფიულ ერთეულს, ეს კავშირები ჰქონდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან, არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც. ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეები, დვალეთიც უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლებისადმი იყო დაქვემდებარებული. სოციალური თვალსაზრისით თითქმის ისეთივე ვითარება იყო როგორც ხევში. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მხოლოდ დვალეთის ზახას ხეობასა და დიდი ლიახვის ხეობის სათავეში – მაღრან-დვალეთში მოახერხეს ქართველმა ფეოდალებმა გაბატონება (ქსნის ერისთავებმა, არაგვის ერისთავებმა და მაჩაბლებმა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მაჩაბლების მფლობელობაში იყო ზროგოს ხეობაც. XV საუკუნეში ამავე გვარის ფეოდალებს ჟღელეს ხეობაზედაც მიუწვდებოდათ ხელი). დვალეთის მართვა კი სამეფო კარის მიერ დანიშნული მოხელეების – მოურავების – საშუალებით ხდებოდა. დვალეთი ამჟამად საქართველოს საზღვრებს მიღმაა და შედის რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში. 1859 წელს დვალეთი ცარიზმმა თბილისის გუბერნიას (შედიოდა გორის მაზრაში „ნარას უჩასტკას“ სახელით) ჩამოაჭრა და თერგის ოლქს გადასცა. დვალეთი, როგორც საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მოსაზღვრე მხარე, დანარჩენ საქართველოსთან ბუნებრივ-გეოგრაფიულად ორგანულად იყო დაკავშირებული 11 გადასასვლელით და მათ შორის მიმოსვლა (შიდა ქართლის, ხევისა და რაჭის გავლით) ხშირად ზამთარშიც კი არ წყდებოდა. შიდა ქართლიდან დვალეთში (დვალთგორაზე) მთავარი გადასასვლელი იყო ზეკარა, ჩრდილოეთ კავკასიას კი დვალეთი უკავშირდებოდა მხოლოდ ორი გადასასვლელით – კასრის-კარითა და ხილაკის-კარით, რომლებიც მხოლოდ ზაფხულის პერიოდში (სამი-ოთხი თვე) ფუნქციონირებდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან კასრის კარით საქართველოში შემოსასვლელ გზას ქართულ წყაროებში „გზა დვალეთისა“ ეწოდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, დვალეთი წარმოადგენდა ექვსი ხევის/თემის/საზოგადოების (კასრისხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა) ერთობლიობას. აღმოსავლეთით დვალეთს საზღვარი თერგის ხეობის სათავესთან – თრუსოსთან – ჰქონდა, დასავლეთით მის საზღვარს მთის რაჭა წარმოადგენდა. დვალეთში მიგრირებული ოსები დვალეთს „თუალეთ“-ს („თუალთა“), ხოლო აქაურ მკვიდრებს „თუალებს“ („თუალაგ“) უწოდებდნენ. ეს სახელწოდებანი ამ ფონეტიკური ვარიანტით ოსებმა ადგილობრივი დვალებისაგან შეითვისეს. აქ ეს სახელწოდებანი „დვალეთისა“ და „დვალების“ პარალელურად გამოიყენებდა. „თუალი“ პირდაპირ გამოხატავს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის გეოგრაფიულ მდებარეობას, რაც ცენტრში, შუაში მდებარე ტერიტორიას აღნიშნავს. დვალეთში, ისევე როგორც შიდა ქართლის მთიანეთის სხვა ხეობებში, ქრისტიანობა ადრიდანვე

(VI საუკუნიდან) გავრცელდა და ის ნიქოზის ეპარქიაში (სამწყ-
სოში) შედიოდა. დვალეთი რომ ერთიანი ქართული ეკლესიის
განუყოფელი ნაწილი იყო, ამას გვიანობამდე შემორჩენილი XI
საუკუნის დასაწყისში ზროგოსა და ჟღელეს ხეობებში გეგმითა
და მხატვრული გაფორმებით აგებული ქართული ეკლესიებიც
ადასტურებს. დვალეთში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელე-
ბაზე მიუთითებს XV საუკუნის დასაწყისის ღუნდის სახარება-
ზე მინაწერი. ერთ-ერთი დვალი, გვარად ფარუხაული, ხელთ
იგდებს რა აღნიშულ სახარებას, მას გასაყიდად დედამისს
უგზავნის დვალეთში. მინაწერიდან ჩანს, რომ დვალეთში დიდი
მოთხოვნილება იყო ქართულ სახარებაზე, რომ აქ ღვთისმ-
სახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ქარ-
თველ ხელისუფალთა გავლენა დვალეთზე დროებით შესუსტ-
და, რითაც ისარგებლეს ჩრდილოეთით მცხოვრებმა ოსებმა,
რომელთა განსახლების არეალი დემოგრაფიული თვალსაზრი-
სით მძიმე იყო. გადამეტსახლებული ოსეთის მკვიდრებმა
თავდასხმების, მეკობრეობისა და ლაშქრობების შედეგად
აიძულეს ადგილობრივი ქართველი მთიელები – დვალები
– მიეტოვებინათ წინაპართა საცხოვრისი და საქართველოს
სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხრეში (რაჭა, ზემო
იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე) განსახლე-
ბულიყვნენ. ოსთა მიგრაცია და დასახლკარება დვალეთში
ძირითადად XVI საუკუნეში განხორციელდა და ეს პროცესი აქ
XVII საუკუნეშიც გრძელდებოდა. ოსთა დვალეთში მიგრაციას
ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ დვალების მნიშვნელო-
ვანი ნაწილი შავმა ჭირმა გაწყვიტა, რის მიზეზითაც მათ
საკმარისი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს მოთარეშეებს.
ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის მცირე ნაწილი, მიგრან-

ტთა ოსურ ენობრივ-ეთნიკური სამყაროს გავლენით, გაოს-
და. დვალები როგორც ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული
ჯგუფი//ლოკალურ-ტერიტორიული ერთეული გაქრნენ. ერ-
თიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის
მეორე ნახევარი) დვალეთი ქართლის სამეფოს შემადგენლო-
ბაში შედიოდა. დვალეთში დასახლებული ოსები ქართლის
სამეფო კარის მორჩილებაზე ხანდახან უარს ამბობდნენ, მა-
გრამ ქართველი მეფეები მაინც ახერხებდნენ მათ დამორ-
ჩილებას. XIV საუკუნიდან დვალები სპორადულად იყვნენ
განსახლებული დიდი ლიახვის ხეობის მაღრან-დვალეთის
მოსაზღვრე რამდენიმე მთის სოფელსა (რომლებიც „ძეგლი
ერისთავთაში“ შავდვალებისა და ქვემოდვალების სახელით
მოიხსენიებიან) და თერგის ხეობის სათავეში – თრუსოში
(ისტორიული წანარეთის ნაწილი). დვალეთიდან გამოსულ
ქართველ მოღვაწეთაგან ცნობილი არიან XI საუკუნის სასუ-
ლიერო პირნი: მიქელ დვალი, იოანე დვალი და სვიმონ დვალი.
XIX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ ძეგლში „კალმა-
სობა“ ხაზგასმულია, რომ XIV საუკუნის პირველი ნახევრის
მოწამე ნიკოლოზ დვალი იყო ქართველი. დვალეთში ქართუ-
ლი მატერიალური კულტურის ბევრი ძეგლი იყო, რომელ-
თაგან მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. კასრის კარი იყო
„კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, რათა არა ვიდოდნენ
თ3ნიერ მათსა ოვსნი“; ზრამაგაში იყო „ციხე დიდი, ფრიად
მაგარი, იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფესაგან, და დაბა
კოშკოვანი“ (ვახუშტი). ვახუშტი ზახაში ეკლესიის არსებო-
ბაზე მიუთითებდა. აქვე იყო სხვა ქართული ქრისტიანული
ეკლესიები. დვალეთში წარსულში, ისევე როგორც საქართვე-
ლოს მთის სხვა პროვინციებში, კოშკებით იყო დაფარული.
დვალების ქართველმთიელობის დამადასტურებელი ფაქტია,

აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეების ანალოგიურად, აქ „ათენგენობის“ დღესასწაულის ფართოდ გავრცელებაც. დვალეთში ოსთა მოსვლამდე რომ ქართველები მკვიდრობდნენ, ამას ადასტურებს ის ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ეთნოლოგებს დვალეთის ოსურ მოსახლეობაში აქვთ დადასტურებული. XVIII საუკუნეში ტრადიციით დვალთა ხსენება კვლავ გრძელდება, თუმცა ისინი უკვე ეთნიკურობაშეცვლილი, ახლა უკვე ოსები არიან. XVIII საუკუნის დვალეთის მოსახლეობას უკვე ეთნიკური ოსები წარმოადგენდნენ, რომლებიც ადგილობრივი ქართული (დვალური) და მოსული ოსების შერევის შედეგად იყვნენ ჩამოყალიბებული, და რომელშიც პოპულაციური თვალსაზრისით მიგრირებული ეთნიკური ოსები ჭარბობდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი როდესაც ნიქოზის ეპარქიის შესახებ საუბრობს, აღნიშნავს, რომ აქ „ზის მწყემსი კავკასიანთა, დვალთა და აწ ოსეთად წოდებულისა“. ეთნიკური ცვლილება უკვე აშკარაა. ამითაა გამოწვეული მათი ორმაგი ეთნონიმით – „დვალი, ოსი“ – მოხსენიება (ვახუშტი ბაგრატიონი). დვალების გაოსების პროცესი ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაცია რამდენიმე თაობის განმავლობაში მიმდინარეობდა და ძირითადად XVIII საუკუნის დასაწყისში დასრულდა, თუმცა XVIII საუკნის პირველ მეოთხედში დვალების გარკვეულ ნაწილს თვითმყოფადობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა. უფრო მეტი: XIX საუკუნის ბოლომდე ზახას ხეობის მკვიდრები ორენოვანი იყვნენ – ისინი ოსურსა და ქართულ ენებზე ლაპარაკობდნენ. ზახაში მცხოვრები „დვალი ოსების“ ორენოვნებას, ქართული ენის შენარჩუნებას, განაპირობებდა არა მხოლოდ ადგილობრივი დვალური/ქართული კომპონენტის მნიშვნელოვნად არსებობა, არამედ ის სამეურ-

ნეო-ეკონომიკური და იდეოლოგიური კავშირები, რაც ხეობას საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან გააჩნდა. ქართული წყაროების მიხედვით, ისინი ჩვეულებრივი ქართველი მთიელები იყვნენ, ისევე როგორც ფხოველები, თუშები, წანარები, გუდამაყრელები, ხადელები, ცხავატელები, ჭართალელები, ცხრაზმელები... ბოლოდროინდელი გამოკვლევით, რომლებიც ემყარება საისტორიო წყაროების, საბუთების, ტოპონიმების, ანთროპონიმების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების კომპლექსურ შესწავლას, ცხადი შეიქმნა, რომ დვალეთი ეთნიკურად ქართულ-ქართველური ქვეყანა იყო, დვალები კი თავდაპირველად – ზანებთან ახლოს მდგომი ტომი, თუმცა ზანების (მეგრელების) სრულ ასლს არ წარმოადგენდნენ. დვალეთი სამივე ქართველურად მეტყველი ერთეულის – ზანების, სვანების და აღმოსავლეთ ქართველთა – თანაცხოვრების ადგილი იყო, რასაც აქ დაფიქსირებული ონომასტიკური მონაცემები ადასტურებს. ბოლოს გამარჯვებული ეს უკანასკნელი გამოვიდა, რასაც, პირველ რიგში, მათი გვარსახელების სუფიქსები (-ურ) გვიმოწმებს: გერგაული, თავაური//თვაური, ფარუხაული, ჩოჩოური, ხაჩიური, ქესაური, გენცაური, თაბაური, ხერხაული, ფაკაური, ბრუტაული, ხეთაგური, ჩიფჩიური, გუდიაური, ბაგაური... . დვალთა მეტყველება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დიალექტურ ჯგუფში (ფხოვურში) შედიოდა. და ეს მოხდა არა ქართიზაციის გზით, არამედ ბუნებრივად იმ შინაგანი სამერნეო-ეკონომიკური კავშირურთიერთიბის შედეგად, რომელიც ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს ქართლთან ჰქონდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე საქართველოს წიგნიერების, სახელმწიფოსა და საეკლესიო ენის ფუნქციამაც. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი

ავტორი იაკობ რეინეგსი აღნიშნავდა, რომ დვალეთისა და არდონის ხეობაში მცხოვრები ოსები არა მხოლოდ ოსურად მეტყველებენ, არამედ ძველ ქართულ ენაზეცო. ეს „ძველი ქართული ენა“ კი ქართული ენის დვალური დიალექტი იყო. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე დვალებს ისეთი-ვე წვლილი აქვთ შეტანილი საერთო ქართული კულტურაში, როგორც საქართველოს სხვა პროვინციის წარმომადგენლებს.

ISBN 978-9941-509-00-1
9 789941 509001